[illegible]ლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში ხელმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

კვირა, 1 აგვისტო 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 174 (1719)

დ ღ ი უ რ ი

- მექსიკის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა ყველა კათოლიკეთა განიარაღების შესახებ.
- მთავრობის სრულუფლებიანობა, ბართელის სიტყვით, საჭირო პალატის მუშაობის დასაჩქარებლად.
- ბრიტანეთის კომისია მიემგზავრება შეერთებულ შტატებში.
- დახურულ „როტე ფანეს“ მაგიერ გამოვიდა „როტე-შტურმფანე“.
- 30 ივლისს ქვედა ნორმანდიაში (საფრანგეთში) მოხდა ძლიერი მიწისძვრა.
- იტალიაში პოლიციამ დაშალა სასოფლო მეურნეობის მუშათა პროფკავშირი.
- შესდგა ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტ. სხდომა.
- დღეს, შუადღის 12 ს. იხსნება ნიჟეგოროდის ბაზრობა.

„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

დღეს, 1-ლ აგვისტოს
და
ორშაბათს, 2 აგვისტოს
„კომუნისტი“-ს
კანტორა ღია იქნება
დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე
ხელისმოწერის მისაღებად

კ რ ი ტ ი კ უ ლ ი   მ ო მ ე ნ ტ ი

ინგლისელ მემაღაროეთა ბრძოლა გაფიცვის მეოთხე თვის დასაწყისისათვის უაღრესად გართულდა. განსაკუთრებულ წესების მოქმედების ვადა კიდევ ერთი თვით იქნა გაგრძელებული. მაკდონალდმა ამას „ქვეყნის შეურაცყოფა“ უწოდა. მაგრამ მაკდონალდები ამით ვერ მიაფუჩეჩებენ თავის გამცემლობას: ხომ მათი წყალობითაა „ქვეყანა შეურაცყოფილი“, ხომ მათ ჩაშალეს საყოველთაო გაფიცვა, ხომ ისინი ყოველ ზომას იღებდენ და ეხლაც მიმართავენ მემაღაროების გასატეხად!

უკანასკნელნი განაპირებული არიან; არავინ აწვდენს მათ დახმარების ხელს, გარდა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა. გენერალური საბჭო განაგრძობს საბოტაჟის პოლიტიკას. ის თითსაც არ ანძრევს მემაღაროებისათვის არც ფულადი დახმარების აღმოსაჩენად, არც ქვა-ნახშირის გადაზიდვის ასაკრძალავად.

ამსტერდამის ინტერნაციონალიც არ ღალატობს თავის ბუნებას: მან თავის სექციებს აუკრძალა შეწირულებათა შეგროვება ინგლისელ მებრძოლებისათვის, ...„საქმეში არევ-დარევის შეტანის“ ასაცილებლად!

ასეთივე ლახვარი ჩასცა ზურგში ინგლისელ მებრძოლთ ამას წინედ პარიზში შეკრებილმა მემაღაროეთა ინტერნაციონალის აღმასკომმა. მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციამ გადაჭრით განაცხადა უარი ინგლისელ გაფიცულებისათვის რაიმე მატერიალურ დახმარების აღმოჩენაზე და ქვანახშირის ამოღების შემცირებაზე, რასაც კუკი მოითხოვდა.

ყველა ქვეყნის რეფორმისტები დახმარების მაგივრად თავს ესხმიან ინგლისელ მემაღაროეთ, მოუწოდებენ მათ გაფიცვის შეწყვეტისაკენ, კიცხავენ საბჭოთა მუშებისაგან ფულების მიღებისათვის და სხ.

მშობლიური და საერთაშორისო რეფორმიზმით ზურგ გამაგრებული ინგლისის მთავრობა და ბურჟუაზია აძლიერებს შეტევას გაფიცულთა წინააღმდეგ. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ბალდუინის კაბინეტს გაუგრძელეს საგანგებო რწმუნებათა მოქმედების ვადა მემაღაროეთა გასანადგურებლად. ამასთან, მთავრობა და საქალაქო საბჭოები, სადაც ბურჟუაზია გაბატონებულია, უსპობენ გაფიცულთა ოჯახებს ყოველგვარ დახმარებას.

მრეწველები სხვა გზებითაც ცდილობენ მემაღაროების კაპიტულიაციას. ალაგ-ალაგ ისინი წინადადებას აძლევენ მათ განაახლონ მუშაობა შედარებით ხელსაყრელ პირობებში. მრეწველების განზრახვა ამ შემთხვევაში ცხადია: მათ სურთ მემაღაროების ერთიანი ფრონტის დარღვევა, მათში არევ-დარევის და მერყეობის შეტანა და ამნაირად მათი ცალკე რაზმების „მოშინაურება“, რომ შემდეგ საერთო გამარჯვებას მიაღწიონ. მემაღაროები ამ ანკესზე ჯერ-ჯერობით არ ეგებიან.

ყველაზე უფრო საშიშად დღევანდელ მომენტში უნდა ჩაითვალოს „საეკლესიო მამების“ ჩარევა კონფლიქტში. როცა ბურჟუაზიამ ვერც პირდაპირი იერიშებით, ვერც მოღალატე ბელადების ამოქმედებით მიზანს ვერ მიაღწია, მან სცენაზე ეკლესიის „თავადები“ გამოახტუნა.

ჩვენი მუშებისათვის გაუგებარია, რომ სამღვდელოება ჯერ კიდევ საგრძნობ გავლენით სარგებლობს ინგლისის „ფართე საზოგადოებაში და, წარმოიდგინეთ, მუშათა წრეებშიაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფაქტია. ეკლესია ყოველთვის გაბატონებულ კლასს ემსახურებოდა მშრომელთა წინააღმდეგ. ინგლისელ ეპისკოპოსების ეხლანდელი გამოსვლა ამას ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ ადასტურებს.

ისინი „შუამავლის“ როლს კისრულობენ. მათი წინადადება იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობამ ქვანახშირის მრეწველობას გაუგრძელოს სუბსიდია კიდევ ოთხი თვით, რომელ ხნის განმავლობაში მემაღაროებს საშუალება უნდა მიეცეთ დაუბრუნდენ სამუშაოს გაფიცვამდე არსებულ პირობების ნიადაგზე; ამავე დროს უნდა განახლდეს მოლაპარაკება მრეწველებსა და მუშებს შორის შეთანხმების მისაღწევად; ამ შეთანხმებას საფუძვლად უნდა დაედვას სანახშირო კომისიის მოხსენება და სამუელის მემორანდუმი. „საეკლესიო მამები“, სხვათა შორის, ითვალისწინებენ სავალდებულო საარბიტრაჟო კომისიის დაარსებას, „ნეიტრალურ“ პირის თავმჯდომარეობით. აღსანიშნავია, რომ ბალდუინმა უარყო მათი წინადადება, უმთავრესად იმიტომ, რომ ის გულისხმობს სესხის მიცემას მრეწველებისათვის. მაგრამ ეპისკოპოსები მაინც არ ცხრებიან და, თუ სუბსიდია არ იქნება, სესხის გამონახვაზე ლაპარაკობენ.

მკითხველი დღეს გაეცნობა მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის ანგარიშს, კონფერენციის, რომელსაც განსახილველად წარედგინა სამღვდელოების წინადადებები. კონფერენციამ გადასწყვიტა მოახდინოს რეფერენდუმი ადგილებზე, რათა გამოირკვეს მემაღაროეთა მასის დამოკიდებულება ამ პირობებისადმი. აღსანიშნავი ის არის, რომ კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია ეკლესიის წარმომადგენელთა წინადადების მიღება და ამ აზრით იქნება გაწეული აგიტაცია რეფერენდუმის მოხდენის დროს.

კონფერენციის მემარცხენე ფრთამ სასტიკად გაილაშქრა ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ეჭვი არ არის, რომ კონფერენცია არ გამოხატავს მასის სულიერ განწყობილებას. თვით კონფერენცია სასწრაფოდ იყო მოწვეული, მის მონაწილე საოლქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ ინსტრუქციები მიღებული იმ მასებიდან, რომელთა მიერ ისინი არიან არჩეული.

გაფიცვისათვის იქმნება ყველაზე მეტად კრიტიკული მომენტი. აქ სჩანს მერყეობა მემაღაროეთა ლიდერების, რომელნიც დღემდე მტკიცედ იდგენ. ისინი ხსენებულ გადაწყვეტილების მიღებას ასაბუთებდენ ბრძოლის გაგრძელების სიძნელით, მემაღაროეთა იზოლაციით და სხ.

რომ უაღრესად მძიმეა მემაღაროეთა მდგომარეობა, ეს ცხადია. მაგრამ „საეკლესიო შუამავლების“ პირობების მიღება ნიშნავს მემაღაროების სრულ კაპიტულიაციას. აშკარაა, რომ თუ მემაღაროები განაახლებენ მუშაობას, მერე ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნება გაფიცვის ისევ დაწყება, თუ მუშებისათვის ცოტად თუ ბევრად მისაღები შეთანხმება არ იქნა მიღწეული. და რომ მრეწველები რაიმე საგრძნობ დათმობაზე არ წავლენ, ამაში ეჭვის შეტანა დანაშაულებრივი გულუბრყვილობა და პირდაპირ ღალატი იქნება მუშათა კლასის მიმართ, იმ გმირული ბრძოლის მიმართ, რომელსაც სამი თვე აწარმოებენ მემაღაროები. ეს უჩვეულო ბრძოლა და თავგანწირვა ამაოდ ჩაივლის, თუ სამღვდელოების პირობები იქნა მიღებული.

მემაღაროეთა მასები ისევ ძველებურ სიმტკიცეს იჩენენ. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი ეხლაც, რეფერენდუმის გატარების დროს, დაგვანახვებენ ურყევ ნებისყოფას და კლასობრივ შეგნებას და თავიანთ ბელადებს კვლავ სწორ გზაზე დააყენებენ. წინანდელი შეუდრეკელობა, ურყევი ნება გამარჯვებისაკენ და რიგების მთლიანობა—ეს დღეს ყველაზე უფრო ესაჭიროებათ მათ, ვინემ ოდესმე.

მაგრამ ამისათვის საჭიროა საერთაშორისო რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა მოიხადოს თავისი მოვალეობა და გააძლიეროს დახმარება ინგლისელ მემაღაროებისადმი. მსოფლიო მუშათა კლასმა უნდა გადააბიჯოს რეფორმისტულ ბელადების წინააღმდეგობას და აღიმაღლოს ხმა ინგლისელ ამხანაგების მისაშველებლად. კერძოდ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, რომელმაც ინგლისელ მემაღაროეთა ზურგის გასამაგრებლად დღემდე მოიმოქმედა ყველაფერი, აწი უფრო უნდა გააძლიეროს ამ მხრივ მუშაობა.

ინგლისელ გაფიცულთ იხსნის მხოლოდ მათი სიმტკიცე, გამძლეობა და საერთაშორისო პროლეტარიატის რეალური სოლიდარობა.

ბრძოლა გრძელდება

(„პრავდა“-ს მეთაური)

სამი თვეა რაც ინგლისელი მემაღაროები გაფიცულნი არიან. სამი თვის განმავლობაში ისინი უთანასწორო ბრძოლას აწარმოებენ. ქვანახშირის მეფეები უძლურნი არიან მემაღაროეობის ნებისყოფა მოსდრიკონ. მემაღაროები არ სთმობენ თავიანთ პოზიციებს. სამი თვის განმავლობაში ასეთი ბრძოლის წარმოება, სამი თვის განმავლობაში საშინელი გაჭირვების ატანა და უზარმაზარი მსხვერპლის გაღება, უკვე თავის თავად უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენს. თუ ასეთ არაჩვეულებრივ მძიმე პირობებში ინგლისის მუშათა კლასის უდიდესი რაზმს შეუძლია ქედი არ მოიხაროს ინგლისის კაპიტალის შემჭიდროებულ ნების წინაშე, ეს ამტკიცებს რამდენად დამპალია ინგლისის კაპიტალიზმის საძირკველი, რა ღრმად დაცემულა ის, როგორ გაზრდილა ინგლისელი მუშების საომარი გამოცდილება.

რა არ გამოსცადეს ინგლისელმა მემაღაროებმა ამ სამი თვის განმავლობაში. რამდენჯერ არ უღალატეს მათ. რამდენჯერ არ გაჰყიდეს ისინი, რამდენჯერ არ მოატყუეს. რით არ აშინებდენ მათ, რას არ ემუქრებოდენ, რა შხამი, რა ლაფი არ გადაასხა თავზე მემაღაროებს ინგლისის და მთელი კაპიტალისტური ქვეყნის საზოგადოებრივმა აზრმა. მთავრობა, ეკლესია, პოლიცია, ბანკები, სასამართლო, პარლამენტი, პრესა, კონსერვატორები, ლიბერალები, „მუშათა“ ბელადები, რომელნიც უკვე დიდი ხანია ბურჟუაზიის მოძახილებათ გადაიქცნენ, ისინი ვინც ბურჟუაზიის მხარეზე გადავიდენ და 12 მაისს კაპიტულიაცია გამოაცხადეს, მეორე ინტერნაციონალი, კუკი, ბაუერი, „ფორვერტსი“, ამსტერდამი ყველა ეს ძალები მემაღაროების წინააღმდეგ იყვნენ, დღესაც მათ წინააღმდეგ არიან, უკანასკნელ წუთამდე მათ წინააღმდეგ დარჩებიან. ამისდა მიუხედავად ბრძოლა გრძელდება, მემაღაროები არ შეშფოთებულან, მასიური დეზერტირობა არ ყოფილა და არც არის, დიდი გაფიცვა მაინც ცოცხლობს.

გაბატონებული კლასი თანდათან ანხორციელებს გაფიცულთა ჩაღრჩობის გეგმას. მემაღაროების შრომის პირობების გაუარესება საკანონმდებლო გზით არის გატარებული. ახლა ინგლისის ბურჟუაზია ცდილობს მემაღაროეების ოჯახების შიმშილობა გააძლიეროს, ისინი კი ისედაც ნახევრად დამშეულნი არიან. მემაღაროებს ართმევენ დახმარებასა და შეწირულებას.

იმავე დროს კი პრემიერ მინისტრი ბოლდუინი „ზეკლასიური ნეიტრალიტეტის“ წამოსასხამს იცვამს. ამას წინათ ბოლდუინმა განაცხადა, რომ მთავრობა ვერ განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელშიაც შეიძლება მუშაობა განახლდესო, ეს მის ძალ-ღონეს აღემატებაო.

ტრედუნიონების გენერალური საბჭოს ხაზი წინანდებურად საბოტაჟის ხაზია. ზოგიერთი ტრედუნიონი ბურჟუაზიული დარბევის ასპარეზად გადაიქცა, მუშათა პარტია არ ეხმარება მემაღაროებს. „დამოუკიდებელნი“ უარყოფენ კომპარტიის წინადადებას, ამ ერთად-ერთი პარტიის წინადადებას, რომელიც სინდისიერად იბრძვის მემაღაროებისათვის.

ასეთ პირობებში მემაღაროებს მხოლოდ ერთი რამ იხსნის: მათი წინანდებური გაბედულება, მჭიდრო კავშირი (ამისთვის მემაღაროებს საუცხოვო ნერვები აქვთ) და ყველა პატიოსან მუშების დახმარება. მთელმა საერთაშორისო რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის მოწინავე მუშათა კლასმა უნდა გააძლიეროს დახმარება მემაღაროებისა, რომელთაც ასე სასახელოდ გაატარეს სამი თვის ბრძოლა.

„შეთანხმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ უშუალოდ მაღაროს პატრონებსა და მემაღაროებს შორის“. ეს ბრძნული განცხადება „ნეიტრალიტეტის“ შესახებ ჩვენ მოვისმინეთ იმის შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობამ სამუშაო დღის განგრძობა უკვე დააკანონა, იმის შემდეგ, რაც ბოლდუინმა, ინგლისის ერთ-ერთი გაზეთის გამოთქმით, ითამაშა, მაღაროს მეპატრონეთა მოსამსახურე ბიჭის როლი“.

გაფიცულებში დემორალიზაციის შესატანად ბურჟუაზიამ მიმართა ეგრედ-წოდებულ „ეკლესიის მსახურთა“ შუამდგომლობას; იმის შემდეგ, რაც ტომასის და მაკდონალდის ტიპის მაკლერერისკაცების „კომისია“ დმარცხებით დამთავრდა, ბურჟუაზიამ აამუშავა „უწმინდესი“ მაკლერები, რომელნიც განათებულნი არიან „ზეკლასიური“ და თითქმის „ღვთიურ“ ბრწყინვალებით.

ღვთის მიერ წარგზავნილებმა წინადადება მისცეს სამთამადნო მუშებს დაკმაყოფილებულიყვენ სანახშირო კომისიის მოხსენებით, დაუმატეს რა მას მუხლი სავალდებულო არბიტრაჟის შესახებ.

მიუხედავად ხელმძღვანელ წრეების ერთგვარ მერყეობისა, სამთამადნო მუშებმა შესძლეს ეკლესიის მსახურთა წინადადების ნამდვილი აზრის გაგება და მიხვდენ, რომ მას იგივე —ე. ი. სამუშაო დღის გადიდების სუნი უდის. ამგვარათ ეკლესიის მსახურთა ქადაგებამ პოზიციის დათმობის შესახებ ვერ გამოიღო ნაყოფი. თვით „წმინდა მამებმაც“ გამოამჟღავნეს თავიანთი ბუნება, განაცხადეს რა, რომ ისინი „არ მიდიან მთავრობის წინააღმდეგ“. და მართლაც, განა შეიძლება ეკლესია მთავრობის აგენტურა არ იყოს.

ინგლისის კაპიტალისტების ნამდვილი თვალსაზრისი გამოსთქვა ლორდთა პალატაში ყველაზე უფრო მემარჯვენე კონსერვატორმა ვენბერიმ, რომელმაც რიხიანად განაცხადა, რომ „მუშათა კლასის ინტერესები საერთოდ არ არის ყურადღების ღირსი“. ეს სიტყვები უნდა დაიხსომოს ინგლისის სამთამადნოო მუშებმა და ინგლისის მთელმა პროლეტარიატმა როცა ლორდ ვენბერიმ მხოლოდ აშკარათ და ხმამაღლა გამოსთქვა ის, რასაც ფიქრობს ინგლისის ბურჟუაზია.

მემაღაროები გაფიცვის პირველ დღიდანვე უმაგალითო სიმტკიცეს იჩენენ. სამთამადნო მასების მოქმედება მართლაც, რომ ქების ღირსია. მაგრამ გაფიცვის წინაშე ყოველ დღე ახალ-ახალი საფრთხე დგება. სამთამადნო მუშების მდგომარეობა დღითი-დღე რთულდება. მასების გაჭირვება კატასტროფიული სისწრაფით იზრდება. ამ პირობებში თანდათან ძნელდება გაფიცვის განგრძობა, ადგილი ხდება იმ დამპალი კომპრომისის ანკესზე წამოგება, რომელსაც ერთი მეორეზე აჩრიან ხელში სამთამადნო მუშებს მუშათა კლასის მოღალატენი—ტომასები და მაკდონალდები.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 31 ივლისი.

ბერლინის კომუნისტური ორგანიზაციის ყრილობა

(წერილი ბერლინიდან)

ბერლინ - ბრანდენბურგის ორგანიზაციის ყრილობას სხდომები ჰქონდა ამ დღეებში. ეს იყო მეორე ყრილობა კომინტერნის აღმასკომის „ღია წერილის“ გამოქვეყნების შემდეგ. ნოემბრის ყრილობამ სრულიად გასწყვიტა კავშირი მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფთან, რომელიც დიდხანს მეთაურობდა ბერლინის ორგანიზაციას. ამავე ყრილობამ გადასწყვიტა აგრეთვე ბერლინის პარტორგანოების სრული რეორგანიზაცია. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნოემბრის ყრილობამ ვერ გააკეთა ყველა დასკვნები, რომელსაც პარტიის ახალი ორიენტაცია მოითხოვდა.

ყრილობას წინ უძღოდა ფართო კამათი აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლიუციების შესახებ. ამ კამათის დროს მემარცხენე და უკიდურეს მემარცხენე ჯგუფების კოალიცია სავსებით დამარცხდა. ყრილობისთვის არჩეულ იქნა 88 დელეგატი, რომელნიც აღმასრულებელი კომიტეტის რეზოლიუციებს ემხრობოდენ, და 26 მემარცხენე და უკიდურესი მემარცხენე დელეგატი. ბრანდენბურგის პროვინციაში არჩეულ იქნა 34 დელეგატი უმრავლესობიდან, ხოლო 4 დელეგატი ოპოზიციიდან. ყრილობაზე ოპოზიციას 20% ჰყავდა. ახალგაზრდობა გამოუკლებლივ უმრავლესობის მხარეზე იყო. საერთო რიცხვიდან 130 მუშა იყო, 15 წვრილი ბურჟუაზიის წრიდან, 8 გლეხი და სოფლის მუშა, ხოლო ორი ინტელიგენტი.

ყრილობის კამათმა და რეზოლიუციებმა დაამტკიცა, რომ ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციამ უკანასკნელი ნოემბრის ყრილობის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი გააკეთა პარტიის განმტკიცებისა და ბოლშევიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე. ოპოზიციური ჯგუფების იერიშები პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ „ღია წერილის“ გამოსვლის შემდეგ ყრილობის ოთხმა მეხუთედმა ენერგიულად უკუაგდო. ურბანსის ჯგუფის ყოფა-ქცევამ დაამტკიცა, რომ მას არაფერი შეუძენია წარსულის გაკვეთილებიდან. მისი წმინდა უარყოფითი კრიტიკა პარტიის მუშაობისა, რომელიც უარჰყოფდა თვით პარტიის აშკარა გამარჯვებას პლებისციტის კამპანიაში, სცდილობდა პარტიის სახელის გატეხას მასების თვალში. ყრილობამ აღიარა ამ ჯგუფის პლატფორმის არარაობა და განაცხადა, რომ პარტიაში დასაშვები არ არის მისი დეზორგანიზატორული მუშაობა.

ყრილობამ აგრეთვე გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ფრაქციების ბრძოლას და განამტკიცოს პარტიის ერთობა, რათა მან შესძლოს იმ დიდი ამოცანების შესრულება, რომელიც დაკისრებული აქვს.

ორგანიზაციის გამგეობის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია მიღებულ იქნა 115 ხმით 32 ხმის წინააღმდეგ. იგივე პროპორცია გამოაშკარავდა იმ რეზოლიუციის მიღების დროს, რომელიც პარტიის შინაურ საქმეებს შეეხება და ურბანს-რუტ ფიშერის ჯგუფის ფრაქციულ მუშაობას ჰკიცხავს. ოპოზიციის რეზოლიუციები ყველანი უარყოფილ იქნენ. იმ უკიდურეს „მემარცხენე“ ჯგუფის რეზოლიუციებმა, რომელიც რენეგატ კორშსა და შვარცს თანაუგრძნობს, 2 ხმა მიიღო. ახალი გამგეობა, რომელიც თითქმის გამოუკლებლივ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებისგან შესდგება, არჩეულ იქნა უმრავლესობის მიერ 30 ხმის წინააღმდეგ. ასევე მოხდა მდივნების არჩევა.

რ. დიტრიხ.

ბერლინი, 20 ივლისი.

ს ა ბ ჭ ო თ ა   პ რ ე ს ა

უპარტიო აქტივი და პარტხელმძღვანელობა

სოფლად პარტორგანიზაციების უმთავრეს ამოცანას შეადგენს გლეხთა უპარტიო აქტივის შექმნა და სოფლის ფართე მასსების ჩაბმა მართვა-გამგეობასა და აღმშენებლობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება, რომ პარტია უშუალოდ დაუახლოვდეს გლეხობას, უკანასკნელის გაზრდილი აქტივობა ჩაყენებულ იქნეს სასურველ კალაპოტში; მხოლოდ ამ გზითაა მოსახერხებელი საბჭოთა აპარატის გაჯანსაღება, საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება და მშენებლობის საკითხების წარმატებით გადაჭრა. მაგრამ, როგორც საკ. კომპარტიის ცეკას უკანასკნელი პლენუმიც აღნიშნავს, სოფლის პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საკმაო უნარს უპარტიო აქტივის შექმნის და მთავარ გლეხურ მასსის საზოგადოებრივ მუშაობაზე მოზიდვის საქმეში. პლენუმის რეზოლიუცია მოითხოვს მშრომელთა მასსების ფართოდ და გადაჭრით ჩაბმას საბჭოების და სოფლის სხვა ორგანიზაციების მუშაობაში, უპარტიო მოწინავე გლეხების წამოყენებას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და მათთვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენას თავის მოვალეობათა შესრულებაში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უპარტიო მასსების ჩაბმასთან მჭიდროთაა დაკავშირებული პარტხელმძღვანელობის საკითხი. უნდა იქნას აღმოფხვრილი წვრილმანი მზრუნველობა, მბრძანებლობა, უხეში ადმინისტრატიული ზეგავლენის მეთოდები, ვინაიდან ასეთი „ხელმძღვანელობის“ დროს,—წერს გაზ. „ბედნოტა“:

„უპარტიო აქტივი ან შეივსება ჭუჭყიანი ან და ანგარებიანი ელემენტით, რომელიც მზად იქნება თვალის ასახვევად „კარგი დამოკიდებულება“ დაამყაროს პარტიულ ორგანიზაციასთან, რათა ამით უფრო მოხერხებულად და ადვილად აკეთოს თავისი ბნელი საქმე. ან, თუ უპარტიო აქტივში ნამდვილად აღმოჩნდებიან მოწინავე პირები, საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ელემენტები, რომელნიც საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობენ ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის და რომელთაც არ შეუძლიათ და არ სურთ გახდენ კულაკების იარაღად და საშუალებათ კულაკურ ოინებისათვის,—ამგვარი აქტივი აუცილებლად შეეჯახება ისეთ პარტხელმძღვანელობას, რომელიც გამოიხატება ადმინისტრატიულ შევიწროებასა და სხვა მახინჯ ფორმებში.

სწორი პარტხელმძღვანელობა ნიშნავს—მიეცეს ყველა პატიოსანს და მოწინავეს, რაც არის უპარტიოთა შორის, საკმაო გასაქანი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის. ეს სრულებით არ ნიშნავს მივსცეთ გასაქანი შეცდომებს და საბჭოთა ხელისუფლების და პარტიის პოლიტიკის გამრუდებას. მაგრამ ასეთი შეცდომები უნდა განვმარტოთ, ამ შეცდომების აზრი უნდა გავაგებინოთ და აუხსნათ მთელ უპარტიო მასსას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება და უნდა მივაღწიოთ ამ შეცდომების გამოსწორებას ან დაუშვებლობას, რა თქმა უნდა, ხშირად ეს მოითხოვს ხანგრძლივ და სერიოზულ მუშაობას, ეს მოითხოვს უჯიათობას და გამძლეობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დავადგეთ ადმინისტრატიულ ზედდაწოლის და ბრძანების მოლიპულ გზაზე“.

ამნაირად, ჩვენს წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დგას პარტიულ ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ამოცანა. ბრძანებლობის და ადმინისტრატიულ ზედდაწოლის გზით პარტია ვერ მოიხვეჭს ავტორიტეტს და ვერ გახდება სოფლის საზოგადოებრიობის მესვეური. ჭეშმარიტი იდეური და ორგანიზაციული პარტხელმძღვანელობა—აი რას მოითხოვს ჩვენგან მასსების გაზრდილი აქტივობა და ამ აქტივობის წარმართვა საბჭოთა კალაპოტით.

საგანგებო წესები ინგლისში კიდევ ერთი თვით იქნა გაგრძელებული

ინგლისის მთავრობა გაფიცულთა გავშვებს დახმარებას უსპობს

მემაღაროეთა კონფერენცია „წმინდა მამების“ წინადადების შესახებ

პუანკარეს მთავრობა 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ

მემარჯვენეები მოითხოვენ ერიოს მთავრობიდან გაძევებას

ბართელი „უარჰყოფს“ ხმებს პოლონეთის საომარ სამზადისის შესახებ

პოლონეთის მთავრობა მოითხოვს დამოუკიდებლობას საკანონმდებლო ორგანოსაგან

რენოდელი გავიდა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომიდან

მდგომარეობა ინგლისში

ეს ქვეყნის შეურაცყოფაა

ლონდონი, 30 ივლისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიქსმა წინადადება მისცა პალატას გაფიცვის პირველ დღეებში შემოღებული განსაკუთრებული მდგომარეობა კვლავ ერთი თვით გაგრძელდეს.

მაკდონალდმა განაცხადა,— განსაკუთრებული მდგომარეობის გაგრძელება მთელ ქვეყანას შეურაცყოფას მიაყენებსო.

მუშათა პარტიის მიერ შეტანილი შესწორება უარყოფილ იქნა. პალატამ მიიღო მინისტრის წინადადება 230 ხმის უმრავლესობით 84 წინააღმდეგ.

დახმარებას უწყვეტენ

ლონდონი, 30 ივლისი. გენერალური საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზოგიერთ განყოფილებების მიერ სამთამადნო მუშების ოჯახებისათვის დახმარების შეწყვეტის წინააღმდეგ.

მემაღაროეთა კონფერენცია

ლონდონი, 30 ივლისი. 30 ივლისს შემდგარ სადელეგატო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იყო მემაღაროელთა ფედერაციის აღმასბიუროს მიერ, დაესწრო 170 კაცი. ოფიციალური ცნობის მიხედვით ეკლესიის წარმომადგენლების მიერ წარდგენილ წინადადების განხილვის შემდეგ კონფერენციამ ხმის უმრავლესობით დაადგინა — გაატაროს ადგილებზე რეფერენდუმი და თანვე წინასწარ დასძინა, რომ ეს წინადადება უნდა მიღებულ იქნესო. რეფერენდუმის შედეგები უნდა აცნობონ ფედერაციის აღმასბიუროს 7 აგვისტომდე. ატყობინებიან, რომ დელეგატთა მემარცხენე ფრთამ სასტიკად გაილაშქრა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ეკლესიის წარმომადგენლების მიერ წამოყენებული წინადადება; კრიტიკა კონფერენციის მიერ მოწონებული იქნა. ფედერაციის აღმასკომის წარმომადგენლები ეკლესიის მიერ წამოყენებულ წინადადების მიღებას იმით ამართლებენ, რომ მემაღაროელებს აუცილებელი დაბრკოლებები ელობება, რომელიც მათ ემუქრება ბრძოლის გაგრძელებით და განმარტოებით. სამხრეთ უელსის, დურჰემის და ლანკაშირის დელეგატებმა ხმა მისცეს ეკლესიის წინადადების მოხსნას. კონფერენციის დადგენილება არ გამოხატავს მემაღაროელთა განწყობილებას. რადგან კონფერენცია სასწრაფოდ იყო მოწვეული სამი დღის განმავლობაში და დელეგატებს არ ჰქონდათ საშუალება წინასწარ დაბალი ფენების კრებების მოწვევის და ინსტრუქციების მიღებისა. დელეგატები გამოხატავენ კონფერენციაზე საოლქო აღმასკომების შეხედულებას. დელეგატების მიერ წამოყენებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ მუშაობა განაახლა ყველა მაღაროებში 6.000 კაცმა 1.250.000 კაციდან.

სამღვდელოების მემორანდუმი

ლონდონი, 30 ივლისი. სამღვდელოების მემორანდუმში, რომელიც მიღებულ იქნა ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის მიერ 1926 წ. 15 ივლისს, შემდეგ წინადადებებს აყენებს სანახშირო მრეწველობაში შექმნილ კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის.

1) მუშაობის დაუყოვნებლივ განახლება 1926 წ. 30 აპრილამდე არსებულ პირობებში; მაღაროს მეპატრონეთა და სამთამადნო მუშათა შორის შეთანხმება მთელი ინგლისის მასშტაბით უნდა მოხდეს.

2) განსაზღვრული ვადის განმავლობაში (რომელიც 4 თვეს არ უნდა აღემატებოდეს) დადებულ უნდა იქნეს შეთანხმება მთელი ინგლისის მასშტაბით. პირველი მუხლის წინადადების განსახორციელებლად მთავრობამ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში [illegible] უნდა აღმოუჩინოს იმ გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავებულ უნდა იქნეს მეფის სანახშირო კომისიის ყოფილ წევრთა მიერ. ამის გამო, მეფის სანახშირო კომისია ხელახლად უნდა იქნეს მოწვეული ზემოდასახელებულ და ქვემომოყვანილ საკითხების გადასაწყვეტად.

3) სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის პირობები და სამუშაო ხელფასის რაოდენობის საკითხი (როგორც ეს აღნიშნული იყო მეფის სანახშირო კომისიის მოხსენებაში) დეტალურად უნდა დამუშავდეს პლენუმის კომისიაში და, თუ საჭირო იქნება, კანონპროექტის სახით უნდა იქნეს შეტანილი პარლამენტში.

4) სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება უახლოეს მომავალში იქნან განხორციელებული, უნდა გატარდეს ცხოვრებაში მაშინვე, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება.

5) მთავრობამ უნდა მისცეს გარანტია იმისა, რომ მეფის სანახშირო კომისიის წინადადებებს, რომლებიც კანონმდებლობაში სანქციას საჭიროებენ, კანონის ძალა მიეცემათ, და შეტანილი იქნებიან კანონთა კრებულში.

6) თუ შეთანხმება პირველი მუხლით განსაზღვრული ვადების განმავლობაში ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ყველა მუხლებში, მაშინ იქმნება გაერთიანებული კომისია ორთავე მხარის წარმომადგენელთაგან (მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა), რომლებიც დამოუკიდებელ თავმჯდომარეს ირჩევენ. ამ კომისიის დადგენილება სავალდებულოა ორთავე მხარისათვის.

ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის რწმუნებით კუკი (მდივანი).

როგორც ცნობილია, ბოლდუინის პასუხი სამღვდელოების წინადადებაზე შემდეგს შეიცავს:

1) მაღაროებში მუშაობის პირობები განსაზღვრულ უნდა იქნეს მემაღაროეთა და მაღაროს მეპატრონეთა შორის შეთანხმების გზით.

2) მთავრობის მიერ სუბსიდიის გაღების და გაფიცვამდე არსებულ პირობებში მუშაობის განახლების შესაძლებლობა გამორიცხულია.

მეფის სანახშირო კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ინგლისის სანახშირო მრეწველობის ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობის ლიკვიდაციისათვის, აუცილებლად საჭიროა საწარმოო ხარჯების შემცირება ან სამუშაო ხელფასის დაკლების და სამუშაო დღის ხანგრძლივობის გადიდების საშუალებით.

„ექვსი პრემიერის“ სამფლობელოში

მშრომელთა ხარჯზე

პარიზი, 30 ივლისი. დარწმუნდენ რა, რომ პუანკარეს საფინანსო პროექტები, რომელნიც მძიმე ტვირთად აწვებიან მოსახლეობის ფართო ფენებს მიღებულ იქნებიან, მემარჯვენე ბურჟუაზიული ჯგუფები გადავიდნენ ახალ იერიშებზე. გაზეთი „ფიგარო“, „ვიქტუარ“, „ავენირ“ და სხვა რეაქციონური მიმართულების გაზეთები მოითხოვენ სახელმწიფო მონოპოლიის გაუქმებას. „ლიბერტე“ წინადადებას იძლევა, გაყვანილ იქნეს მთავრობის შემადგენლობიდან ერიო, რადგან „ის ცუდ გავლენას ახდენს პუანკარეს საფინანსო პროექტებზე“. ფრანკის დაცემას უკანასკნელ დროს გაზეთი ხსნის იმით, რომ ბევრმა დაჰკარგა მთავრობის საფინანსო პროექტების იმედი. პრესის კამპანიასთან ერთად ქალაქში კედლებზე გაკრულია მწარმოებელთა ორგანიზაციის მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის ხსნა მხოლოდ 8 საათის სამუშაო დღის მოსპობას შეუძლია.

გაფიცვა რუბეში

პარიზი, 30 ივლისი. რუბეში გაიფიცა 2.400 მეღითონე.

მუშებმა გაიმარჯვეს

პარიზი, 30 ივლისი. 4 ნახ. თვის შემდეგ ლაროკ დოლმსში მქსოველთა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა. მწარმოებლებმა იცნეს პროფკავშირი და სამუშაო ხელფასის გადიდება 30—40%.

საფრანგეთის ფინანსიური პროექტი

პარიზი, 31 ივლისი. დეპუტატმა კანდასმა შეიტანა წინადადება, რომ პუანკარეს ფინანსიურ პროექტის განხილვის დროს დეპუტატებს წაერთვათ შესწორების შეტანის უფლება.

სოციალისტებმა შეიტანეს კანონპროექტი, რომელიც უარყოფილ იქნა 384 ხმით, წინააღმდეგ 210 ხმისა. კანდასის რეზოლიუცია მიღებულ იქნა 350 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 201 ხმისა.

პუანკარეს ულოცავენ

პარიზი, 30 ივლისი. „ჟურნალის“ ცნობით, ბელგიის მინისტრებმა უსურვეს პუანკარეს პირველი ფინანსიური ზომების გატარება იმ ენერგიით, როგორითაც მან ეს დაიწყო.

გენერალ სიმონის დანიშვნა

პარიზი, 30 ივლისი. იტყობინებიან, რომ პარიზში ჩამოსული სირიის კომისარი დე-ჟუვენელი სირიაში აღარ დაბრუნდება. დე-ჟუვენელის მემკვიდრეობა ხვდება წილად გენერალ სიმონს, რომელიც ხელმძღვანელობდა მაროკოში წარმოებულ მოლაპარაკებას.

პუანკარეს სიტყვა პროექტის დასაცავად

პარიზი, 31 ივლისი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ განიხილა პუანკარეს ფინანსიური კანონ-პროექტი. პროექტის დასაცავად გამოსულმა პუანკარემ აღნიშნა, რომ პროექტს მიზნად აქვს ხაზინის მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება და საფრანგეთის ფინანსების გაჯანსაღების გეგმის განხორციელება.

„მთავრობა, სთქვა პუანკარემ, შესძლებს, რომ ფრანკს ჰქონდეს რეალური ღირებულება; მას განზრახული აქვს, რომ ფრანკის სტაბილიზაციამდე ასწიოს მისი კურსი“.

პუანკარე მოუწოდებდა პალატას, რომ ყველა იდეები და მოსაზრებანი შესწირონ ფინანსებისა და ვალიუტის აღდგენის საქმეს.

პალატამ 380 ხმით, წინააღმდეგ 150 ხმისა მიიღო წინადადება პროექტის მუხლობრივად წაკითხვაზე გადასვლის შესახებ.

კამათი დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 31 ივლისი. დღეს დილით, დეპუტატთა პალატაში დაიწყო კამათი ფინანსიური საკითხების შესახებ.

ფრანკიმ და ვანდერველდემ პუანკარესთან და ბრიანთან თათბირზე გადასწყვიტეს, რომ ყოველთვის იქონიონ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ფრანკის კურსის აწევის საკითხის შესახებ.

რენოდელი პუანკარეს მთავრობის სადარაჯოზე

ის სოლიდარობას უცხადებს სოციალ-დემოკრატ მილიტარისტ პოლ ბონკურს

პარიზი. რენოდელმა უარი სთქვა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის მანდატზე. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის აღმასკომმა გადასწყვიტა ინტერნაციონალისთვის მოეთხოვა პრინციპიალური გადაწყვეტილების მიღება იმის წინააღმდეგ, რომ სოციალისტი არასოციალისტური მთავრობის წარმომადგენლად იყოს ხალხთა ლიგაში. ეს გადაწყვეტილება მიმართულია პოლ ბონკურის წინააღმდეგ, რომლის ყოფაქცევამ ჟენევაში უდიდესი დაბრკოლება შექმნა განიარაღების საკითხის გადაწყვეტისთვის და ყველა ქვეყნების პაციფისტებს იმედი გაუცრუვა. ამ რიგად რენოდელმა სოლიდარობა გამოუცხადა პოლ ბონკურს. ბონკური ის ფრანგი სოციალისტია, რომელმაც ქება-დიდება მიუძღვნა პოლონეთის და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოების მილიტარიზმს, მიტომ რომ, „ისინი მოწინავე პოსტებს წარმოადგენენ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის დასაცავად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ“-ო.

პ ა ნ ე ბ ი ს   პ ო ლ ო ნ ე თ შ ი

ბართელის „აღსარება“

ვარშავა, 30 ივლისი. ბართელის სიტყვა სენატში უმთავრესად შეეხებოდა ეკონომიურ საკითხს. **პოლიტიკურ ნაწილში ბართელმა პირველყოვლისა ხაზი გაუსვა პოლონეთის მშვიდობიან სურვილების გულწრფელობას.**

„ტენდენციური პროპაგანდა, განაცხადა ბართელმა, ჩვენ გვაწერს ისეთ განზრახვებს, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მშვიდობიანობას. მაგრამ ყველასთვის, ვინც კარგად იცნობს პოლონეთის მდგომარეობას, აშკარაა, რომ **ასეთი განზრახვები საშიშარი იქნებოდა თვით პოლონეთის მთლიანობის და ავტორიტეტისთვის**“. სახელმწიფოებს შორის ბართელმა მოიხსენია მხოლოდ საფრანგეთი და მიესალმა საფრანგეთში ავტორიტეტული მთავრობის შედგენას პუანკარეს მეთაურობით. იმის გამო, რომ პოლონეთის ეხლანდელ მთავრობას თვითმპყრობელობის მიდრეკილებებს აბრალებენ, პრემიერმა განაცხადა: „ვინც დამოუკიდებლათ და ლოღიკურათ აზროვნებს მისთვის აშკარაა, რომ **არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება საკმაოდ დამოუკიდებელი იქნება საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან.** დასასრულ ბართელმა განაცხადა, რომ მთავრობას იმედი აქვს სეიმის და სენატის ნაყოფიერი მუშაობის არდადეგების შემდეგ.

პილსუდსკის განცხადება

ვარშავა, 30 ივლისი. „ჩიკაგო ტრიბუნის“ სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში პილსუდსკიმ განაცხადა:

„ყოველგვარი მითქმა-მოთქმა ჩემი იმპერიალიზმის შესახებ, მოგონილია პოლონეთს რომ ჰქონდეს რწმენა იმისა, რომ მას არავინ დაესხმის თავზე, მე პირველი ვიქნებოდი პოლონეთის არმიის დაშლის მომხრე.

პოლონეთს არ აქვს განზრახვა წაართვას ტერიტორიის პატარა ნაჭერიც კი, რომელიმე მეზობელ სახელმწიფოს, მაგრამ იგი მთელის თავისი ძალ-ღონით დაიცავს საკუთარი მიწა-წყალის ყოველ მტკაველს. პოლონეთი მზადაა, რომ შექმნას ლოკარნო აღმოსავლეთ ევროპისათვის, ვინაიდან იგი ისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ.

რას ნიშნავს ძალა-უფლების გადიდება?

ვარშავა, 31 ივლისი. ბართელმა განაცხადა, — პოლონეთის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ევროპის ეკონომიური მდგომარეობის შედეგია; ძალაუფლების გადიდება საშუალებაა პალატის მუშაობის დასაჩქარებლათ.

რ ა კ ო შ ი ს   პ რ ო ც ე ს ი

დამცველთა სიტყვები

ვენა, 31 ივლისი. რაკოშის პროცესზე დასრულდა დამცველთა სიტყვები წარმოთქმა. დამცველებმა აღნიშნეს შემდეგი: მიუხედავათ იმისა, რომ პროკურორს არავითარი კონკრეტიული საბუთი არ ჰქონია რომელიმე ბრალდებულისთვის არსებული წყობილების დანგრევის განზრახვა დაებრალებინა, ის მაინც ცდილობდა საბრალმდებლო სკამზე დაესვა რაკოში და სხვები არა მარტო მათი რწმენისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის მიმართ სიმპატიის გამოხატვისათვის, რაც სისხლის სამართლის არც ერთი მუხლით გათვალისწინებული არ არის. **დამცველებმა მოითხოვეს ყველა ბრალდებულთა განთავისუფლება.**

კათოლიკების დევნა მექსიკაში

სამღვდელოება გაფიცვისთვის ემზადება

ლონდონი, 31 ივლისი. „დეილი მეილ“-ს ნიუ-იორკელ კორესპონდენტის ცნობით, მექსიკაში მოელიან მღვდლების მიერ ეკლესიების მიტოვებას. ეკლესიებსა და საეკლესიო ქონებას მთავრობის წარმომადგენლები ჩაიბარებენ შაბათს, შუადღისას. ამის შემდეგ სამღვდელოება იწყებს გაფიცვას: შესწყვეტენ მონათვლას, ჯვარის დაწერას და წესის აგებას. პრეზიდენტმა გალესმა ბრძანება გასცა განაიარაღონ კათოლიკები. ჯარი მზად არის ჩააქროს ყოველგვარი აჯანყება და არეულობა. **პროფკავშირებში გაერთიანებული მუშები მხარს უჭერენ პრეზიდენტის მოქმედებას. კვირას მექსიკაში გაიმართება 100.000 მუშის აღლუმი.** ეკლესიას იმედი აქვს, რომ ბოიკოტი ააღელვებს ხალხს მთავრობის წინააღმდეგ. კათოლიკები პირობას სდებენ, რომ იყიდიან საჭირო საქონელს მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს, შესწყვეტენ სიარულს გასართობ ადგილებში და არსად წავლენ სამგზავროდ.

მექსიკის პაპის წარმომადგენლების გადასახლება

მექსიკო, 31 ივლისი. მექსიკის მთავრობამ მექსიკიდან გადაასახლა პაპის წარმომადგენელი.

გენერალურმა პროკურორმა განკარგულება გასცა მექსიკის კათოლიკების განიარაღების შესახებ.

„ილოცეთ მექსიკელ ძმებისთვის“

რომი, 30 ივლისი. პაპა მოუწოდებს მთელი ქვეყნის კათოლიკებს კვირას „ილოცონ დევნილ მექსიკელ ძმებისათვის და შესთხოვონ ღმერთს პატიება მექსიკის ანტიქრისტიანულ მთავრობისათვის“.

გერმანია ერთა ლიგაში

პარიზი, 31 ივლისი. ბრიანსა და ვანდერველდეს შორის მოლაპარაკების დროს გამოითქვა აზრი, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შეყვანის გადადება შეუძლებელია. არჩევის წესრიგი დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ მიღებული იქნება ერთა ლიგის სესიის შეკრებამდე.

ო რ ი   პ ო ლ ი უ ს ი

პარიზი, 30 ივლისი. ბელგიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის მოღვაწემ, ბრენკომ პარტიის ბრიუსელის ფედერაციის კრებაზე განაცხადა, რომ სოციალისტი მინისტრები ბურჟუაზიის მძევლები არიან.

„ნახევარი ზომებით ქვეყნის გადარჩენა არ შეიძლება, სთქვა ბრინკომ. ნიუ-იორკი და მოსკოვი თანამედროვე მსოფლიოს ორი პოლიუსია. თუ ჩვენ შეუთანხმდებით საბჭოთა კავშირს, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით ამერიკის ვასალები.

ამერიკის ხელმძღვანელობით

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. „ნიუ-იორკ ჰერლონი“ იუწყება, რომ პრეზიდენტ კულიჯმა დაავალა პარიზში მყოფ ფინანსთა მინისტრს მელონს მოაწყოს თათბირი ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებთან მათი ქვეყნების ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება

ვარშავა, 30 ივლისი. მოლაპარაკება პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ გერმანიის დელეგაციის წინადადებით შეწყვეტილ იქნება 10 აგვისტოს. დელეგაციები კვლავ შეიკრიბებიან სექტემბრის შუა რიცხვებში.

ბრიტანეთის კომისია შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 31 ივლისი. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს კომისია მუშებისა და მწარმოებელთა გამოჩენილი წარმომადგენლებიდან შემდგარი შეერთებული შტატების საწარმოო ურთიერთობის შესასწავლად. კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნულია ბრიტანეთის მრეწველობის მდგომარეობის დიდი მცოდნე. კომისია არ ამჟღავნებს მასში შემავალ წევრების სახელსა და გვარს. კომისიაში შევა აგრეთვე მთავრობის ორი წარმომადგენელი. გამგზავრება განზრახულია სექტემბერში.

ინგლისის საიმპერიო კონფერენცია გადაიდო

ლონდონი, 30 ივლისი. ბალდუინმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ კანადის მთავრობის თხოვნის გამო და ყველა დომინიონების მთავრობებთან შეთანხმებით, საიმპორტო კონფერენცია გადადებულია 19 ოქტომბრისათვის.

ჰენდერსონის შიში და იმედები

ლონდონი, 30 ივლისი. ჰენდერსონმა მიმართა უნგრეთის ელჩს ლონდონში წერილით, რომელშიაც მუშათა პარტიის სახელით სერიოზულ შიშს გამოსთქვამს ბუდაპეშტში პოლიტიკურ მოღვაწეთა გასამართლების გამო. ჰენდერსონს იმედი აქვს, რომ „უნგრეთის სასამართლოს მოქმედების ხაზი უფრო მჭიდროთ დაკავშირებულია დასავლეთ-ევროპის სასამართლოების ხაზთან, ვინემ ის გაზეთების ანგარიშებიდან სჩანს“.

სიმშილობა შელავის ციხეში

ვენა, 30 ივლისი. 100 პოლიტიკურმა ტუსაღმა შელავში (რუმინია) შიმშილი გამოაცხადეს პროტესტის ნიშნით ციხის მცველთა პროვოკაციული მოქცევის გამო, რომლებმაც დასჭრეს რამოდენიმე დატყვევებულნი, თითქოს იმიტომ, რომ მათ გაქცევა უნდოდათ.

კულიჯის კანდიდატურა

ნიუ-იორკი, 30 ივლისი. ყოფილმა ამერიკელმა წარმომადგენელმა იტალიაში ჩაილდმა განაცხადა, რომ პრეზიდენტ კულიჯს მომავალ 1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში განზრახვა აქვს თავისი კანდიდატურა წამოაყენოს.

ნორვეგიის დელეგატები ერთა ლიგაში

ოსლო, 30 ივლისი. ნორვეგიის ტელეგრაფის სააგენტო იუწყება, რომ მომავალ ენკენისთვის ერთა ლიგის სესიაზე გასაგზავნ **დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა ფრიტიოფ ნანსენი.**

ლენსბერი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ხარკოვი, 31 ივლისი. 30 ივლისს ლენსბერი, რომელიც მიემგზავრება კავკასიაში, ჩავიდა ხარკოვში.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ლენსბერი შეეხო საკითხს ინგლის-საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ურთიერთობის შესახებ.

„ჩემის აზრით, განაცხადა ლენსბერიმ, **ინგლისის ბურჟუაზიას სურს მშვიდობიანი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან. ურთიერთობის შეწყვეტას მოითხოვს ინგლისის ბურჟუაზიის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.** ეს უკიდურესი მემარჯვენენი ბევრს ხმაურობენ, მაგრამ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მათ არავითარ ანგარიშს არ უწევს. ინგლისის მშრომელთა ფართო მასები ნებას არ მისცემენ ინგლისის იმპერიალისტებს რაიმე ზიანი მიაყენონ საბჭოთა კავშირს“.

შეეხო, რა პოლონეთის ეხლანდელ პოლიტიკას, ლენსბერიმ განაცხადა:

„პოლონეთის აგრესიული პოლიტიკა ქმნის ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს რადგან, ლიტვის ხელში ჩაგდების შემდეგ, პოლონეთი გადასდგამს ახალ აგრესიულ ნაბიჯებს. ინგლისის პროლეტარიატი მთელი თავისი ძალ-ღონით იბრძოლებს ახალი ომის შესაძლებლობის წინააღმდეგ და ყოველივე საშუალებებით გაუწევს წინააღმდეგობას ინგლის პოლონეთის დიპლომატიას“.

სხვადასხვა

კერზონის ძეგლი. ბოლდუინმა და მთავრობის სხვა წევრებმა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად (მათ რიცხვში ასკვიტმა და მაკდონალდმა) მიმართეს მოწოდებით მოსახლეობას შეიტანონ შემოწირულება კერზონის ძეგლების ასაგებ ფონდში. ძეგლი აგებულ იქნება ვესტმინსტერის სასახლეში და იმ სახლის მახლობლათ, სადაც ცხოვრობდა კერზონი.

საპორტო შეღავათები ამერიკაში. პრეზიდენტმა კულიჯმა გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც ნებას რთავს კანადის, ნიუ ფაუნდლენდის, ბერმუტის და ბაგამის კუნძულების და მექსიკის მოქალაქეებს, რომ გაიარონ შეერთებული შტატის გზით, გარეშე განსაკუთრებული პასპორტებისა და შეზღუდვათა, რომლებიც დაწესებული იყო ამ ქვეყნის მიმართ.

მუშათა და მწარმოებელთა ურთიერთობის შესასწავლად. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა, გააგზავნოს შეერთებულ შტატებში ინგლისის მუშების და მწარმოებლების გამოჩენილ წარმომადგენლებთან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ურთი-ერთ დამოკიდებულება მუშებსა და მწარმოებლებს შორის ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში. კომისია ინგლისიდან გაემგზავრება სექტემბერში. მთავრობა ჯერ არ აქვეყნებს კომისიის წევრთა გვარებს.

გახურებული შანთით. იაპონიაში გაასამართლეს ამერიკელი მისიონერი ხეისმერი, რომელმაც კორეელ ბავშვს ვაშლის მოპარვისათვის შუბლზე გახურებული შანთით ამოუწვა სიტყვა „ქურდი“.

ხეისმერს მიუსაჯეს 3 თვის ციხე.

მიწისძვრა ლამანშის ნაპირებზე. ინგლისის სამხრეთ ნაწილში, ქვემო ნორმანდიაში და ჯერსეის კუნძულზე პარასკევს მოხდა მიწისძვრა. ზოგიერთ უბნებში მცხოვრებლებს ეგონათ, რომ ხდება ზღვის მიმოქცევა, მაგრამ გაკვირვებული დარჩნენ, როცა დაინახეს, რომ ზღვა დაწყნარებული იყო. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

წყალდიდობა იაპონიაში. წყალდიდობამ უდიდესი ზარალი მიაყენა ქალაქ ტოჩიო-მაჩის. ზარალი ოფიციალური ცნობით უდრის 200 მილ. მან. ამ გუბერნიაში დაიკარგა და დაიღუპა 400 კაცი. იპოვნეს მხოლოდ 70 გვამი.

გამოხატულებათა მანძილზე გადაცემა. „მატენი“ იტყობინება, რომ ტელეოპტიკის პრობლემა საბოლოოდ გადაწყვეტილია. ტელეფონოგრაფის გამომგონ ბლონისა და რადიო ინსტიტუტის თანამშრომელ გოლევკის ცდამ აღმოაჩინა, რომ ელექტრონის ძალით შეიძლება გაიგზავნოს და მიიღო 100.000 ცალკე სიგნალების გამოხატულება ერთი წუთის განმავლობაში.

ნიუ-იორკში შესდგა ქრისტიან - ჰუმანისტების“ კავშირის მოღვაწეთა კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა მიმართოს პრეზიდენტს პეტიციით და სთხოვოს ბოროტმოქმედთ სიკვდილით დასჯა ელექტრონის სკამზე შეუცვალოს გილიოტინით. „ელექტრონის სკამზე ადამიანი წვალობს რამდენიმე წუთის გამავლობაში, გილიოტინის ქვეშ კი—რამდენიმე წამი. ელექტრონის სკამის შეცვლა გილიოტინით ნაკარნახევია ჰუმანიურობის იდეით“—ასეა ნათქვამი ამ „ქრისტიანების“ პეტიციაში.

საბერძნეთის ახალ მთავრობაში, რომელსაც ფინანსების განმტკიცების მიზნით მინიჭებული აქვს დიქტატორული უფლებები, შედიან: თავმჯდომარეთ ხეტაკსაკის, საგარეო საქმეთა მინისტრი—რუფოსი და ეროვნულ. თავდაცვის მინისტრები სირია და ნოსი.

საბჭოების გადარჩევა გაერთიანებულ პლენუმზე

(„იზვესტიას“ მოწინავე)

მოსკოვი, 31 ივლისი. „იზვესტია“ თავის მოწინავეში „საბჭოების გადარჩევა გაერთიანებულ პლენუმზე“ მიუთითებს, რომ კამათი შეეხო საკითხებს, რომელიც იდგა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე შინაური პოლიტიკის სფეროში. ამ კამათის ერთ არა ნაკლებ მნიშვნელოვან შედეგათ მივიღეთ გაერთიანებული ოპოზიციის სრული გაკოტრება. ოპოზიციამ გაერთიანებულ პლენუმზე საკმაო სიცხადით გამოამჟღავნა, რომ მან დაკარგა სავსებით ლენინიზმის პრინციპები. ოპოზიცია შეშფოთებულია იმის გამო, რომ ქალაქისა და სოფლის უპარტიო მასა ამოძრავდა. მან ვერ გაიგო საბჭოების გადარჩევის ძირითადი დასკვნა,—რომ მუშათა კლასს, რომელიც თავისი პარტიის საშუალებით დაუკავშირდა ღარიბ მასებს, შეუძლია გაიყოლიოს სოფელი და უფრო ღრმად ჩააბას იგი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში. პლენუმმა დიდი განცვიფრებით მოისმინა ოპოზიციის მიერ წამოყენებული „დეკლარაცია“, რომელიც წარმოადგენდა გაურკვეველ შეერთებას წინანდელი ოპოზიციონერების კრიტიკულ გამოსვლებისას. ეს იყო პარტიის გაძარცვის პირდაპირი ცდა, რომ ის იძულებული გაეხადათ მეცა ფრაქციული ჯგუფებისათვის ლეგალური არსებობის ნებართვა, მიეცა ამ ფრაქციებისათვის პარტიაში ხელმძღვანელობის განსაკუთრებული როლი და ჰქონოდათ თავისუფალი დამოკიდებულება ყრილობის ყოველგვარ გადაწყვეტილებასთან, ან ჰქონოდათ უფლება მათი უარყოფისა. ბოლოს და ბოლოს ეს ისეთი უპრინციპო დემაგოგია გამოდგა, რომლის მსგავსი არა ერთხელ უნახავს ჩვენი საკავშირო კომუნისტური პარტიის განვლილ ისტორიას. პლენუმი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, თუ რა საშიშელი საფრთხე ემუქრება მუშათა კლასის პარტიას, როგორც ერთად-ერთ ლეგალურ ნიადაგზე მდგომ მუშათა პარტიას. საკავშირო კომუნისტური პარტიის საშუალებით დროგამოშვებით უნდა მოხდეს არა პროლეტარული კლასების და ჯგუფების შევიწროება, რომლებმაც იპოვეს გამოსავალი ოპოზიციონურ ბლოკის საშუალებით.

დიდი ხანია ცნობილია, რომ პოლიტიკა არითმეტიკა არ არის. შესაძლებელია მოხდეს, რომ ფართო დემოკრატიულ - ლიბერალურ გაერთიანებას ყველა წინანდელ ოპოზიციონურ ჯგუფებისას და მასში უახლოებლესი დროის ლენინგრადის ოპოზიციის ლიდერების გათქვეფას შედეგათ მოჰყვეს ოპოზიციონური ბლოკის მიმზიდველობისა და მნიშვნელობის გაზრდა. მაგრამ სულ წინააღმდეგი მოხდა. ის პირები, რომლებიც 1921 წელში ლენინთან ერთად ილაშქრებდენ მაშინდელი ოპოზიციის წინააღმდეგ და 1924-25 წლებში ოპოზიციის ბელადებისათვის ვერ გამოეძებნათ შესაფერი სასჯელი, ამჟამათ სიამოვნებით ცდილობენ გაითქვიფონ ამ ოპოზიციაში და ავსებენ მის რიგებს. ამ პირებს თითონ გამოაქვთ შეუბრალებელი განაჩენი თავის-თავის შესახებ მუშათა კლასის წინაშე. ასეთ პოლიტიკურ აბდა-უბდასა და სიბითურეს პროლეტარიატი მთლიანად უთმობს ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს და არ გახდის თავის მოწინავე მებრძოლ ამხანაგების საქმედ.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. მენჟინსკის დანიშვნა

მოსკოვი, 31 ივლისი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, საბჭოთა კავშირის გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარედ დაინიშნოს გაერთ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ვიაჩესლავ რუდოლფის-ძე მენჟინსკი.

სასოფლო მეურნეობის მუშათა კავშირის დაშლა

რომი, 31 ივლისი. პოლიციის უფროსის მოლინელის განკარგულებით დაშლილია სასოფლო მეურნეობის მუშათა კავშირი მისი „ანტინაციონალური და რევოლუციონური ხასიათის გამო“.

კავშირის დათხოვნის ნამდვილი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ იგი დიდი გავლენით სარგებლობდა სასოფლო მეურნეობის მუშათა შორის.

მიწისძვრა

პარიზი, 31 ივლისი. გუშინ, ქვემო-ნორმანდიაში (საფრანგეთი) მიწისძვრამ დაანგრია შენობები. მიწისძვრა ძალიან საგრძნობი იყო მთელ სანაპირო ხაზზე სენ-მალოდან დაწყებული შავრამდე.

კოვალიოვის გარდაცვალება

ბაქო, 31 ივლისი. 31 ივლისს გულის სიგანივრით გარდაიცვალა აზერბეიჯანის რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის თავმჯდომარე კოვალიოვი. კოვალიოვი მსახურობდა იუსტიციის ორგანოებში 35 წელიწადი. კოლეგიის თავმჯდომარედ იყო გასაბჭოების დღიდან.

„რემედასის“ ალმასკომის წერილი ლენსბერისადმი

მოსკოვი, 31 ივლისი. რემედასის ალმასკომმა ლენსბერს გაუგზავნა წერილი, სადაც იგი მადლობას უცხადებს ლენსბერის მის მიერ ინგლისში „რემედასის“ შესაქმნელად გაწეულ მუშაობაში.

პირველი რუსული მიკროსკოპი

ლენინგრადი, 31 ივლისი. სახელმწიფო ოპტიკური ინსტიტუტის საოპტიკო სახელოსნო გამოუშვებს პირველ რუსულ მიკროსკოპს, რომელიც რუსული მინითაა დამზადებული.

ტროპიკული სიცხე

კრასნოიარსკი, 31 ივლისი. ტროპიკული სიცხეების გამო არის შემთხვევები უეცარ გარდაცვალების. დღისით ტემპერატურა 45 გრადუსამდე აღწევს. მოსავალს საფრთხე ელის.

ესპერანტისტების კონგრესი

ლენინგრადი, 31 ივლისი. 2 აგვისტოს ლენინგრადში იხსნება ესპერანტისტების სრ. საკავშირო კონგრესი.

ხოლო 6 აგვისტოს ლენინგრადშივე გაიხსნება ესპერანტისტების საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც დაესწრება 250 უცხოელი დელეგატი.

ინგლის - რუსეთის მთლიანობის კომიტეტი

პარიზი, 31 ივლისი. ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის სხდომები მოხდა პარასკევს საღამოთი და შაბათს დილით. კომიტეტმა განიხილა საერთაშორისო მდგომარეობა ახლო წარსულ ამბებთან დაკავშირებით.

განაჩენი კომუნისტების საქმეზე

ვენა, 31 ივლისი. კიშინიოვის სამხედრო სასამართლომ გაარჩია 8 კომუნისტის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ უჯრედის მოწყობის განზრახვა. ერთ ბრალდებულთაგანს სასამართლომ მიუსაჯა 4 წლით ციხე, დანარჩენებს 3 თვიდან—6 თვემდე დაპატიმრება.

ბერლინი, 30 ივლისი. „როტე ფანე“-ს აკრძალვის გამო გამოვიდა არალეგალური ნომერი, „როტე შტურმფანე“.

საფინანსო საკითხი საფრანგეთში და ბელგიაში

პარიზი, 3 ივლისი. პარიზში ჩამოსულ. ვანდერველდეს და ბელგიის ფინანსთა მინისტრს თათბირი ჰქონდა ბრიანთან და პუანკარესთან საფრანგეთის და ბელგიის ფრანკის კურსის აღსადგენად საერთო ღონისძიებათა გამომუშავების შესახებ.

თათბირზე გამომუშავებულ იქნა პროექტი რომელიც ითვალისწინებს გაერთიანებულ ღონისძიებათა მიღებას საფრანგეთისა და ბელგიის ფრანკის კურსის დაცვისათვის.

კერძოდ, მიღებულია გარდაწყვეტილება, რომ ბელგიამ, ვალიუტის კურსის დასაცავად გირვანქა სტერლინგების და დოლარების გაყიდვის დროს მხედველობაში იქონიოს საფრანგეთის ინტერესები.

მაღაროს მეპატრონეთა ახალი პირობები

ლონდონი, 30 ივლისი. ვესტერშირის მაღაროს მეპატრონეებმა გამოაქვეყნეს ახალი პირობები მაღაროებში მუშაობის განახლებისათვის. ეს პირობები ითვალისწინებენ 8 საათის სამუშაო დღის დაწესებას და გაფიცვამდე არსებულ სამუშაო ხელფასის მომატებას 1-დან 3 შილინგამდე კვირაში.

კოლონიალური საკითხი გერმანიაში

პარიზი, 31 ივლისი. კოლონიალური მოქმედების კომიტეტმა მოითხოვა, რომ კანცლერმა დასვას საკითხი გერმანიისათვის კოლონიების ნაწილის დაბრუნების შესახებ, როგორც პირობა გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის.

ავსტრიის განიარაღება

პარიზი, 31 ივლისი. ელჩთა კონფერენციამ დაადასტურა თავის წარმომადგენლებსა და ავსტრიის დელეგატებს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც სრულ თანხმობას ქმნის ავსტრიის განიარაღების საკითხში.

საგანგებო წესები ინგლისში

პარიზში, 31 ივლისი. თემთა პალატამ 230 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 84 ხმისა მიიღო თავრობის წინადადება საგანგებო წესების გაგრძელების შესახებ.

აღმოსავლეთში

რვა საათის სამუშაო დღეს საფრთხე მოელის

„ექსპერტთა კომიტეტი“ საფრანგეთის ფინანსების „გაჯანსაღების“ სხვა ზომათა შორის ასახელებს „რვა საათის სამუშაო დღის კანონის გაფართოებული განმარტების“ აუცილებლობას. თავისთავად ცხადია, რომ გაფართოებული განმარტება, კომიტეტის აზრით, უნდა მოხდეს არა რვა საათის სამუშაო დღის პრინციპისა, არამედ ყველა იმ გამონაკლისებისა და შეზღუდვათა, რომლებსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა.

როგორია ეს გამონაკლისები და შეზღუდვანი?

კანონი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ გამოიცა საფრანგეთში 1919 წ. 25 აპრილს და შრომის კოდექსის მეორე თავში იქნა შეტანილი ამ თავის მე-6, 7 და 8 მუხლებად.

უკვე პირველი მათგანი, ე. ი. მეექვსე მუხლი ხაზს უსვამს, რომ 8 საათის მუშაობა დღეში ანუ 48 საათის მუშაობა კვირაში არ უნდა აღემატებოდეს **ნამდვილი** მუშაობის ხანგრძლივობას. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ის დრო, რომელსაც მაგ. მუშა ატარებს სახელოსნოში მანქანის ამოქმედების ნიშნის მიცემამდე, არ ითვლება მის სამუშაო დღეში და უნაყოფოდ იკარგება, თუმცა წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით მუშა სამუშაო ადგილას უნდა იყოს რამოდენიმე წუთით ადრე ნიშნის მიცემამდე.

ამ დადგენილებამ საგრძნობი დანაკლისი მიაყენა სავაჭრო წარმოებების, რკინისგზების, საბაჟოების და სხ. მოსამსახურეებს. ასე, მაგალითად, საბაჟო ადმინისტრაცია ნანტში სამუშაო დღის ანგარიშში სთვლის მხოლოდ იმ დროს, როცა ჩინოვნიკი ან მებარგული ნამდვილად ზიდავს ტვირთს ან მგზავრის ბარგს, მაგრამ როცა ისინი ტვირთის ერთ პარტიას გადაზიდავენ და ელიან ვაგონიდან ბარგის მეორე პარტიის გადმოტვირთვას, ეს დრო არ შედის სამუშაო დღეს ანგარიშში. ამის გამო ნანტის საბაჟოს მოსამსახურეებმა (ჩინოვნიკები, მებარგულები) უნდა იმუშაონ საშუალოდ 10 ს. 40 წ., რომ „რვა საათის“ სამუშაო დღის ხელფასი მიიღონ.

ცხადია, რომ თუ ეხლა გაბატონდა „გაფართოებული განმარტება“, ნანტის მაგალითი გახდება ნიმუშად მუშაობის „ნამდვილი“ პერიოდის გამორკვევისა ყველა შემთხვევებისათვის.

შემდეგი მუხლი, ე. ი. შრომის კოდექსის მეორე თავის მე-7 მუხლი, ამბობს უპირველეს ყოვლისა, რომ მთავრობის ორგანოებს უფლება აქვთ **დროებით შეაჩერონ** რვა საათის სამუშაო დღის შემოღება ამა თუ იმ პროფესიებში, საწარმოო, ან სავაჭრო, ან შრომის კატეგორიის დარგებში, ყოველგან ან განსაზღვრულ რაიონებში“.

ამ დადგენილებამ გამოიწვია ის, რომ მაგალითად, კვების მრეწველობაში ამჟამად მუშათა რამოდენიმე კატეგორია სარგებლობს რვა საათის სამუშაო დღით, მუშათა 70% კი ამ ახალ კანონის მოქმედების გარეშე დარჩა. სწორედ ასევე. 8 საათითაა განსაზღვრული სასტუმროების, რესტორანების და სხვ. მოსამსახურეთა სამუშაო დღე მხოლოდ რამოდენიმე ქალაქში; საფრანგეთის უმრავლეს ქალაქებში კი სამუშაო დღის ხანგრძლივობის დაწესების უფლება ამ დარგის წარმოებებში ადგილობრივ თვით-მართველობას ეკუთვნის.

მე-8 მუხლი შეიცავს დადგენილებას 8 საათის სამუშაო დღის მუდმივად შემოღებას წარმოების იმ დარგებში, სადაც ეს აუცილებლად იქნება ცნობილი. ამ საფუძვლის მიხედვით, მაგალითად, 8 საათის სამუშაო დღე აფთიაქებში განხორციელდება მხოლოდ 1928 წელში; 1927 წელში იმუშავებენ 8½ საათს, ამჟამად კი მუშაობენ 9 საათს.

მაგრამ საფრანგეთის კაპიტალის ეხლანდელი გეგმებისათვის, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმავე მე-8 მუხლის დადგენილებას, რომლის თანახმად დაშვებულია 8 საათის სამუშაო დღის კანონის მოქმედების **დროებითი შეჩერება** იმ შემთხვევებში, როცა ბევრი სამუშაოა, როდესაც ეს **აუცილებელია ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით** ანდა იგი გამოწვეულია უკვე მომხდარ, ან მოსალოდნელ უბედურ შემთხვევის აუცილებლობით.

ამ დადგენილებაში (შრომის კოდექსის § 5 მუხლი 8, თავი II) უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, პირობის „ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით გამოწვეულ აუცილებლობისა“. გარდა ამისა რომ ეს პირობა შეიძლება გამოყენებულ იქნას განუსაზღვრელი რიცხვის დარგებისა, მუშაობის კატეგორიისათვის და სხ., თვით ასეთი „აუცილებლობის“ დაწესება მმართველ წრეებს უშლის ფართო სარბიელს თვითნებობისათვის. სწორედ აქ, ექსპერტთა კომიტეტის მიერ წამოყენებულმა „გაფართოებული განმარტებამ“ შეიძლება გამოიწვიოს უმსგავსო თვითნებობა.

ამ დადგენილების მიხედვით, გარეშე ყოველგვარი კანონმდებლობითი ზომებისა, პარლამენტისა, მუშებთან შეთანხმებისა,—მთავრობას აქვს უფლება შეაჩეროს 8 საათის სამუშაო დღის კანონის მოქმედება მთელს საფრანგეთში ან მის ნაწილში, ყველა დარგებში, ან ზოგიერთში, ყველა მუშებისათვის ან ზოგიერთ კატეგორიისათვის. არ არსებობს არავითარი საზღვარი, არავითარი ფარგლები და შეზღუდვა ადმინისტრაციის მოქმედებისათვის ამ საკითხში. თუ მთავრობა გამოაცხადებს „ეროვნულ აუცილებლობას“, მაშინ ცხადია, რომ იგი იხელმძღვანელებს უფრო გავლენიან სამრეწველო ჯგუფების ინტერესებითა და პოლიტიკური ტაქტიკის შეხედულებებით.

საფრანგეთის პროლეტარიატი, ამგვარად, სდგას ორგვარი საფრთხის წინაშე. არა მარტო არაპირდაპირი გადასახადების, სიძვირის ზრდის, მასიური მოხმარების შემცირების ხარჯზე უნდა გატარდეს „ფინანსების გაჯანსაღება“, არამედ სამუშაო დღის გადიდების ხარჯზეც.

კაპიტალი შეტევას აწარმოებს ყველა ფრონტებზე და მოქმედებაში მოყავს ყველა თავისი იარაღი. მით უფრო მწვავე იქნება ის სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც ვითარდება ეხლა საფრანგეთში.

რა ხდება უცხოეთში

ფლორიდის „ბუმი“

„ბუმ“—მეტად პოპულიარული გამოთქმაა შეერთებული შტატების სამრეწველო განვითარების ისტორიაში. ამ სიტყვით გამოხატავენ მრეწველობის რომელიმე დარგის, ან რომელიმე ცალკე ქალაქის, სწრაფ, არათანდათანობით, არანორმალურ განვითარებას.

შეერთებულ შტატების განვითარების პირველ წლებში „ბუმი“ წინ უძღოდა კაპიტალებისა და მუშა-ხელის გადანაცვლებას ახალ-ახალ რაიონებში. ბუნებრივ სიმდიდრეთა ახალი წყაროების—ოქროს, ნავთის და სხვ. აღმოჩენა ჩვეულებრივად იწვევდა „ბუმს“. ამ რაიონებს აწყდებოდა აუარებელი ხალხი—მუშები, სპეკულიანტები, ავანტიურისტები.

ყველაზე უდიდესი „ბუმი“ მსოფლიო ომის შემდეგ დაკავშირებულია ფლორიდასთან. ფლორიდა არის ნახევარ კუნძული შეერთებული შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. უკვე სამი წელიწადია, რაც ასეული ათასი ხალხი აწყდება ამ ნახევარ—კუნძულს ქვეყნის ყველა კუთხიდან, რომ მიიღონ მონაწილეობა იქ გამეფებულ საშინელ სპეკულიაციაში. ცნობები აუარებელი [illegible] შესახებ, რომელიც ერთი ღამის განმავლობაში შეუძენიათ იქ, ვრცელდება პრესის საშუალებით, ამ ცნობებს ავრცელებენ სხვადასხვა ბანკებისა და საზოგადოებების აგენტები. ეს ცნობები ფლორიდაში იზიდავენ ბედის მაძიებელთა ახალ ჯგუფებს. მატარებლები და გემები ფლორიდის მიმართულებით ხალხს ვერ იტევს, გზა-ტკეცილები სავსეა ავტომობილებით. ნახევარ-კუნძულზე მდებარე მიწების მფლობელთა კომპანიას დაქირავებული ჰყავს გემები და მატარებლები, რომ მიწის მყიდველებს გაუადვილოს ჩამოსვლის საშუალება. ფასები მიწაზე იზრდება არაჩვეულებრივის სისწრაფით, გაყავთ ახალი საავტომობილო გზები, აშენებენ ახალ ხიდებს და ნავთსადგურებს. ნახევარ-კუნძულის ნაპირებზე აგებენ ახალ სასტუმროებს და ქალაქებს.

„ბუმს“ რამდენიმე წლის განმავლობაში წინ უძღოდა ფართო და მოხერხებული კამპანია ფლორიდის პოპულიარიზაციის მიზნით. ამ კამპანიის ყველაზე ჩვეულებრივ მეთოდს წარმოადგენდა სპეციალური წერილების მოთავსება პროვინციალურ გაზეთებში იმ ანგარიშით, რომ ამ წერილებს წაიკითხავენ საშუალო კლასის ქვედა ფენები, რომლებსაც ორიოდე გროშები აქვთ შენახული ბანკებში. ფლორიდას აქებდენ, როგორც ხაზამთრო კურორტს, რომელიც იტალიის საუკეთესო კურორტებს არ ჩამოუვარდება, აქებდენ მის ბუნებრივ სიმდიდრეებს, მის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო შესაძლებლობებს.

როცა ინტერესი საკმაოთ იქნა გაღვივებული, კამპანია გადატანილი იქნა დიდი ქალაქების პრესაში. მოეწყო მთელი კამპანიები, რომელთა განკარგულებაში იყო ლიტერატორები, პროპაგანდისტები და აგენტები მიწის ნაკვეთების გასაყიდათ. ცენტრალურ და დასავლეთის შტატებში მოსახლეობამ ისე სწრაფად იწყო თავისი ანაბარების გამოტანა (ფლორიდაში მიწების შესაძენათ), რომ ბანკებმა გაკოტრების შიშით კონტრ-კამპანია დაიწყეს ფლორიდაში მიწებით სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ფლორიდა მარტო 1925 წ. განმავლობაში რამდენიმე მილიონმა კაცმა ინახულა. მთელი შტატის მოსახლეობა კი 1920 წ. აღწერით ერთ მილიონს არ აღემატება. მცხოვრებთა ერთ-მესამედზე მეტს ზანგები შეადგენენ. ფლორიდის მუდმივ მცხოვრებთა რიცხვი 1925 წ. აღწერით უდრიდა 1.254.000 ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ რამოდენიმე მილიონ ახლად ჩამოსულიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი დარჩა ადგილობრივ.

უდიდესი ნაწილი კი, გამდიდრებული თუ მათხოვრად ქცეული, უკან ბრუნდება.

გაზეთების ცნობით, სულ რამდენიმე ხნის წინათ ფლორიდაში ასეთი მდგომარეობა იყო: ფლორიდის ძველი ქალაქები და დაბები სწრაფად შენდებოდა. ფასები სურსათ-სანოვაგეზე და ბინებზე არაჩვეულებრივათ გაიზარდა. ქალაქების სანიტარული მდგომარეობა საშინელია, ქალაქის მშენებლობა ვერ უსწრებს ცხოვრების [illegible] ტემპს. სასწრაფოდ შენდება ახალი ქალაქები (კარალ გებლს, მიამი-ბორს, ხოლივუდი, ბოკა, რატონი და სხვ.), რომლებიც მიწის მყიდველ და გამყიდველ კომპანიების მახინაციების ნაყოფს წარმოადგენენ.

ერთ-ერთმა კომპანიამ მიამი-ბორხის რაიონში 10 თვის განმავლობაში გაყიდა 70.500.000 დოლარის მიწები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1880 წ. მთელი ფლორიდა შეერთებულმა შტატებმა 5.000.000 დოლარათ შეიძინა.

მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს და როგორც ამ ორი დღის წინათ მიღებული დეპეშიდან სჩანს, ფლორიდის „ბუმ“-საც ბოლო ეღება: უკვე გაკოტრებულა 49 ბანკი. ამრიგად რამოდენიმე ასეული ათასი გულუბრყვილო ადამიანის მიერ ბანკებისათვის გამდიდრების იმედით მიბარებული გროშებით ალვირახსნილმა სპეკულიაციამ შეიწირა. ნიუ-იორკში მოკალათებულ ბანკებს, რასაკვირველია, არაფერი წაუგიათ. მათ ასწილ და ათასწილ აინაზღაურეს პრესაში კამპანიაზე და აგიტატორ-პროპაგანდისტების შენახვაზე გაწეული ხარჯები; გამდიდრდენ რკინის-გზისა და სანაოსნო კამპანიები; გამდიდრდენ სასტუმროებისა და სახლების პატრონები, რომლებსაც შეერთებული შტატების „დემოკრატიული“ მთავრობა ხელს უწყობს ფართო მასების ყვლეფაში.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

ფილიპე ლორიას წერილი*) ერმალო სადარაძისადმი

პრაღა. მაისი. 1926 წ.

ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ერმალო

ვისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ქმუნვათა და დარდთა გაქარვებას ყველა იმ მწარე განცდის შემდეგ, რომელიც მწარე ბედმა წილად გარგუნა შენ და შენს კეთილ ოჯახს. ეხლა მინდა გთხოვო, ჩემო ერმალო, რომ ამ აუარება სიკეთე-ამაგს, რომელიც შენ და შენს ოჯახს აქვს გაწეული ჩემი უბედური ცოლშვილისადმი და რომელიც გრძელდება დღემდის, ერთი ჩემთვის დიდი სიკეთე კიდევ უნდა დაუმატო და რამდენათაც შენთვის შესაძლებელი იქნება, დამეხმარო **მაქედგან** სამშობლოში დაბრუნების საქმის მოწყობაში. ეს ჩემთვის დიდათ მძიმე საქმეა და არც ისე ადვილია, როგორც მაქ ხატავენ ზოგიერთები, მაგალითად ი. კაჩუხაშვილი, ა. ხელაძე, და სხვები. მე ერთი უბრალო, უსწავლელი **მუშა** ვარ, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ძლივს ვიცი და ყველა იმ გზების მოვლა, აქ თუ სხვაგან, რომელიც შეუძლია ი. კაჩუხაშვილს ან ა. ხელაძეს მე არ შემიძლია. ამის დამაბრკოლებელი მიზეზები აუარებაა, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შეუდგები. ისე კი აქედან ვინც დაბრუნდა (პრაღიდან) საქართველოში მათ გაიარეს შემდეგი გზები: პრაღა-ბერლინი-მარსელი-პარიზი-სტამბოლი და ბოლოს საქართველო. ეს კი ისეთი გზა და მანძილია, რომ მე ვერას დროს შევასრულებ. ისე კი არავითარი იმედი არაა, რომ აქედან პირდაპირ დაბრუნება მოხერხდეს თუ მაქედან არ იქნება სათანადო ნებართვა დაუბრკოლებლად მიღებული. ცოცხალი მაგალითი იმისი, რომ აქედან გერთულებულია წამოსვლა: არის შემდეგი: აქ პრაღაში კარგა ხანია გაიხსნა საბჭოთა მოქალაქეების ახალშენი (კოლონია). აი ამ კოლონიის წევრები, ვინმე ბ. ილურიძე რ. მომცემლიძე და სხვები არიან **მლექით ავადმყოფები**, რომელთაც ყოველი ზედმეტი დრო აქ გატარებული სამარეს უახლოვებსთ, მაგრამ დღემდის ამაოთ ელოდებიან ნებართვას; ამიტომ გთხოვთ ერმალო, გამოაკვლიო მაქ ყოველივე, რის გამოკვლევაც კი შეიძლება და დაწვრილებით მომწერო რა გზას დავადგე და საით მივმართო ჩემი ცდა. საჭიროა შემდეგი ვიცოდე, რა პირობებში შემიძლია დაბრუნება, შემიძლია თუ არა ვიყო უპარტიო, ისე როგორც სხვა მრავალნი არიან, ეს მით უმეტეს საჭიროა ჩემთვის, მაგრამ მე ამ 23 წლის განმავლობაში, რაც რევოლიუციონურ ბრძოლაში ვიღებდი მონაწილეობას ჩემი სუსტი ძალ-ღონის დაგვარად საკმაოდ დავიტანჯე, დავიქანცე, გავტყდი ჯანმრთელობის მხრივ სულიერათაც საშინელი ტანჯვები მაქვს გამოვლილი. რა ფქმა უნდა მე ამას არავის ვაბრალებ, მაგრამ ამდენი ტანჯვა-ვაების შემდეგ შემიძლია მე კიდევ ძველებურად, ახალგაზრდულად თრევა-ხახანი? რასაკვირველია, არა. შემიძლია თუ არა ვიქონიო იმედი დაბრუნების, შემდეგ რაიმე შესაფერი სამუშაოს შოვნის, თუნდაც იმ, ძველ სამსახურში დაბრუნება, რომელშიაც გავატარე მთელი ჩემი ახალგაზრდობის ხანა (ტრამვაიში). მხედველობაში მისაღებია ჩემთვის ისიც, რომ გზის ფულს აქედან საქართველოში დასაბრუნებელი მე არასოდეს მექნება; მახსოვს შარშან აგვისტოში შენი გამოგზავნილი წერილებიდან: გადასახლებულები თითქმის ყველა დააბრუნეს, თუ შენ გსურს შეგიძლია პირდაპირ პრესის საშუალებით მიმართო. მაგრამ აქ ასე ბევრი მოიქცა და ჯერ-ჯერობით დიდი შედეგი არ არის მაქაურ გაზეთებში („კომუნისტი“, თუმცა ისინი ჩემდამი იშვიათად აღწევენ) ხშირად მხვდება რეზოლიუციები მუშების მიერ გამოტანილი, მოუწოდებენ ემიგრანტებს დაბრუნდენ სამშობლოში, განსაკუთრებით მის **მუშურ ნაწილს**. აი მაგალითად „კომუნისტი“-ს 10 თებერვლის ნომერში 1926 წ. ალ. ხელაძის მოხსენების გამო გამოტანილ რეზოლიუციის ზოგი ადგილები: ჩვენ, ლენინის რაიონის მუშები, როგორც მოწინავე რაზმი საქართველოს პროლეტარიატის, მთელი ქართველ მუშების სახელით მივესალმებით საზღვარგარეთ გარდახვეწილ ემიგრანტების ზანაკიდან დღეს უკვე მუშათა მეორე ჯგუფის საქართველოში დაბრუნებას. დარწმუნებულნი ვართ გარდახვეწილთა ზანაკიდან თანდათანობით გამოითიშება ყველა **პატიოსანი მუშა** და დაუბრუნდება მუშურ კერას სოციალისტურ სამშობლოში.

ყოველისფერი ისე, რომ მოეწყობოდეს, როგორც ამ რეზოლიუციაშია ნათქვამი, მაშინ მართლაც ქართული ემიგრაციის მუშური ნაწილი უფრო ადრე დაბრუნდებოდა სამშობლოში.

აი კიდევ მეორე წერილი ახალგაზრდის 11 აპრილის ნომერში, კ. სულაქველიძის ოდენკურის ამბების გამო. კ. სულაქველიძეს მოჰყავს მაგალითები: უჩა დადიანს—შალიკაშვილს, ცნობილ კოლია ნიჟარაძეს, ერთი მხრით, და მეორეს მხრით ვლასა მგელაძეს, გიორგი ერაძეს და ფილიპე ლორიას რა აქვს საერთო? ასეთი შეერთება და შეკავშირება ხომ თვით ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებაო სწერს... მე რასაკვირველია ამხ. ვლ. მგელაძის და გიორგი ერაძის შესახებ ვერას ვიტყვი. იმათ ჩემზე უკეთ შეუძლიათ პასუხის გაცემა ამა თუ იმ საჭირ-ბოროტო საქმეზე. მე მხოლოდ ჩემის მხრით მინდა ორიოდე სიტყვით მოვაგონო კ. სულაქველიძეს ის სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელიც შექმნილია აქ, ემიგრაციაში. და რომლის შესახებ მან უფრო მეტი იცის, ვინემ სხვამ. რომ საერთო დადიან-შალიკაშვილ-ნიჟარაძესთან არას დროს არაფერი არც წარსულში მქონია არც აწმყოში მაქვს და არც მომავალში მექნება, ეს აშკარაა, მაგრამ აქ პრაღაში ამის გარჩევაში მაინც და მაინც არ შედიან. თუ ყოველისფერი ის, რასაც სწერენ და ლაპარაკობენ მანდ საქართველოში ჩვენ **ემიგრანტ მუშების შესახებ**, დაბრუნდით, დაბრუნდით, და კიდევ დაბრუნდითო, მართალია. და თუ მართლა სურთ **მუშა-ქართველ სოციალისტების სამშობლოში დაბრუნება**, მაშინ უნდა გაადვილონ ეს. ვინც გეოგრაფია იცის, ის ადვილად მიხვდება იმ სიძნელეს, რომელსაც წარმოადგენს პრაღა-ბერლინი-პარიზი, მარსელი-სტამბოლი და საქართველო პირადად ჩემი სურვილია რაც შეიძლება მალე დავბრუნდე სამშობლოში, თუ რასაკვირველია ამისთვის მომეცემა ადამიანური საშუალება; ორი შესაძლებლობაა ჩემთვის ამჟამად: ერთი ეს, საქართველოში გამომგზავრება, მეორე საფრანგეთში წასვლა. იმ შემთხვევაში, თუ პირველი გზა დამეხშო. სადაც უნდა გულახდილად ვაღიარო არაფერი მიზიდავს და არაფერს კარგს გამოველი (საფრანგეთში). ყოველივე ზემოდ თქმულის შემდეგ მე კიდევ ვფიქრობ [illegible] ვილი, საქმის გასაადვილებლად თუნდაც იმ მუშათა კომისიისაგან, რომელიც მაქ არსებობს და კ. სულაქველიძისაგან მუშა ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების გასაადვილებლად, შესამსუბუქებლად ამას ადვილად მოახერხებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტო რეზოლიუციები საქმეს ვერ უშველის. დასასრულ კიდევ ერთხელ გთხოვ, ერმალო, შენს შრომას და ცდას ნუ დაზოგავ და იქნებ რაიმე სასურველ შედეგს მიაღწიო. თუ საჭიროდ დაინახო ეს წერილი წააკითხე ისეთ ამხანაგებს თუ არა ამხანაგებს, რომლებიც რაიმე დახმარება, დაპირებას მოგვცემენ. მართალია, ეს წერილი უთავბოლოთ დაულაგებლადაა დაწერილი, მაგრამ იმედი მაქვს მის შინაარს და შიგ გამოთქმულ სურვილებს მაინც გაიგებთ.

მე მივიღე პორფილე მეხუზლასაგან წერილი, სადაც მწერს ერმალოსაგან და კოწიასაგან (ჩხარტიშვილი) ხელმოწერილი წერილი მივიღეო და დიდათ გახარებული და მადლობელი ვარ, რომ გამომეხმაურენო. მომიკითხე, ჩემო ერმალო, თუ ვინმეა ჩვენი ძველი ამხანაგებიდან მაქ დარჩენილი ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ერთი სიტყვით ყველა, ვისაც ვახსოვარ, გულიდან არ ამოუგდივარ და ბოროტად არ მიგონებს. გადაეცი კოწია ჩხარტიშვილს ცალკე სალამი და სთხოვე იქნებ ერთი პატარა წერილიც მომწეროს.

სხვა რაღა მოგწერო, ძვირფასო მეგობარო. წერილი ისედაც გამიგრძელდა, იყავი კარგად მრავალ წელს.

შენი ფილიპე ლორია.—

11 მაისი, 1926 წ.

---

*) ფილიპე ლორია, მუშა-მენშევიკი ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი.

რედ.

პასუხი

ამხანაგო ფილიპე!

შენი წერილი მივიღე. მოკითხვა და მოგონებისათვის მადლობას გიცხადებ. მე გამოვარკვიე და გავიგე, რომ შენი სამშობლოში დაბრუნება დამოკიდებულია სრულიად და სავსებით თვითონ შენზე. თუ გინდა სამშობლოში დაბრუნება, უნდა შეიტანო დასაბუთებული წერილობითი განცხადება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთან, რომელიც მოგცემს ნებას და ყოველგვარ დახმარებას სამშობლოში დაბრუნებისა, იმის დამიხედვით თუ როგორი აზრის და დამოკიდებულებისა იქნება მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაზე. არის განკარგულება გაცემული საბჭოთა წარმომადგენლებისადმი აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება იმ ემიგრანტებს, რომელნიც იზიარებენ მუშათა და გლეხთა მართვა-გამგეობის პრინციპებს და იმუშავებენ ამ პრინციპების განმტკიცება-განხორციელებისათვის, მით უმეტეს აღმოუჩენენ დახმარებას იმ მუშებს, რომელნიც ამ პლატფორმაზე გადმოვა. და რომ ყოველივე ეს მართალია, ამას ჩვენ აქ ყველანი ვხედავთ, ვინაიდან თითო ოროლას გარდა ყველანი დაბრუნდენ როგორც ემიგრაციიდან, ისე გადასახლებულებიც.

ასე რომ, ამხანაგო ფილიპე, დაბრუნება-არდაბრუნება სამშობლოში თვითონ შენზეა დამოკიდებული და ხელს უშლის ამას ალბად შენი შეხედულება —აზრი-რწმენა. პარტიაში შესვლას შენ არავინ მოგთხოვს. **ნუ იფიქრებ, რომ ბათომში გემზევე დაგახვედრებენ პარტიის წევრობის ბილეთს.** პირიქით ბევრი შენისთანები აქ გაბუტულნი არიან კომუნისტებზე იმისთვის, რომ უნდათ პარტიაში შესვლა, მაგრამ წესდების გარეშე არ იღებენ. მოიწერე წერილი ჯანმრთელობის და იმის შესახებ, თუ როგორ მოიკლა თავი კარლო ჩხეიძემ.

— **ერ. სადარაძე.**

24 ივნისი, 1926 წ.
თბილისი

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

წყლის ნაკლებობა

რიბინსკი, 30 ივლისი. წყლის ნაკლებობის გამო პირდაპირი რეისები რიბინსკ-პერმს შორის შეწყდა. ნიჟნი-ნოვგოროდში დაწესებულია გადაჯდომა უფრო პატარა გემზე. წყლის დონე რიბინსკის რაიონში თანდათანობით ზევით იწევს.

უკრაინა

კალია

როსტოვი-დონზე, 30 ივლისი. კალიას ფრონტზე სიწყნარეა. ახალი გუნდები არ მოფრენილან. შენიშნულია ბევრ გუნდების წასვლა ამ მიდამოებიდან აღმოსავლეთისკენ.

ძერჟინსკის ხსოვნისათვის

მოსკოვი, 31 ივლისი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანებით, ამხ. ძერჟინსკის ხსოვნის აღსანიშნავად მე-8 ბიანსკის მსროლელ დივიზიას და სამხედრო-ტეხნიკურ აკადემიას ძერჟინსკის სახელი ეწოდა. ამავე ბრძანებით, სამხედრო პირთათვის, რომლებსაც დამსახურება მიუძღვით რევოლიუციის წინაშე, და მათი შვილებისათვის არსდება ამხ. ძერჟინსკის სახელობის 10 სტიპენდია იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც სახალხო მეურნეობის მუშაკებს ამზადებენ.

ნიჟე-გოროდის ბაზრობა

მოსკოვი, 31 ივლისი. 1 აგვისტოს, 12 საათზე გაიხსნება სრულიად საკავშირო ნიჟე-გოროდის ბაზრობა.

გერმანიის მრეწველთა დელეგაცია

ხარკოვი, 30 ივლისი. ხარკოვში მყოფი გერმანის მრეწველთა დელეგაცია მიიღო უკრაინის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ ლოუსემ.

სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ ესსენ რეხლინმა და პალატის მდივანმა ომბერგმა განაცხადეს: „ჩვენ განცვიფრებული ვართ დონის ოლქის მრეწველობის ასეთი ჩქარის ტემპით აღდგენით. ჩვენ ყველაზე უფრო გვაოცებს საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. ჩვენ გაგვიფანტა ბევრი ყალბი შეხედულება საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელიც უმაგალითო ენერგიით მიდის თავის განვითარების გზით.

კალიასთან ბრძოლა

მოსკოვი, 31 ივლისი. რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ 1 აგვისტოს დონის როსტოვში მოწვეულია ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტანის, კალმიკების ოლქის და ასტრახანის გუბერნიის საადგილ-მამულო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი. იქ განიხილავენ საკითხს კალიის მუდმივ საბინადრო ადგილებიდან ვაგონის შესახებ და შეიმუშავებენ ღონისძიებებს მომავალ წელში ნათესების დასაცავად.

კონტრაბანდა კლებულობს

ვლადივასტოკი, 31 ივლისი. საბაჟო სტატისტიკის ცნობების მიხედვით გასულ წელს „პრიმორიე“-ში კონტრაბანდით შემოტანილი იქნა 12 მილ. მანეთის საქონელი. ძირითად ჯგუფებს შეადგენდა: თამბაქო 3 მილ. მანეთისა და მანუფაქტურა 2,5 მილ. მანეთისა.

მიმდინარე წელში ოლქის უზრუნველყოფის საბჭოთა საქონლით და მეთვალყურეობის გაძლიერების წყალობით, კონტრაბანდამ შესამჩნევათ იკლო.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

საგზაო მშენებლობა

ოზურგეთი, 31 ივლისი. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ტეხნიკური პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა 8.478 მანეთის რაოდენობით სამაზრო მნიშვნელობის მქონე გზების გასაყვანათ, რომელიც ოზურგეთის, ასკანის, ზუკნარის, ქვენობანის და ხიდისათვის რაიონების ტერიტორიებს გადასჭრის.

ტელეგრაფისტების გადამზადება

ფოთი, 31 ივლისი. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ გახსნა ტელეგრაფისტების გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები, სადაც კლოპფარნის აპარატზე მუშაობას შეასწავლიან.

ქრთამი

ოზურგეთი, 31 ივლისი. დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს სადგურ სუფსის გზის ოსტატი ქიქინავა და მისი თანამშრომელი თანაშემწე ელენტი, რომელთაც ბრალდებათ მუშებიდან ქრთამის აღება, 42 მანეთის რაოდენობით.

მომჭირნეობის რეჟიმი

ქუთაისი, 31 ივლისი. წითელი ჯვრის ქუთაისის კომიტეტმა თავის საწარმოო და სავაჭრო დაწესებულებებში შტატი შეამცირა 6 კაცით, რაც წლიურ ეკონომიას იძლევა 3.343 მან. და 20 კაპ. რაოდენობით.

აზერბეიჯანი

„კონკორდიას“ საქმე

ბაქო, 3 ივლისი. სხდომა იხსნება დამცველთა სიტყვებით, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „კონკორდია“ პიონერი იყო აზერბეიჯანის რესპუბლიკის კოოპერატივებს შორის, რასაც ხაზს უსვამდა „კეიბერლიგი“ სახ. კომ. საბჭოს მოხსენებაში.

დამცველი ცოვიანოვი შეეხო ვალიუტის საზღვარ-გარედ გაგზავნას და აღნიშნა, რომ ეს ჩრდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში; ბრალდებულებმა ვალიუტის გაგზავნის ფორმალური მხარე დაარღვიეს. შემდეგ დამცველი ეყრდნობა სათანადო დეკრეტებს და ამბობს, რომ 1926 წ. 7 მაისამდე ჩადენილი ბოროტმოქმედებანი გაუქმებულია.

1921 წლიდან 1926 წლამდე ბევრი ამნისტიები იყო და ამიტომ ეს საქმე ლიკვიდაცია-მოხდენილად უნდა ჩაითვალოს. აგრეთვე არ შეიძლება „კონკორდია“ მიცემულ იქმნას პასუხისგებაში მისი საუბნო განყოფილებათა დანაშაულისათვის, რადგან განყოფილებები იურიდიულად პასუხისმგებლები იყვნენ.

ნოხების ექსპორტი

ბაქო, 30 ივლისი. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ბაქოს კანტორამ ყუბის და ბაქოს მაზრებში უცხოეთში გასაზიდად დაამზადა 7.500 სხვადასხვა ნაირი ნოხები.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული

განჯა, 30 ივლისი. შეუდგნენ მოსამზადე

ბაქო, 30 ივლისი. შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის ჩასატარებლად. არჩეულია კომისია 7 კაცის შემადგენლობით და შედგენილია მუშაობის გეგმა.

ბაქოს კეთილ-მოწყობა

ბაქო, 31 ივლისი. ქალაქის კეთილ-მოწყობის ხუთწლიანი ხარჯთ-აღრიცხვა ითვალისწინებს ტრამვაის და წყალსადენის ქსელის გაფართოებას, კრემატორების, ნაგვის დასაწვავ და სხვა წარმოებათა მოწყობას, რისთვისაც საჭირო იქნება 50 მილიონ მანეთამდე.

ბინა მუშებისათვის

ბაქო, 31 ივლისი. კასპიის გემების საზოგადოება მიმდინარე წელში მუშებისათვის შეიძენს 180 ბინას.

სომხეთი

უმუშევრობასთან ბრძოლა

ერევანი, 31 ივლისი. უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით შრომის სახალხო კომისარიატმა 1926—27 წლისთვის შეადგინა ხარჯთაღრიცხვა 835.000 მან. თანხის რაოდენობით.

სატრაქტორო ბაზა

ყამარლიუ, 28 ივლისი. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „ინტერნაციონალი“ რკინის გზის სადგურის ახლოს შეუდგა სატრაქტორო ბაზისის აგებას, მუშათა საცხოვრებელი ბინებით. მუშაობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს.

კატარის მადნებზე

ერევანი, 31 ივლისი. კატარის მადნებზე მომუშავე მუშების რიცხვი კლებულობს, სოფლის სამუშაოზე გასვლის გამო. არა-კვალიფიციურ მუშების რიცხვი ნაკლებია.

ივნისის განმავლობაში მადნებზე მუშაობდა 981 კაცი. დამუშავებულ იქნა 3.200 ფუთი წმინდა სპილენძი, რაც წინა 8 თვეში დამუშავებულთან ერთად შეადგენს 33.826 [illegible] რიოდში განზრახული იყო 80.000 ფუთი წმინდა სპილენძის დამუშავება. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზი არის მუშა-ხელის ნაკლებობა და საწყობებში დამზადებულ მადნის უქონლობა.

მაღაროების აღსადგენათ ცენტრიდან მიღებულია 98000 მანეთი.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

ამხ. ბუხარინი ვოლოგდაში

ვოლოგდა, 31 ივლისი. ჩამოვიდა ამხ. ბუხარინი, რომელმაც მოხსენება გააკეთა საერთო-საქალაქო პარტკრებაზე. კრებამ ერთხმად იწონებს ცეკას და ცენტრ. საკონტ. კომისიის უკანასკნელ პლენუმის გარდაწყვეტილებანი და კატეგორიულად ჰკიცხავს ოპოზიციას და პარტიაში განხეთქილების შეტანის ყოველგვარ ცდას.

კიევის საოლქო კომიტეტის პლენუმი

კიევი, 31 ივლისი. კიევის საოლქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა რა მოხსენება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის მუშაობის შესახებ, სავსებით იწონებს მის გარდაწყვეტილებებს და სცნობს, რომ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას კიდევ უფრო სასტიკი პასუხი უნდა გასცეს პარტიამ და მისმა ცეკამ.

მოლდავიის ორგანიზაციის რეზოლიუცია

ბალტა, 31 ივლისი. საოლქო პარტიულ კომიტეტისა და საკონტ. კომისიის პლენუმმა სავსებით მოიწონა საკავშირო კომპარტიის ცეკას და საკონტ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის გადაწყვეტილებანი და დაადგინა: მოლდავიის ორგანიზაცია სასტიკად შეებრძოლება პარტიის რკინის დისციპლინის დასარღვევად და ფრაქციების შესაქმნელად გადადგმულ ნაბიჯს:

მოლდავიის არგანიზაციის პლენუმი აცხადებს, რომ მოლდავიის პარტიული ორგანიზაცია მომავალშიაც შეუწყობს ხელს პარტიას მთლიანობის დაცვის საქმეში.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის აზრი საკავშირო კომპარტიის ოპოზიციის შესახებ

პრაღა, 30 ივლისი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის პოლიტბიურომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის გადაწყვეტილებებს ოპოზიციის შესახებ.

„საკავშირო კომპარტიის მთლიანობა, ნათქვამია რეზოლიუციაში,—საბჭოთა კავშირის სოციალისტური აღმშენებლობის განგრძობის, საბჭოთა კავშირში პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნების და კომინტერნის მთლიანობის დაცვის გარანტიას ნიშნავს. საკავშირო კომპარტია, კომინტერნი და საბჭოთა კავშირი ლენინის მემკვიდრეობას წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ გალაშქრება ყოვლად დაუშვებელია.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის პოლიტბიურო იწონებს ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს, იმ მიზნით, რომ არ არსებობდეს არავითარი საფრთხე საკავშირო კომპარტიის და კომინტერნის მთლიანობისათვის და არ დაირღვეს სოციალისტური აღმშენებლობის პირველ პროლეტარულ სახელმწიფოში.

მოსკოვის ორგანიზაციის მუშაობა

მოსკოვი, 3 ივლისი. მოისმინა რა ამხ. უგლანოვის მოხსენება მოსკოვის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, ცეკამ მთლიანად და საერთოდ მოიწონა მოსკოვის ორგანიზაციის მუშაობა.

ცეკა აღნიშნავს, რომ ეხლანდელ პერიოდში მრეწველობისა და ქვეყნის განვითარების საერთო პირობების გართულების დროს მოსკოვის ორგანიზაციის განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას მიქცეული პარტიული განათლების საქმის დაყენებასა და მასებში პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის განვითარებაზე.

მხოლოდ პოლიტიკური შეგნების აწევითა და მუშათა ფართო მასების შეკავშირებით შეასრულებს მოსკოვის ორგანიზაცია თავის დანიშნულებას.

ახალგ. ლენინური გვარდია პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

გუშინ, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრის დარბაზში შესდგა საქ. ა. ლ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმი, საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკას, ა. ლ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და თბილისის ორგანიზაციის აქტივის თანდასწრებით.

ვრცელი მოხსენებით საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შესახებ გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელსაც დარბაზი მხურვალე ტაშით შეეგება.

მოხსენების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია

„საქ. ახ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა, საქ. ა. ლ. კომკავშირის ცენტრ. კომიტეტის, ა. ლ. ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის, თბილ. ორგანიზაციის რაიკომებისა და უჯრედთა ბიუროების წევრებთან ერთად, მოისმინა რა ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტიის ც. კ. და ცენტ. საკონტ. კომისიის ივლისის გაფართოებული პლენუმის შედეგების შესახებ, სავსებით უერთდება მის გარდაწყვეტილებებს და აღიარებს, რომ ეს გარდაწყვეტილებები გამომდინარეობენ პარტიის ფოლადისებურ ბოლშევიკურ მთლიანობას ლენინურ გავებიდან და ერთად-ერთი სწორად და მიზან-შეწონილად გადაჭრის საშუალებანი არიან იმ მორიგ საერთო სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ამოცანებისა, რომლებიც ამჟამად მთელის სიმწვავით სდგება პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობა, მუშათა და გლეხთა კავშირის შენარჩუნება, პარტიის სწორი ორიენტაცია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაში და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, მუშათა და გლეხთა მასების ნივთიერ-კულტურულ მდგომარეობის რეალური გაუმჯობესება, ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენი ბოლშევიკური პარტიისაგან მაქსიმალურ მთლიანობას ლენინიზმის საფუძველზე.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს, რომ პარტიულ მუშაკთა ერთი ჯგუფი ს. კ. პ. ც. კ. წევრობის კანდიდატის ლაშევიჩისა და პოლიტბიუროს წევრის ამხ. ზინოვიევის მეთაურობით ცდილობდა დაერღვია პარტიის მთლიანობა, არ დაკმაყოფილდა თავის შეხედულებათა დაცვით პარტიულ წესდების მიერ განსაზღვრული ფარგლებში და მიმართა მთელ რიგ ანტიპარტიულ მოქმედებებს, მოაწყო და ჩამოაყალიბა პარტიის შიგნით ფრაქცია, რითაც ხელი შეუშალა საკავშირო კომუნ. პარტიის ც. კომიტეტის ლენინურ უმრავლესობას პარტიის მთლიანობის დაცვაში.

კრება გაოცებით აღნიშნავს კავშირს ერთის მხრით ტროცკისა, და მეორეს მხრით, კამენევ-ზინოვიევისა და აგრეთვე ახალი ოპოზიციის სხვა წარმომადგენლებს შორის, რომლებიც სულ დიდი ხანი არ არის რაც ტროცკიზმს თვლიდენ მენშევიზმის ერთ-ერთ სახეობად. კრება სცნობს, რომ ასეთ უპრინციპო პოლიტიკურ ბლოკის შექმნას მიზნათ აქვს იერიში მიიტანოს საკავშირო კომ. პარ. ცენ. კომიტეტის უმრავლესობაზე, რომელიც არის ნამდვილი ლენინიზმის ერთად ერთი ჭეშმარიტი წარმომადგენელი და სწორი ლენინური პოლიტიკის გამტარებელი.

ა. ლ. კ. კ., რომლისთვისაც ასე ძვირფასია პარტიის მთლიანობა, აღუთქვამს პარტიას, რომ ის ერთგულად იმუშავებს საკავშირო კომ. პარტ. ცენ. კომიტეტის ლენინური უმრავლესობის ხელმძღვანელობის ქვეშ და აღზრდის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდა მასებს ჭეშმარიტად ლენინიზმის საფუძველზე.

კომკავშირი უარყოფდა, ეხლაც და მომავალშიაც უარყოფს ყოველგვარ ოპოზიციის ცდას და განსაკუთრებით-კი ახალი ოპოზიციისას, რომ მან მიმართოს თავის მუშაობის გეზი ახალგაზრდებისაკენ და განსაკუთრებით ა. ლ. კ. კ. რიგებისაკენ. ორ მილიონიანი კომკავშირი ყოველთვის იყო და იქნება ნამდვილი და საიმედო დასაყრდენი ლენინის პარტიისა.

კომკავშირი ვერ დაეთანხმება ოპოზიციას, რომელიც თავის მფარველობის ქვეშ იღებს მემარჯვენე და ობიექტურად კონტრ-რევოლიუციონურ ხაზის შლიაპნიკოვისა და მედვედევის ჯგუფს.

თბილისის ორგანიზაციის აქტივი მოუწოდებს მთელ კომკავშირულ მასას გაარღვიოს და განამტკიცოს პოლიტიკური სწავლება, გამოიბრძმედოს ანტილენინური გადახრებთან ბრძოლაში და განამტკიცოს თავისი გავლენა მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის მასაზე.

ჩვენი პარტიის მთლიანობის დასარღვევათ ახალი ოპოზიციის ცდის წინააღმდეგ კრება მოუწოდებს მთელ კომკავშირულ ახალგაზრდობას, კიდევ უფრო მჭიდროთ შემოკრბენ ლენინის პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან, მთლიან, ფოლადისებურ ბოლშევიკურ პარტიას!

გაუმარჯოს მის კოლექტიურ ბელადს საკავშირო კომუნისტ. პარტიის ცენტ. კომიტეტს!“.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალ გზაზე

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 1 აგვისტო. 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება

№ 17.

ემიგრანტ-მუშებს

ჩვენ არა ერთეხლ გვითქვია და დღესაც ვიმეორებთ, რომ 29 აგვისტოს ავანტიურის დამარცხება იყო პოლიტიკური დამარცხება ანტიბოლშევიკურ კოალიციისა. ამ დღემ ნათელჰყო მთელი სიდუხჭირე და სილატაკე იმ იდეურ შეხედულებათა, რომლებსაც ეყრდნობოდა ამ კოალიციის სულის ჩამდგმელი და ფაქტიური ხელმძღვანელი მენშევიკური პარტია თავის ტაქტიკურ გეზის გარკვევის დროს. თუ ვინმესათვის ეს დებულებები კიდევ სადაო იყვენ გუშინ, დღეს, მთელი რიგი წერილების გამოქვეყნების შემდეგ, ისინი ყოველი საღი მოაზროვნესათვის აშკარა უნდა გამხდარიყო. ეს წერილები ააშკარავებენ იმ არევ-დარევას, რომელიც დღეს სუფევს გადახვეწილთა შორის. ღრმა და საფუძვლიანია მიზეზები ამ ურთიერთ არევ-დარევისა და უთანხმოების, შეურიგებელი და შეუთავსებელია ის შეხედულებები, რომლებზედაც ეყრდნობიან მენშევიკურ პარტიაში შექმნილ სხვადასხვა ჯგუფთა ხელმძღვანელნი.

მაგრამ მე დღეს ეს საკითხი სრულიად არ მაინტერესებს. სად და როდის არ ყოფილა უთანხმოება ამა თუ იმ პარტიაში, სად და როდის იყო, რომ დიდი პოლიტიკური პარტია ყოველთვის და მუდამ ერთი აზრითა და ერთი მისწრაფებით იყო გამსჭვალული. თავის თავად აზრთა სხვადასხვაობა მენშევიკურ პარტიაში დიდი ინტერესის ღირსი არ არის. რუსეთის მენშევიკურ პარტიაში დღიდან ოქტომბრის გადატრიალებისა არსებობდა ეს აზრთა სხვადასხვაობა: „ზარიას“ ჯგუფსა და „სოციალისტურ ვესტნიკის“ მიმდევართა შორის უთანხმოება დაახლოებით იმავე ხასიათის იყო, რაც დღესაა კაკი წერეთელის ჯგუფსა და რამიშვილისტებს შორის.

აქ საინტერესო და საყურადღებო სულ სხვაა. მაშინ, როდესაც სხვადასხვა ჯგუფთა მეთაურნი ერთი-ერთმანეთს ვითომ ებრძვიან, ერთი-ერთმანეთს აბრალებენ წარსულის შეცდომებს, ამ დროს მათი სამწყსო, მათი ჯარი—ემიგრაციის მუშური ნაწილი—მკაფიოდ, მარტივად და გულუბრყვილოთ ააშკარავებს თავის გულისწყრომასა და ზიზღს იმ ხალხისადმი, რომელიც დღეს ვითომდა ერთიერთმანეთს ეწინააღმდეგება, ფაქტიურად კი როგორც დღეს, ისე გუშინაც ერთგვარად და ერთნაირად დამნაშავე არის ქართველი ხალხისათვის დამღუპველ პოლიტიკის გადამუშავება. და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ის სულიერი განცდა, ის უსაშინელესი იჭვიანობა თავის წარსული ბრძოლის სამართლიანობაში, რომელიც გამოსჭვივის ამ მუშური ნაწილის ნაწერის ყოველი სტრიქონიდან. და განა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ ზიზღითა და სიძულვილით აღივსონ იმათ მიმართ, ვინც მათი და მათთან ერთად მთელ ხალხს ატყუებდა და ბრძოლისაკენ იწვევდა, იმ პარტიის წინააღმდეგ, რომლის შემადგენლობა სოციალისტურათაც და იდეალურათაც მათი ღვიძლი ძმები არიან? და მუშათა ასეთ სულიერ განცდას გრძნობენ ლიდერებიც. ერთმა მათგანმა, ყველაზე უფრო გულწრფელმა, აქედან სათანადო დასკვნაც გააკეთა—ყელი გამოიჭრა. სხვები კი სხვანაირად იქცევიან. ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ზიზღი თავიანთი ცოდვების სხვაზე გადაბრალებით და სინამდვილის დაფარვით.

მაგალითად, ავიღოთ აჯანყების საკითხი. არა ერთხელ თქმულა და დღესაც დაჟინებით იმეორებენ, თითქოს 29 აგვისტოს მომხდარი ამბები ქართველ ხალხს პარიტეტმა მოახვია თავზე; მენშევიკური პარტია, განსაკუთრებით მისი საზღვარ-გარეთელი ბელადნი, აქ თითქოს არაფერ შუაში იყვნენ. და ამას ლაპარაკობენ ის პირნი, რომლებმაც თვით უკარნახეს, თვით მოაწყვეს ეს საქმე, კარგად იცოდენ, რომ ამ გამოსვლას ადგილი ექნებოდა, იცოდენ წინასწარი დროც, როდის უნდა მომხდარიყო ეს გამოსვლა. საკმარისი იყო ერთი უბრალო მათი გაფრთხილება, პატარა ბარათი, ბრძანება და 29 აგვისტოს ამბები არასოდეს არ მოხდებოდა. 1 აგვისტოს ხოპეში მივიღეთ ცნობა ბათომიდან, რომ მათ საბოლოოთ გადაწყვეტილი აქვთ 15 აგვისტოსათვის აჯანყების მოწყობა. ჩვენ ეს ბარათი იმავე დღეს გადაუგზავნეთ სტამბოლს. საკმარისი იყო მათი დეპეშა აჯანყების საწინააღმდეგოთ და ჩვენ ამ ამბავს იმავე დღეს შევატყობინებდით ბათომს.

მაგრამ რას ვლაპარაკობ. გაფრთხილება კი არა, ყოველი წერილი, 24 წლის ზაფხულზე მოწერილი ევროპიდან საქართველოში, იყო აჯანყების დაუბოლავებელი წაქეზება და იმგვარი კილოთი იწერებოდა ეს წერილები, ისეთი ხასიათის იყო მთავრობისა და მენშევიკების ბიუროს სახელით მოწერილი ბარათები, რომ საქართველოს პარიტეტს მეტი გზა არ ჰქონდა, აჯანყება უნდა მოეწყო. აჯანყების შემდეგ გამოქცეულმა გენერალმა ჭავჭავაძემ (აჯანყებულთა შტაბის უფროსი) ხოპეში მითხრა, რომ სამი დღის წინად აჯანყებამდე ერთ კერძო თათბირზე, სადაც დაესწრო პარიტეტის 4 წევრი, გამოირკვა, რომ ის პირი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა კავშირი სამხედრო პირებთან, გამცემი იყო. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ ამ გამცემის საშუალებით აჯანყების მოწყობა, რადგან სხვა გამოსავალი არ იყოო. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ერთად-ერთი მიზეზი 29 აგვისტოს ავანტიურისა იყვნენ და არიან ჩვენი ყოფილი ბელადები და ტყუილა-უბრალოდ ნუ ცდილობენ პასუხისმგებლობა სხვას მოახვიონ თავზე.

და თუგინდ დღევანდელი მათი ჩმახვა, რაღაც მდგომარეობის გართულების შესახებ და მაშინ კომუნისტურ ხელისუფლებაზე შეიარაღებულ იერიშების მიტანის შესახებ, ქადაგი იგივე ტაქტიკის, იმავე აჯანყების პოლიტიკის ქადაგი არ არის?

მაგრამ წინათ თუ მათი ქადაგი საშიშროებას წარმოადგენდა, დღეს მათი ღაღადი არავისათვის საშიშარი არ არის, რადგან გამგონი და დამჯერი აქ საქართველოში, მათ ნაკლებად ყავთ. აქ კი არა იქაც, ევროპაში, სადაც მათ მეტი გავლენის მოპოვება შეუძლიათ, თუ ტერორით, თუ სხვა ამგვარი გზით, იქაც კი ზურგი შეაქციეს მათ და შორს არ არის ის დრო, როდესაც გუშინ მათი შინა-ყმანი და ევროპაში მათ გვერდში მყოფნი, ხვალ აქ კარზე მოგვადგებიან ყოფილი ჩვენი ამხანაგები, ისე როგორც არა ერთი და ორი უკვე ჩამოვიდა აქ.

ჩამოსულები არც ინანებენ. თავის თვალით დაინახავენ იმას, თუ რა კეთდება აქ და მთელი თავის არსებით ჩაებმიან კომუნისტებთან ერთად იმ დიად ბრძოლაში, რომელსაც ეწოდება ბრძოლა სოციალიზმისათვის. და ადგილი არ ექნება მაშინ იმ სასოწარკვეთილებას, რომელმაც კარლო ყელის გამოჭრამდე მიიყვანა.

ჩვენ ველით.

კ. სულაქველიძე.

კიდევ ზოგ ურწმუნოთა შესახებ

ჩვენ გვესმის კიდევ აქა-იქ საყვედური საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა დიქტატურის მიმართ. ასეთი საყვედური თუ გამოდის სოციალისტების მოწინააღმდეგე ბანაკიდან — არასოციალისტებისაგან, აქ გასაკვირი არაფერია.

ამას მუდამ ჟამს უნდა მოველოდეთ.

ხოლო როცა ასეთი საყვედური გვესმის ყოფილ სოციალისტებისაგან, რომელიც კიდევ ჩემობს სოციალისტობას და თავის თავს მარქსისტსაც ეძახის — აქ კი პირდაპირ გაუგებრობას აქვს ადგილი. ჯერ ერთი აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით დიქტატურა ისეთი მოვლენაა რომ ამ დიქტატურის გარეშე მყოფი კლასები და პარტიები სულ მუდამ ამ დიქტატურის წინააღმდეგნი არიან. ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი დიქტატურის დროს სხვა პარტიები დევნა - შევიწროებაში არიან.

ამის მაგალითები ყველას კიდევ თვალწინ გვიდგას, ყველას გამოგვიცდია.

ეს ქონდა ნახულ - გამოცდილი მუშათა კლასის პირველ ბელადს—დიდ კარლ მარქს.

სწორედ ამიტომ მარქსმა ბურჟუაზიის დიქტატურას დაუპირდაპირა პროლეტარიატის დიქტატურა.

როცა მარქსი თავის მოძღვრებას იმუშავებდა და სწერდა, მან კარგათ იცოდა, რომ პროლეტარიატი, როცა მოესწრება დიქტატურა, ის მოწინააღმდეგეთ თავზე ხელს აღარ მოუსვამს, სამაგიეროს გადაუხდის.

კიდევ მეტი სთქვა კარლ მარქსმა

მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ყველა ყოფილ დიქტატურებზე მკაცრი და ულმობელი იქნებაო.

ეს გარემოება რომ ავიწყდებათ არა სოციალისტებს აქ, ვიმეორებ, გასაკვირალი არაფერია.

მაგრამ იმათგან ამის ძავიწყება, რომლებიც კიდევ სოციალიზმს ეპოტინებიან, კიდევ მარქსის სამოსელში ეხვევიან—იმათგან ამის დავიწყება დაუშვებელია.

დღეს საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა დიქტატურაა. მოხდა ისე რომ ეს დიქტატურა დაამყარა მუშათა კლასმა კომუნისტების მეთაურობით. ეს ყველა სოციალისტისათვის სანატრელი ხანა მოგვცა კომუნისტებმა.

მათი მიზეზით მუშათა კლასმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და განაცხადა:

მშრომელებო! აი, ძალაუფლება ჩვენს და თქვენს ხელშია. მოდით, დაჟინებით გავამაგროთ, გავაღონიეროთ ჩვენი ძალა, ჩვენი დიქტატურა“.

აქ სადაო აღარაფერი იყო ნამდვილი სოციალისტებისთვის. ყველას უნდა თავი მოეყარა წითელი დროშის ქვეშ და შესდგომოდენ საერთო მუშაობას. შესაძლებელია, ზოგი სოციალისტის აზრით, ჩვენში მუშათა დიქტატურა კიდევ ნაადრევი იყო.

ეს შეხედულების საკითხია.

მაგრამ ფაქტი ხომ მოხდა.

მუშათა დიქტატურა ხომ სინამდვილე გახდა.

თუ ჩვენ წინეთ „დემოკრატიის გზით“ მივდიოდით, მას შემდეგ რაც დიქტატურა მუშების ფაქტი შეიქნა—უბრალო ლოღიკა გვეუნებოდა, მოპოვების შემდეგ მაინც მივმხრობოდით მას.

უნდა მივმხრობოდით, თუნდაც ეს დიქტატურა ყოფილიყოს „უდროოთ დაბადებული, ანუ უკანონო შვილი“, როგორც ამას მენშევიკები ამბობდენ.

აბა რომელი მშობლები გადააგდებენ უდროოთ დაბადებულ ბავშს.

ხანდახან და ძალიან ხშირადაც, მშობლებს ერევათ დაბადების ვადის გამოანგარიშება.

დაბოლოს ირკვევა, რომ ბავშვი დაბადებულა კანონიერად და დროზე.

არის ასეთი შემთხვევაც: უდროოთ დაბადებული ბავშვი გამოდის გენიოსი.

გამოდის გენიოსი კარგი მოვლის და კარგ პირობებში აღზრდის შემდეგ.

ანალოგიური მდგომარეობა იყო ჩვენი დიქტატურის შესახებაც.

თუ ვისმეს სოციალისტებიდან მიაჩნდა და კიდევ დღესაც მიაჩნია ის უდროოთ დაბადებულად, უნდა მისულიყო, უნდა მივიდეს მასთან, ჯერ კიდევ არაა ეს მთლად გვიანი, და დაეხმაროს ამ ჩვენი საყვარელი და სანატრელი დიქტატორის გამაგრებას.

სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა თავიდანვე. ფრაქციულმა უთანხმოება-ბრძოლამ ბევრ სოციალისტს აურია დავთარი და ჩამოაშორა მუშათა დიქტატურას, ჩამოგვაშორა წითელ დროშას. შეცდომა ყველგანაა. შეცდომა უნდა გამოსწორდეს.

აქაც ეს დიდი და ისტორიული შეცდომა იქნა გამოსწორებული. ძველი სოციალისტი მუშები, ბრძოლაში გამოკაჟებულები, მოძრაობის დამწყებნი, ისევ დაუბრუნდენ ძველ გზას. წითელ დროშას.

დაუბრუნდენ ახალი გზით, ახალი რწმენით, ახალი იმედებით. და არც ნანობენ.

კომუნისტურ პარტიაში ისინი არ გრძნობენ თავს სტუმრებათ.

კომუნისტური პარტია იგივე ძველი მუშათა პარტიაა, გასპეტაკებული ცუდი სოციალ - დემოკრატიული აზროვნებისაგან.

და რომ ასეთი ცუდი აზროვნება იყო სოციალ - დემოკრატიაში, განსაკუთრებით 1914 წლიდან, ეს ყველასათვის ცხადია.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითები.

1914 წელს დიდი მსოფლიო ომის წინ მოხდა შვეიცარიის ქალაქ ბაზელში სოციალისტების კონგრესი. აქ დადგენილ იქნა ერთხმად, რომ თუ იგი დაიწყო, ვებრძოლოთ მას ყოველგვარი საშუალებით: საყოველთაო გაფიცვით, შეიარაღებული აჯანყებით და სხვა.

რეზოლიუციებმა საქმეს ვერ უშველა.

სისხლის ღვრა დაიწყო.

როგორ მოიქცენ სოციალ-დემოკრატები?

გამოაცხადეს საერთო გაფიცვა?

აასრულეს თავისივე დადგენილება?

აასრულა მხოლოთ რამდენიმე ამხანაგმა.

დანარჩენები ჩაეფლენ ბურჟუაზიის ლაფში. აი, ისე როგორც დღეს ინგლისის დიდი გაფიცვის დროს ამნაირივე ლაფში ჩაიფლო მაკდონალდი და სხვები.

დიდი უმეტესობა სოციალ - დემოკრატებიდან მიემხრო იმას. მხარი დაუჭირა მას. გაამართლა ერთი ქვეყნის პროლეტარიატის მეორე ქვეყნის პროლეტარიატზე მისევა და სისხლის ღვრა ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად.

მხოლოთ ამხანაგი ლენინი, ლიკბნეხტი და მათი მეგობრები დარჩნენ ნამდვილ სოციალისტურ თვალსაზრისზე.

ამათ აღიმაღლეს ხმა.

ეს კი იმ დროს ძნელი დარჩა და საშიშარი ამ თამამი ამხანაგებისათვის.

ლიბკნეხტი, როგორც ჯარისკაცი, მისცეს პასუხისგებაში, ჩაამწყვდიეს სატუსაღოში.

ვერაფერმა ვერ გასტეხა ნამდვილი სოციალისტების სოციალისტური, მარქსისტული ხაზი და აი დაბოლოს ეს ხაზი, ეს ამხანაგები იმარჯვებენ.

სოციალ - დემოკრატია საბჭოთა რესპუბლიკებში გაქრა; ხოლო ევროპაში ის განაგრძობს კიდევ მეტად ლაფში ჩაფლას.

საბჭოთა რუსეთი გახდა მათთვის საშიშარი. ისინი წყევლა-კრულვას უთვლიან ყოველ ფეხის ნაბიჯზე საბჭოთა რესპუბლიკების მუშათა კლასს. ისინი დაუმეგობრდენ ბურჟუაზიას და მისი დახმარებით ცდილობდენ დაამხონ პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც უკვე გამაგრებულაა მთელი ქვეყნის ერთ მეექვსედზე.

ამაზე მეტი დაბრმავება შეუძლებელია.

სხვას რაღ უნდა გაუმტყუნოთ, როცა თვით ყოფილი **პირველი ხორცის მარქსისტი** კაუტსკი ვარდება უკიდურეს წინააღმდეგობაში.

ნუ დავიზარებთ და ყური დაუგდოთ ერთი, თუ რას სწერდა ეს კაუტსკი 1902 წელს „ისკრაში“. მაშინ კაუტსკი სწერდა: რომ შესაძლებელია რუსეთი გადიქცეს სოციალისტურ-რევოლიუციონური მოძრაობის ცენტრადო.

ავალაპარაკოთ თვით კაუტსკი: „დღეს,—სწერს კაუტსკი 1902 წელს,—შეიძლება ვიფიქროთ, რომ სლავები არა თუ რევოლიუციონურ ხალხთა რიგში ჩადგენ, არამედ რევოლიუციონური აზრისა და რევოლიუციონური საქმის სიმძიმის ცენტრიც თანდათან სლავებისკენ იხრება. რევოლიუციონური ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადადის მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ცენტრი იყო საფრანგეთში, ხანდახან ინგლისში. 1848 წელს გერმანია შეუერთდა რევოლიუციონერთა რიცხვს. ახალი საუკუნე ისეთი ამბებით იწყება, რომელიც გვაფიქრიანებს, რომ რევოლიუციური ცენტრი კიდევ იცვლის ადგილს, **სახელდობრ, ის გადავა რუსეთში** (ხაზ გასმა ჩემია. ს. დ.).

რუსეთი, რომელმაც ამდენი რევოლიუციური ინიციატივა მიიღო და შეითვისა დასავლეთისაგან, დღეს, შეიძლება, თვითონ გაუხდეს მას რევოლიუციური ენერგიის წყაროთ.

შესაძლებელია, რუსეთის გაძლიერებული რევოლიუციური მოძრაობა გადაიქცეს უძლიერეს საშუალებათ, რათა სამუდამოთ აღმოფხვრას გამოფიტული ფილისტერობის და „ფხიზელი“ პოლიტიკანობის სული, რომელიც ჩვენს წრეებს ედება, და ისევ ბრწყინვალეთ აანთოს ბრძოლის წყურვილი და თავდადებული სიყვარული ჩვენი დიადი იდეალებისადმი.

დასავლეთ ევროპისათვის რუსეთი დიდი ხანია აღარ წარმოადგენს რეაქციისა და აბსოლიუტიზმის დასაყრდნობს, პირიქით დღეს საქმე შეტრიალდა. დასავლეთი ევროპა თითონ ხდება რეაქციის და აბსოლიუტიზმის დასაყრდნობი რუსეთში.

შეიძლება რუსეთის რევოლიუციონერები რუსეთის მეფეს ამდენ ხანსაც გასწორებოდენ, რომ მათ ამავე დროს არ უხდებოდეთ ბრძოლა მისი მოკავშირის —ევროპის კაპიტალის წინააღმდეგ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლა ისინი ორივე მტერს გაუსწორდებიან, და რომ ახალი, „სამღვთო კავშირი“ უფრო ადრე დაირღვევა, ვიდრე მისი წინამორბედნი დაირღვენ. მაგრამ, როგორც უნდა დასრულდეს ეხლანდელი ბრძოლა რუსეთში, იმ წამებულთა სისხლი და ბედნიერება, რომელთაც ის სამწუხაროდ, საკმაოდ წარმოშობს, ამაოდ მაინც არ ჩაივლის. ისინი გაანაყოფიერებენ სოციალური გადატრიალების თესლს მთელს განათლებულ მსოფლიოში და აღმოაცენებენ მას უფრო ჩქარა და უხვად.

1848 წლის სლავები წარმოადგენდენ მძაფრ ყინვას, რომელმაც დასძრო და ჩააჭკნო ხალხთა განთავისუფლების ყვავილნი. შეიძლება დღეს მათ წილად ხვდეს იმ ქარიშხლად ყოფნა, რომელიც რეაქციის ყინვას გაალღობს და ხალხთათვის ახალს, ბედნიერს გაზაფხულს მოიტანს“. (კ. კაუტსკი. „სლავები და რევოლიუცია“ „ისკრა“ № 18, 10 მარტი, 1902 წელი).

ცოტა არ იყოს გაგვიტაცა ძველი, მაშინ ნამდვილი სოციალისტის კაუტსკის წერილმა.

აი, მაშინ გვიყვარდა ჩვენ ყველას კაუტსკი.

მაშინ ის ხედავდა რუსეთის ამბებს, აფასებდა ამას ჯეროვანად. მერე კიდევ უფრო დიდი ამბები მოხდა.

1905 წლის რუსეთის რევოლიუციამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა კაუტსკი. კიდევ უფრო მეტი იმედი ქონდა მას რუსეთის რევოლიუციისა.

მართლაც და კაუტსკის სიტყვები გამართლდა. რუსეთის რევოლიუციონერებმა მართლაც და „გაამცამტვერეს რეაქციის ყინვა და მოუტანეს ხალხს ახალი ბედნიერი გაზაფხული“.

სადაა დღეს კაუტსკი?

რატომ არაა ის რევოლიუციონერებთან, რომლებმაც გაამართლეს მისი წინასწარმეტყველება?

რატომ არაა კაუტსკი დღეს იმ ცენტრთან, რომელსაც ის მოელოდა რუსეთში?

რას იზამთ. დიდ პიროვნებებს სცოდნიათ დიდი ნახტომები.

ასე მოსდის დიდ კაუტსკისაც. ასე მოსდიოდა დიდ პლეხანოვსაც.

მენშევიკების დროს სხვათა შორის კაუტსკი ესტუმრა საქართველოს. აქ ყოფნის დროს მისი შეხედულება ბოლშევიკური რუსეთისადმი იყო უარყოფითი.

წასვლის შემდეგ მან წერილი მოიწერა კონსტანტინეპოლიდან და იქ სწერდა ჟორდანიას: ჩემი რჩევაა მეტი ყურადღებით მოექეცით ბოლშევიკურ რუსეთს, დაუკავშირდით მას.

ამ სტრიქონების დამწერზე ამ სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინა. მართლაც მას შემდეგ უფრო დაკვირვებით ვეპყრობოდი ბოლშევიკების საკითხს. სამწუხაროდ ჟორდანიამ არ მიაქცია კაუტსკის სიტყვებს ყურადღება და თვით კაუტსკიმაც ჩავიდა თუ არა ბერლინ-ვენაში ის დაივიწყა.

ასე ერევა გზა და კვალი დიდ კაუტსკის.

შორს, საზღვარგარეთ მყოფნი შეიძლება ვერ ხედავენ რა მუშაობა სწარმოებს საბჭოთა რესპუბლიკებში, მაგრამ აქ ჩვენში მყოფთათვის ხომ ცხადია და აშკარა რაც გაკეთდა, რაც კეთდება და რას მოველით ახლო მომავალში?

არა ერთხელ გვითქვამს და დღესაც გავიმეორებთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში კეთდება ის, რაც სოციალისტ მუშებს გვსურდა, რისთვისაც ვიბრძოდით.

შეცდომები და დეფექტები იყო, არის და იქნება, მაგრამ მუშაობა სოციალისტურია. დიქტატურა ნამდვილი პროლეტარულია. ამიტომ ყველა პროლეტარი, ყველა მუშა, ყველა სოციალისტი უნდა ცდილობდეს გაამაგროს ეს დიქტატურა და ასე ხელი შეუწყოს სოციალისტურ აღმშენებლობას.

ს. დოლიძე.

ყოფილ ახალგ. მარქსისტთა შორის მუშაობის შესახებ

ვისაც მომავალი აინტერესებს ის მომავლის იმედის — ახალგაზრდობის ბედზე ზრუნვას ვერ ასცილდება. ამჟამად ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებულ კლასის ერთ მთავარ საზრუნავ საქმედ—ახალგაზრდობის იდეური დაპყრობაა მიჩნეული.

ამავე მიმართულებით უდიდესი მუშაობა სწარმოებს ჩვენშიც—საბჭოთა კავშირში. აქ გაბატონებული რევოლიუციონური პროლეტარიატი მთელი თავისი შესაძლებლობით ცდილობს ახალგაზრდობას მისცეს რევოლიუციონური აღზრდა და ის თავისი ღირსეული მემკვიდრე გახადოს. ამ მხრივ მიღებული შედეგები შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ახალგაზრდობის რევოლიუციონური ორგანიზაცია—კომკავშირი—დღითი-დღე იზრდება რიცხობრივად, მტკიცდება იდეურად.

ასეთია მდგომარეობა მთელ კავშირში, მხოლოდ ცოტა გამონაკლისს შეადგენს საქართველო. მართალია, ახალგაზრდობის კომპარტიის იდეურ გავლენის ქვეშ დაყენების საკითხი აქაც სანუგეშო მდგომარეობაშია, მაგრამ იმის თქმა, რომ ამ მხრივ ყველაფერი გაკეთებულია, თავის მოტყუილება იქნებოდა. როგორც ვიცით, საქართველოში ათეული წლობით ბატონობდა მენშევიკური პარტია და მარქსისტულად მოაზროვნე ახალგაზრდობა სავსებით თავის გავლენის ქვეშ ყავდა მოქცეული. როგორც მენშევიკური პარტია, ისე მის გავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდობა განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მოლიპულ გზაზე შესდგა და მუშათა კლასის საზიანო საქმეში დიდებთან ერთად ახალგაზრდობაც ჩაება.

ამ უკუღმართმა გზამ ბუნებრივად 1924 წლის აგვისტოს საშინელი ამბები გამოიწვია. აგვისტო—ეს ტრაღედია ქართველი ხალხის ცხოვრებაში—ამავე დროს არის დასაწყისი გამოფხიზლების და რადიკალური გარდატეხის. როგორც მენშევიკური პარტიის მუშურ-გლეხური შემადგენლობა, ისე ახალგაზრდობა, განსაკუთრებით აგვისტოს შემდეგ, იწყებს გამოფხიზლებას და სტოვებს იმ ორგანიზაციების რიგებს, რომლებმაც საქართველოს მუშათა კლასი განადგურებისა და მოსპობის გზაზე შეაყენა. მართალია, საქართველოში აგვისტომდეც იყო ჩატარებული ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების სალიკვიდაციო მუშაობა; ისიც უდავოა, რომ სალიკვიდაციო მუშაობამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ დიდი ნაწილი ახალგაზრდობისა მხოლოდ ფორმალურად იყო ორგანიზაციებიდან გამოსული პრაქტიკულ არალეგალურ მუშაობას მან თავი მიანება, მაგრამ იდეურათ ის ისევ ძველ გზაზე იდგა და ისევ ძველებურად აზროვნებდა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა 24 წლის აგვისტომდე. რადიკალური გარდატეხა მხოლოდ აგვისტოს შემდეგ იწყება. ნაძალადევის მუშების გამოძახილს ახალგაზრდობაც გამოეხმაურა. მაგრამ, რატომღაც, ახალგაზრდობაში დღემდე ვერ იყო მუშაობა დაყენებული ისე კარგათ, როგორც დიდებში. მართალია, „მუშათა კომისია“ როგორც ყოფილ მენშევიკებში, ისე ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტებშიც ეწეოდა მუშაობას, მაგრამ ახალგაზრდობას ჯერ მაინც არ ეტყობა მტკიცედ ახალ გზაზე შედგომა, ის ვერ არის ისე მჭიდროთ დაკავშირებული „ახალგაზრდებთან“, როგორც ამას საქმე მოითხოვს, და თითქოს განზეც არის გამდგარი. შეიძლება ნაწილობრივ ეს იმ გარემოებით ავხსნათ, რომ დამოუკიდებლად ახალგაზრდების კრებები და ყოფილ ახალგაზრდა აქტივისტთა შორის მოხსენებები არ ჩატარებულა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია:—ახალგაზრდებში ჯერ კიდევ ვერ არის მუშაობა სათანადოთ დაყენებული. ამიტომ ჩვენის აზრით აუცილებელია სისტემატიური მუშაობის წარმოება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ასეთი მუშაობით ჩვენ შევსძლებთ მთელ რიგ მომზადებულ ახალგარდის აქტიურად ჩაბმას ჩვენს საქმიანობაში და სრულ გავლენას მოვიპოვებთ დღემდე განზე გამდგარ და მერყევ ახალგაზრდობაზე, რითაც სავსებით მოვსპობთ მენშევიკურ „პარტიის“ არალეგალურ ჩხირკედელაობის შესაძლებლობას. პრაქტიკულად ჩვენის აზრით მუშაობა შემდეგში უნდა გამოიხატოს:

1) სამაზრო თუ საქალაქო პარტკომებთან არსებულ ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილებათა კოლეგიებში უნდა შეყვანილ იქნან ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა წარმომადგენლები, რომლებიც არჩეულ იქნებიან ახალგაზრდათა საზოგადო კრების მიერ. ასეთი კრებების ჩატარება არამც თუ საჭიროა, აუცილებელიც არის, რასაკვირველია, ცენტრის ხელმძღვანელობით.

2) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც თავმოყრილი არის უნივერსიტეტში და ტეხნიკუმების უფროს კლასებში. მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდანვე უნდა ჩატარებულ იქნას უნივერსიტეტსა და ტეხნიკუმებში პოლიტიკური ხასიათის მოხსენებები, სადაც არჩეულ იქნებიან „ახალგზელთა“ რწმუნებულები. ასეთი გზით არჩეული რწმუნებულები ადვილათ შესძლებენ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა და უპარტიო ახალგაზრდობის კომპარტიასთან და კომკავშირთან დაკავშირებას. ეს კი უდიდესი მნიშვნელობის საქმე იქნება. დღემდე დაქსაქსული ძალები ყოფ. მარქსისტულ ახალგაზრდობისა გაერთიანდებიან და ჩვენ მივიღებთ ერთ მძლავრ ორგანიზაციას, რომლის გავლენის ქვეშ მოექცევა მთელი ახალგაზრდობა.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა ჩვენს ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მზადებას ახალგაზრდათა შორის მუშაობის მოსაწესრიგებლად, რათა სამოსწავლო წლის დასაწყისის პირველ დღიდანვე გაჩაღდეს აღნიშნული გეგმით კამპანიის ჩატარება.

ცეკასთან არსებული ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება.

ემიგრაციის საქმიანობა

ქართველი საზოგადოებისათვის არ არის ინტერესს მოკლებული ამხ. ვ. კახიანის წერილებში გამოქვეყნებული ცნობები ემიგრაციის ხელმძღვანელების „იდეურ შემოქმედების“ შესახებ, რასაც ისინი, ერთად და ცალ-ცალკე აწვდიან ქართველ ხალხს და სოც.-დემ. ორგანიზაციას (რადგან საქართველო სოც.-დემ. ორგანიზაციებისაგან „თავისუფალია“, უთუოდ, საგანგებო კომისია ღებულობს მის მაგიერათ, მის სახელზე გაოგზავნილ ფოსტას).

ჩვენ არასოდეს არ ვიყავით ემიგრაციის ხელმძღვანელებზე იდეალური წარმოდგენის; არც გვიფიქრია და ვერც ვიფიქრებთ, რომ მათ,—სოც.-დემ. იდეოლოგიისა და პრაქტიკის ამ ერთგულ და სტაჟიან დამცველებს, ოდესმე შეიძლებათ ევროპის კონტინენტიდან ჭეშმარიტების აღიარება და სიმართლის თქმა, რომ მათ შემოელევათ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გესლი. ასეთი გულუბრყვილო უკვე აღარავინ არის; ამას არც თვითონ წერეთელი მალავს, როდესაც ლაპარაკობს, რომ ის „ბიუროს ეთანხმება ბოლშევიკების შეფასების საკითხში“.

მათი უთანხმოება, თუ აზრთა სხვადასხვაობა, რა თქმა უნდა, შეეხება არა საბჭოთა ხელისუფლების გამართლებას თუ გამტყუნებას, მისდამი სიმპატია ანტიპატიის გამომჟღავნებას, არამედ რეცეპტების შემუშავებას მისი დამარცხების შესახებ და იმ პილიულების შეზავებას, რომლითაც აპირებენ საქართველოს „დემოკრატიის“ კვებას.

ძირითადი დებულება, რომ ბოლშევიზმის და მენშევიზმის იდეოლოგიურათ შერიგება და ორგანიზაციულათ შეთავსება, მათი ნამდვილი სახით, მოუხერხებელია და, მაშასადამე, ხელისუფლებიდან განდევნილმა სოც.-დემ. რომ უნდა აწარმოვოს ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ—უდავოთ არის აღიარებული, ე. წ. „ოპოზიცია“—ოპოზიციის მიერ. ხოლო ტაქტიკის საკითხებში,—როგორ და რა სახით უნდა სწარმოებდეს ეს ბრძოლა,—ისინი თითქოს განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ეს უთანხმოება, მისი შედეგით, რომ წარმოვიდგინოთ, უფრო როლების განაწილებას გავს, რათა თვითეულმა მათგანმა სთქვას ის, რაც მეორესათვის მოუხერხებელია ემიგრაციის მასის და საქართველოს „დემოკრატიის“ თვალის ასახვევათ.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, მაინც საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა განსხვავებაა მათ შორის, რით ასაბუთებენ და ამართლებენ ბრძოლის გაგრძელების საჭიროებას თვითეული მათგანი, როგორი გზით აპირებენ საბჭოთა ხელისუფლების დაცემას და რას ჰპირდებიან მომავლისათვის საქართველოს „დემოკრატიას“.

პოზიციის, ანუ საზღვარ-გარეთის ბიუროს, ე. ი. ჟორდანია-რამიშვილის ფიქრით (სხვანაირად თქმა შეცდომა იქნება, რადგან ყველა მათი დასკვნები (კალიერ ფრაზეოლოგიაზეა აშენებული). „ოქტომბრის რევოლიუცია, მთელი თავისი სოციალური იდეოლოგიით გაკოტრებულია და მის ალაგას წამოყენებულია მისი მოპირდაპირე ეკონომიური ლოზუნგები და იდეოლოგია“-ო,—ამბობს ნ. ჟორდანია. მაგრამ ეს მომხდარა, თურმე, ისეთი წესით, „როგორიც ისტორიამ არ იცის“—„ოპორტიუნისტულათ“, ე. ი. ძალა-უფლების შენარჩუნებით. ჩვენ ვამბობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ასეთი შეფასება არის არა შეცდომა, (შეცდომა არც ისეთი დანაშაულია), არამედ სინამდვილის უტიფარი დამახინჯება და მისი თავის სასარგებლოთ მოჩვენების ცდა.

ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ ამას ვინმე დაიჯერებს საქართველოში! მათ უნდა იცოდენ, რომ საავიტაციო პერიოდის ასაკი დიდი ხანია განვლო ჩვენმა საზოგადოებამ და ასეთ მშრალ ფრაზეოლოგიას აღარავინ ჩამოეკიდება. ქართველი ხალხი უკვე შეეჩვია ფაქტებით დასაბუთების მოთხოვნის წამოყენებას და მათი გარჩევის და შეფასების უნარიც ახასიათებს მას. და ამ მხრივ, თუ მართლა აქვთ თავის იმედი, შეეცადონ მოცემული „შეფასების“ რეალური მასალებით დასაბუთებას, დაამტკიცონ, რომ საბჭოთა კავშირში სოციალ-პოლიტიკური კითხვები არ არის გადაჭრილი იმ მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ, რომ ის არ იზრდება და მტკიცდება ეკონომიურათ და პოლიტიკურათ, როგორც კავშირის საზღვრებში, ისე საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში. ვეჭვობთ, რომ ასეთი დავალების აღება და შესრულება იკისრონ და მოახერხონ მათ.

საბჭოთა კავშირის ასე თავისებურათ „შეფასებას“ შემდეგ, ჟორდანიას აღარ უძნელდება ხელსაყრელი „პერსპექტივის“ მონახვაც და ისევ იმეორებს არა ერთხელ ნათქვამ ფორმულას, რომ „საქართველოს განთავისუფლება (!) შესაძლებელია როგორც შიდეგი შინაგან და საგარეო კონფლიქტებისა, ამას გადაჭრით ამბობს პარტია“-ო. ამ პერსპექტივების მიოზბით უკვე „დამშვიდებული“ და „დაიმედებული“, განაგრძობს: „ამჟამად ჩვენ გაცილებით უფრო ახლო ვდგავართ რუსეთის გარდატეხასთან“-ო. შემდეგ, გადადის რა ტაქტიკის შემუშავებაზე, ამბობს: „ჩვენი ტაქტიკა ერთია —ხალხის დაყენება სოც.-დემოკრატიის იდეურ სფეროში, მისი რიგების პოლიტიკურათ დაწყობა, რომ მომზადებული გამოვიდეს გადამწყვეტ მომენტში“-ო. ხოლო ასეთი მუშაობის ჩასატარებლათ მას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია „ეროვნულ ფრონტის აღდგინა“, რა ფასით და სახითაც არ უნდა მოხდეს ეს, და თვით პარტიაში ახალი ორგანიზაციული კონსტრუქციის შემოღება: ორგანიზაციები უნდა იქნეს მეტად კონსპირატიული და ვიწრო; მთავრობას (!) არ შეუძლია საიდუმლო საკითხები ფართოდ გაიტანოს პარტიაში“-ო.

წერეთელს კი, როგორც სჩანს, არ სჯერა მთელი ეს ზღაპარი და ამ ზღაპარზე აშენებული „პერსპექტივებიც“, და იძულებული ხდება საწინააღმდეგო განცხადებით გამოვიდეს: „სოციალისტები ენერგიულ (!) მუშაობას აწარმოებენ ომის წინააღმდეგ (ნეტავ სად და როდის?! რეზოლიუციებით თუ სინამდვილეში, საქმეზე?! ნუ თუ მას დაავიწყდა, რომ პოლ ბონკურების მსგავსი „პატრიოტები“, პირიქით, ხელს უწყობდენ საფრანგეთის იმპერიალიზმის სისხლიან ოპერაციებს მაროკოსა და სირიაში!); ასეთი ტაქტიკა არც შეეფერება ჩვენს პრინციპებს და უნიადაგო ილიუზიაა“-ო. პარტიის ყოველდღიურ მუშაობაში ის უფრო ნაკლებსაც სჯერდება, „აგიტაციით და პროპაგანდით“ კმაყოფილდება, ხოლო საორგანიზაციო საკითხებში იმდენათ გაუჯავრებია რამიშვილის დიქტატორობას და უზურპატორობას, რომ პათეტიურად იძახის: „პარტიული კონტროლი არ სდგას თავის სიმაღლეზე“-ო. ნუ თუ ესეც ახალი ამბავია მისთვის?! ნუ თუ ისიც დაავიწყდა მას, რომ „სხვილების“ მთავარ პრინციპიალურ არგუმენტს, პარტიასთან მომხდარ კონფლიქტში, სწორედ ეს მუხლი წარმოადგენდა? ეს ხომ საქართველოდან გაყოლილი სნეულებაა და არა ემიგრაციაში შეთვისებული რამიშვილების მიერ, და მათი ამ სენისაგან განკურნვა ტყუილა უფიქრია წერეთელს თავისი მორცხვი ოპოზიციონერობით.

ზემო მოყვანილი ამონაწერები ჩვენ ხოლოდ იმას გვეუბნება, რომ პოზიცია-ოპოზიცია—ორივე საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების მოლოდინშია, ხოლო წერეთლის ცდა [illegible] მიმართული, რომ ამ ბრძოლ[illegible] გამბედაობას და აცილოს სოციალისტურ[illegible] ფორმალური გამომჟღავნ[illegible]ტომ, რამდენათაც ყალბ[illegible]ცია, იმდენათ უფრო სუსტია მისი ოპოზიციონერობის შინაარსი.

დასასრულ, უსათუოდ საგულისხმიეროა ჟორდანიას „გაწყრომა“ საქ. ორგანიზაციის მიმართ: „თქვენ გემჩნევათ აჯანყების შემდეგ განზე გადგომის ტენდენცია, ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი“-ო. სრული ჭეშმარიტებაა. აჯანყების შემდეგ საქ. სოც.-დემ. ორგან. მართლაც დაიწყო ემიგრაციიდან მოწოდებული პოლიტიკის რევიზია და შეფასება, და სწორედ ამ შეფასებიდან მიღებულმა დასკვნებმა ჩამოაცილა არა ერთი და ორი ამხანაგი არალეგალურ ორგანიზაციას და მუშაობას. ამ რევიზიამ მიიყვანა ისინი იმ გაგებამდე, რომ ჩოლოყაშვილებთან ერთად არ შეიძლებოდა სოციალიზმის და მუშათა კლასის საქმის კეთება. ამ რევიზიის დროს ჩამოყალიბდა ფორმულა, რომელიც ამბობს: **ეროვნული განთავისუფლების იდეის მატარებელი არის მხოლოდ მუშათა კლასი.** (ერი— ეს ჩვენ ვართ. ბებელის კლასიკური ფრაზა). **ეროვნების სრული ემანსიპაციის საფუძველია მუშათა კლასის სოციალ-პოლიტიკური განთავისუფლება, და მისი ხელმძღვანელი ამ ბრძოლაში შეიძლება იყოს მხოლოდ ის პოლიტიკური პარტია. რომელიც სდგას რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისზე და რომელიც ორგანიზაციულად აერთიანებს თავის გარშემო მუშებს და გლეხებს და არა ჩოლოყაშვილისებურ „დემოკრატიას“.**

ამასთანავე, ემიგრაციას ვახსენებთ სოც.-დემ. ძველ შეხედულებას და პასუხს ნაციონალისტების მიმართ ეროვნული საკითხის გარშემო: „ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოგონება იყო საქართველოში, რაც რუსეთს შეუერთდა, ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ეს მოძრაობა იყო ყოველთვის ან თავადაზნაურული, ან ინტელიგენციის. ყველა ეს უქმი კაცის უქმ ნაყოფს უფრო გავდა, ვინემ სინამდვილის რაიმე მიმდინარეობას. პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნებათა მუშების გაერთიანებას. მხოლოდ ასეთი ერთგვარ ორგანიზაციებში გაერთიანება მისცემს პროლეტარიატს საშუალებას აწარმოვოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალიზმის და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ვინც ამას არ იზიარებს, მათი ჰორიზონტი ერთობ ვიწროა; ისინი განზე დგანან დიდი შარა-გზისგან, რომელიც მიგვაქანებს საკაცობრიო მიზნისაკენ და ძალას მატებს შრომის შვილთა საერთო გამოსვლებს“,*) და ვეუბნებით: ჩვენ გვჯერა, რომ შემცდარი არ არის ჩვენი ახალი გზა, ესე იგი ძველი რევოლიუციონური გზის მონახვა და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. სოც.-დემ. მასის ამ გზაზე წასვლა არც უნდა გაიგონ შემთხვევითი მოვლენათ, ის არის შედეგი ღრმა დაკვირვებით მიღებულ გადაწყვეტილებისა, და რამიშვილები სასტიკათ შესცდებიან, თუ საქართველო წარმოდგენილი ჰყავთ ისეთ ცარიელ ქვრათ, სადაც მათ შეიძლებათ ყოველგვარი სიბინძურის დაყენება, და ქართველი ხალხი ისეთ ფარათ, რომელიც საკუთარ აზროვნებას მოკლებული, მუდამ მზად იქნება შეუფასებლათ მიიღოს პარიზიდან მოწოდებული ყოველგვარი დავალებები.

კლ. ჭეიშვილი.

ნ. ჟორდანია და ი. წერეთლის პოზიცია „ოპოზიცია“

ამხ. მ. კახიანმა მზის სინათლეზე გამოიტანა ის დავა და აზრთა სხვადასხვაობა, რომელსაც ეწოდება წერეთლის „ოპოზიცია“ და ჟორდანიას პოზიცია. ჩვენ ამ უთანხმოებას კიდევ საზღვარგარეთ ყოფნის დროს ვიცნობდით და თვით გახლდით იგრეთ წოდებული— „ოპოზიციის“ წევრი და ამიტომაც იყო, რომ ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოში, დაბრუნებულ ამხანაგებთან ერთად, სხვათა შორის წერეთლის ჯგუფზეც ვებაასეთ ჩვენ ამხანაგებს—ქართველ მუშებს.

როდესაც აგვისტოს ავანტიურის საშინელება ყველასათვის ემიგრაციაში საგრძნობელი შეიქნა, როდესაც ამ საბედისწერო გამოსვლას აუარებელი მსხვერპლი მოჰყვა, გამოსვლას, რომელიც მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ქართველი ხალხისთვის უდიდეს პროვოკაციათ უნდა ჩაეთვალოს, სწორედ ამ საშინელებით ჩაფიქრებული ყველა პატიოსანი ემიგრანტი, განურჩევლათ მიმართულებისა დაეკითხა თავის-თავს, თუ რა უბედურება დაატეხა ქართველ ერს ემიგრაციაში მოკალათებულმა ყოფილმა მთავრობამ და მენშევიკურმა საზღვარგარეთის ბიურომ? როდესაც მუშური ნაწილი ემიგრაციისა აამხილა ამ საშინელმა ექსპერიმენტმა, ნ. რამიშვილის და მისი კომპანიის პოლიტიკურმა შანტაჟმა, რომელმაც მრავალი ენერგია გამოსტაცა ხელიდან ჩვენ ერს, სწორედ ამ დროს აქტუალურად დაისვა საკითხი ემიგრაციაში, რა ვქნათ, კიდევ დავრჩეთ ავანტიურისტებთან ერთად, რამიშვილების ბანაკში თუ გამოვნახოთ ჩვენი საკუთარი გზა. და აი, როდესაც ასე დაისვა კითხვა და ემიგრაციის მოწამლული ჭკუა-გონება ეს იყო შესდგა გამოფხიზლების გზაზე, დროს ამ ოპოზიციურათ განწყობილ ემიგრაციას ევლინება მეთაურათ ი. წერეთელი და ისიც ვითომდა უკმაყოფილოდ განწყობილი იწყებს „გამანადგურებელ კრიტიკას“ ჟორდანია-რამიშვილის საქმიანობის წინააღმდეგ. მაგრამ წერეთელმა და მისმა ჯგუფმა—სამარცხვინოთ დაათავა თავისი ოპოზიცია.

ამ ხალხმა ერთი წლის განმავლობაში იყბედა და შემდეგ რამიშვილის რეზოლიუციას მოუწერა ორთავე ხელები.

ეს რეზოლიუცია მიღებული იყო პარიზის სოციალ-დემოკრატიულ კრებაზე 3 მაისს 1925 წ. რა სწერია იქ?

ის ამბობს: საქ. სოციალ-დემოკრატია შექმნილ პირობებში ჯერ-ჯერობით არ აწყობს ტეხნიკურ ორგანიზაციებს და სამზადისს აჯანყებისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველ ხალხს არ დაუდგება ისეთი დრო, როდესაც ის იარაღის საშუალებით იძულებული არ იქნეს გარეკოს საქართველოდან ოკუპანტები.

ყოველნაირ გართულებას შიგნით და გარეთ (უფრო კი გარეთ) (ა. ხ.), უთუოდ გამოიყენებს ჩვენი ხალხი ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ—აი, შინაარსი ამ რეზოლიუციის.

ამაზე მეტი რაღა უნდა ბ. ბ. ნოეებს? შიგნით აჯანყებას ისინი აწი ვეღარ მოაწყობენ, ისე კი საგარეო გართულებისათვის აბა ამ შემთხვევას ხომ ციუ მანანასავით მოელიან? მაგრამ კითხვა ისმის: რას ნიშნავს ისეთი პოლიტიკურ პარტიისა ან ჯგუფის პოლიტიკა, ვინც თავის საპროგრამო მუშაობათ აღიარებს თავის ერის ყოფა-ცხოვრება გადასაჭრელათ დაუმორჩილოს—ისეთ ექსტრაორდინალურ ფაქტორებს, რომ[illegible] არის საგარეო გართულება და კ[illegible]სი? კონკრეტიულათ ეს აგრე უნდა [illegible]მოვიდგინოთ, ვსთქვათ, შობდა ომი ს[illegible]ებისა და სხვა რომელიმე სახელმწიფო[illegible] შორის. და აი, ემიგრანტ ს.-დ. მთა[illegible]ბა მოციქულებული ხალხს, ტერიტორია[illegible] [illegible]ვალ პოლიტიკას, შემართავს იმ [illegible], რომ საბჭოთა მოეს ქიშპე სახელმწიფო[illegible] ადვილათ შესძამ ლოს ომის პროცე[illegible] საბჭოების დამარცხება—ამ მიზნ[illegible] მთავრობა „შესაფერათ იმუშა[illegible]“. ჩვენ, რასაკვირველია, კარგათ ვ[illegible] წონა და ღირებულება უხალხო [illegible] ტერიტორიო და ამის გამო გაბრა[illegible] [illegible]ფილი მინისტრებისა. მათი [illegible] ყო[illegible]პის პოლიტიკისათვის ძლიერ ევრო- [illegible] არავითარ სიმძიმეს არ წარმოადგენს. თვით წერეთლის განცხადებით, საქართველოსთვის არა თუ რომელიმე სახელმწიფო სამრათ გამოიწვევს, არამედ დიპლომატიურ აპარატსაც არ დააცდენს. და მართლაც ამ შემთხვევაში, სომხის დაშნაკელები უფრო „პატივცემული“ დარჩენ ევროპიელებიდან, ვიდრე ქართველი მენშევიკები. ვინაიდან დაშნაკელებს „გამოესარჩლა“ ევროპიელი დიპლომატია (გაიხსენეთ ინგლისის პრემიერის გლადსტონის ნოტა ოსმალეთის მიმართ), თვითმპყრობელ რუსეთის დიპლომატიაც ხომ თითქმის გამოექომაგა „მებრძოლ“ სომხეთს? ერთი სიტყვით, დაშნაკცუტიუნმა თავის საპროვოკაციო მოღვაწეობით ამოსწყვიტა სომხის ხალხი, ამით ინგლისის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ მშვენივრათ ისარგებლა. სომხეთი კი გაიჟლიტა, მაგრამ დაშნაკელებმაც კი დააკმაყოფილეს თავიანთი ავანტიურისტული თავმოყვარეობა—ალაპარაკეს რა სახელმწიფოთა მმართველი წრეები. ეს პატივი დააკლდათ ქართველ ავანტიურისტებს—მათ არა თუ ვერ აალაპარაკეს ევროპის დიპლომატია, არა თუ ვერ ჩააბეს ის საქართველოს საკითხში, არამედ ამავე დიპლომატიამ, და რაც უფრო საყურადღებოა მაკდონალდის მთავრობამ (მენშევიკურ 2 ინტერნაციონალის ერთ - ერთმა თავმჯდომარემ) თემთა პალატაში საქვეყნოთ განაცხადა: ინგლისის მთავრობა ვერ ჩაერევა რუსეთის და საქართველოს საქმეში. ეს საბჭოების შინაური საქმეაო. ნაციათა ლიგა, სადაც ბრძანდება მენშევიკების სათაყვანო „დემოკრატია“, აცხადებს, ვერ ჩავერევი იმ კონფლიქტში, რომელიც შეიქმნა საქართველოს და რუსეთს შორის. ეს საბჭოების შინაური საქმეაო.

აქედან ცხადზე უცხადესია, ემიგრანტ მენშევიკების წონა და ღირებულება ევროპის მმართველი წრეებისათვის; უბრალო ნოტა რა იყო, ისიც არა გაიმეტა მათმა მოკავშირე ბურჟუაზიამ. პრაქტიკული უტილისტალისტური ევროპის ბურჟუაზიამ ისინი წაათამაშა. რა ოფიციალურათ დახმარება შეჰპირდა დერეფანში მდგომ „ექს-მინისტრებს“, მაგრამ საქმით ერთი კაპეიკის დახმარებაც არ მისცა მათ. ეს ფაქტი მე მგონია დღეს ურწმუნო თომებისათვისაც ცხადია. მაგრამ ეს, იმას არ ნიშნავს, რომ იმპერიალისტები თავის ცბიერ პოლიტიკას მცირე ერებისადმი—მათ საინტრიგოთ გამოყენებას (მათი სისხლი და ხორცით ვაჭრობას)—მათ წასისინებას მოქიშპე სახელმწიფოების მიმართ დასთმობენ და შემდეგშიაც ისე უხვათ არ ისარგებლებენ, როგორც წარსულში. და ამიტომ, ექს-მინისტრების ორიენტაცია, სწორეთ ამ კომბინაციის ძებნაშია—ისინი ასეთ ომებში ეძებენ თავის პოლიტიკის გამარჯვებას.

გაბრაზებული, გონება დაჩლუნგებული ემიგრანტებისთვის ცეცხლთან თამაში ჩვეულებრივი საქმეა. ერთი მათ კარგათ იციან: ეს ცეცხლი რაც უნდა მძლავრად დაინთოს, მთელი საქართველო, რომ ამოსწვას **პარიზამდის** მაინც ვერ მიაღწევს, მაშასადამე, ისინი ამ მხრივ უვნებლად დარჩებიან.

ნ. ჟორდანია აქაც გამონახავს გასამართლებელ თეორიებს—როგორც ეს მან, მათ მიერ მოწყობილ აგვისტოს ავანტიურას გამოუნახა. ნ. ჟორდანიამ ასეთ ფორმულაში ჩამოასხა აჯანყება: დაბეჩავებულ ხალხს უფლება აქვს აჯანყებისო. აქ მას ახალი არაფერი არ უთქვამს. ეს კიდევ ჟანჟაკ რუსსომ და მონტესკიემ სთქვეს საფრანგეთის რევოლიუციის დროს, რევოლიუციით ტირანია უნდა შევმუსროთო—ეს ბურჟუაზიის უფლების თეორიის პოლიტიკური სიბრძნე თქმული საფრანგეთის ფეოდალიზმის დამხობის დროს—ჩვენი დროისთვის საბჭოთა კავშირში უკვე დრომოჭმული ფორმულაა. ვინაიდან საბჭოთა სახელმწიფო, როგორც მშრომელი მასების კლასიური სახელმწიფო ორგანიზაცია, აჯანყების უფლებას მტკიცეთ დაუყენებს თავდაცვის უფლებას, აქ საქმეში მასთან იქნება საქართველოს მშრომელი მასები.

მეორე მხრივ, ქართული ერი, ისტორიის გზატკეცილზე მიმავალი, ორიენტაციის ძებნაში არა ერთხელ დაღლილ-დაქანცული—ერთი საუკუნის წინეთ ჩრდილოეთში ნახულობს თავის „მოკავშირე“ ერს. საქართველოს ისტორიამ [illegible]ის ის ფაქტები, რომ ქართველი ხალხი, შევიწროებული უსწორო ბრძოლაში, დამარცხებული საუკუნეებით [illegible] შემუსრული და ფი[illegible] მიადგა[illegible]ჰი—ინსტიქტიურათ მოკავშირე და დამცველ ერს სისტემატიურად ეძებდა. პირველ ყოვლისა მისი დამცველის ძებნა ბიზანტია-საბერძნეთისაკენ იყო მიმართული.

შემდეგ კი ახალ ევროპაში ეძებდენ საქართველოს მეფენი—მოკავშირეებს და დამცველებს.

მაგრამ ეს კურსი ორიენტაციისა ისტორიულად არ გამართლდა, ძველი და ახალი ევროპა გეოგრაფიულად ძლიერ შორს არის ჩვენი მიწა-წყლიდან.

და აი, ისტორიულათ ჩვენი ხალხის მაშინდელი მეთაურები ორიენტაციას რუსეთზე აკეთებენ და ჩრდილოეთის გზით ემბებიან ევროპიულ კულტურის ფერხულში. რუსეთი თვით მტკიცეთ მდგომი ევროპის ცივილიზაციის გზაზე საქართველოს ენერგიულათ ეწიკება ამ კულტურისკენ.

ამნაირათ ჩვენი ხალხი მარტივი ინსტიქტით მიექანებოდა ჩრდილოეთით მძლავრ მეზობლის დაცვის ქვეშ. ქართველობა მომწყვდეული ისეთ გეოგრაფიულ წერტილზე, სადაც აზია და ევროპა ერთმანეთს ემიჯნება და ურთიდება, იყო და დარჩება გზად უდიდესი ქვეყნებისა. და ეს შარა-გზა არის მოწამე ჩვენი ხალხის ტრაღიკული ისტორიისა, ვინაიდან ხალხნი, გამვლელი ამ შარა-გზაზე, ხშირათ ხანგრძლივათ ჩერდებოდენ აქ და უფლობდენ და ბატონობდენ „მასპინძელ“ საქართველოს.

მაგრამ ორიენტაციის საკითხი ქართველი მშრომელი მასებისათვის ხომ არ სდგას დღეს?

ის ხომ ისტორიულათ, პოლიტიკურათ და პრაქტიკულათ გადაჭრილია?

და თუ ამ ისტორიულათ უკვე გადაჭრილ საკითხზე ემიგრანტი მენშევიკები თავს იტეხენ—ჭკუას ძალას ატანენ, ქაღალდს და კალამს მოსვენებას არ აძლევენ, ეს მათი ნებაა—უსაქმო ხალხის გასართობი კომედიაა.

მაგრამ დავანებოთ თავი უსაქმოთა ბოდვას, შევჩერდეთ კიდევ რამოდენიმე წუთს „ოპოზიციონერ“ ი. წერეთელზე. მაგრამ ჯერ მოვიგონოთ კ. ჩხეიძე, ის ჩხეიძე, რომელმაც აჯანყების შემდეგ პარიზის ს.-დემოკრატიული ფრაქციის სხდომაზე განაცხადა: ის, რაც ჩვენ მოუვიდეთ ჩვენ ხალხს, უსაშინელესი მტერიც ვერ უსურვებდა მეტსო. ხალხს უნდა უთხრათ სიმართლე, ჩვენ არავინ გვეხმარება, ბოლშევიკების რეჟიმი კი თანდათან მტკიცდებაო.

ი. წერეთლის ოპოზიცია კი სწორეთ რომ თამაშია ნ. რამიშვილის „დუდუკზე“. აჯანყების შემდეგ ისიც გაოპოზიციონერდა, მაგრამ კითხვა ისმის, სად იყო მანამდის? ის ხომ დამარცხების მეორე დღესვე ამეტყველდა. რა უთხრა მან ოპოზიციონურ მუშებს? ნ. ჟორდანია და რამიშვილი ნებას არ მაძლევენ თქვენთვის მეთქვა ის, რასაც ვგრძნობდი. მარტო მე არ მსურდა მქონებოდა სახელი რენეგატის, გამყიდველის და ეხლა კი, რადგანაც თქვენ ჩემსავით ფიქრობთ, აღარაფრის მეშინია, ბრძოლას დავიწყებ და ანგარიშსაც გავაწევინებო. ოპოზიციაც ასეთი უნდა! „გამყიდველის“ სახელის ძლიერ შინებია წერეთელს, ამიტომ ენა გაუკმენდია.

და აი, წერეთელი ყოველივე ზომას ხმარობს, მთელი თავის პოლიტიკურ, ზნეობრივ და ინტელექტუალურ გავლენას ხმარობს და მართლა გულწრფელ ემიგრანტულ ჯგუფების ოპოზიციას უდგება რა სათავეში, ერთი წლის ლაყბობის შემდეგ, ჟორდანია-რამიშვილის ლოცვა-კურთხევით შლის ამ ჯგუფს და ხელს აწერს რამიშვილის ახალ საპროვოკაციო პროგრამას.

წერეთლის დიპლომატიური ოპოზიცია არსებითად გრძელდება. წერეთლის და ნოეების შორის ატეხილი ვითომდა აზრთა სხვადასხვაობა—ეს პოლიტიკური მანევრია ოპოზიციის, თვალის ახვევაა, ოპოზიციობის თამაშობაა.

მაგრამ მუშათა ოპოზიცია უკვე სტოვებს წერეთელს. პირველი და მეორე ჯგუფი საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტებისა—ეს წერეთლის ყოფილი „თანამებრძოლებია“. ეხლა დარჩა მესამე ჯგუფი, ისიც გ. ერაძის სახით, სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, ამისათვის ს.-დ. პარტიიდან გამოსვლასაც აღარ თაკილობს.

წერეთელმა დროებით დააბნია და შეაჩერა ოპოზიცია, მაგრამ ეს დაბნევაც ისტორიას ჩაბარდა. მუშურ ემიგრაციის ლტოლვილება სულ სხვაა. ეს არის სამშობლოში დაბრუნება და აქ საერთო მუშაობაში ჩაბმა.

ალფესი ხელაძე.

---

*) ნ. ჟორდანიის ნაწერები ეროვნულ საკ. გვ. 56 და 278.

რედაქტორი კ. სულაქველიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აჭარისტანი

ტვირთები აჭარისტანისათვის

ბათომი, 31 ივლისი. 29 ივლისს საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემით „ტეოდორ ნეტე", სახელმწიფო ბანკისა და ნავთის სინდიკატისათვის ჩამოტანილ იქნა 25000 ფუთი ცემენტი. ამავე გემით ჩამოიყვანეს 50 სული დასაკლავი სხვილფეხა საქონელი.

წითელ ნახევარმთვარის ახალი ამბულატორია

ბათომი, 31 ივლისი. წითელ ნახევმთვარის აჭარისტანის კომიტეტმა სოფელ ხიხაძირში მოაწყო პუნქტი, სადაც გაგზავნილი არიან ექიმი, ფერშალი და ბებია ქალი, აგრეთვე ყველა აუცილებელი ხელსაწყოები.

შაქარი ოსმალეთში

ბათომი, 31 ივლისი. ოსმალეთში გასაგზავნათ დამზადებული 300 რონოდა შაქარიდან ბათომში ჩამოტანილ იქნა 60 რონოდამდე.

ჭაობების ამოშრობა

ბათომი, 31 ივლისი. დაწყებულია წინასწარი მუშაობა, ნატანების რაიონის ჭაობების ამოსაშრობად. ამოსაშრობია 4000-ზე მეტი დესიატინა. მომავლისთვის ამ ადგილებში განზრახულია კანაფის პლანტაციის გაშენება.

შავი ჭირის წინააღმდეგ

ბათომი, 30 ივლისი. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო განყოფილებამ დაამთავრა შავი ჭირის საწინააღმდეგო აცრა; ხულოს და ქედის მაზრების მთა-გორიან საძოვრებზე. საქონლის შავი ჭირით დაავადება კლებულობს.

ხე-ტყის ექსპორტი

ოზურგეთი, 31 ვლისი. აქციონერულმა საზოგადოებამ „ტრანსპორტ"-მა, ეხლახან დამთავრებულ მოსამზადებელ კამპანიის განმავლობაში გურიიდან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის მისამართით შავი ზღვის ნაპირზე მიიტანა 50 რონოდა ნიგვზის ძელები და მსხლის ხის მასალა და 2 რონოდა ბზა. გასაგზავნად დამზადებულია აგრეთვე 10 რონოდა ამავე ჯიშებისა. ხე-ტყე იგზავნება უმთავრესად უცხოეთის ბაზრებზე.

სენაკის ერთიან-მომხმარებელი საზოგადოება

ახალ-სენაკი, 30 ივლისი. უკანასკნელ 8 თვის განმავლობაში სენაკის რაიონის ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას საზრუნავათ ჰქონდა 299,835 მანეთი. წმინდა მოგება 1 ივნისისთვის იყო 16,645 მანეთი.

წერილები

ბედნიერი კაპატაძე

(ს. ბაზვანი, ქუთ. მ.)

სილავან კაპატაძე ალბათ ჯერ არავის გაუგონია. სამაგიეროთ ძალიან კარგათ გაუგონია და იცნობს სოფელ ბაზვანის გლეხკაცობა. მისი საქმე სწორეთ ისეა, როგორც სალმთოწერილშია ნათქვამი: არც ხნავს, არც სთესავს, როგორც ჩიტები, მაგრამ სარჩო-საბადებელი თავზე საყრელათ აქვს ყოველთვის

სილავანმა არ იცის რა არის სიცხეში ოროყიანი თოხის მიწაში ლაყუნი გარიჟრაჟებიდან დაბნელებამდე, სილავანის ხელები არ დაუსუსხავს ჯერ ზაფხულის მზეს ვენახის დამუშავება-ახვევაში, სამაგიეროთ სილავანის სასიმინდეს საძირკვლებს მეტი ტვირთისაგან მუდამ შემოდგვზე წიწკინ-წიწკინი გააქვს, ხოლო მის მარანში ღვინის დუღილი ირგვლივ ყოველგეს იკლებს.

ან კი რატომ არ უნდა ჰქონდეს ყველაფერი ეს სილავან კაპატაძეს, როცა მამამ კარგათ დასტოვა და თითონაც ოსტატურად დაუხვდა საქმეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბევრს ეგონა, რომ დადგა სილავანის პარპაშობის აღსასრული. მისმა ღარიბ მეზობლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს.

მაგრამ, არ შეგჭამოთ ჭირმა სილავანმა ყველა გზები და ხვრელები იცის, გამოჭახრაკებული კაცია, რომელიც არც ისე ადვილათ გაებმება მახეში. რევოლიუციის შუქმა ბაზვანამდიც მოატანა, შეძლებულ პირებს აქაც ჩამოართვეს მიწა-წყალი, მათ რიცხვში ჩვენი სილავანიც მოჰყვა, რასაკვირველია. მაგრამ რა?

დღეს სილავან კაპატაძის მიწაზე ხუთი გლეხი გაიმართება. არც არაფრათ დასტყობია კაპატაძეს მიწის ჩამორთმევა, რაც ჩამოართვეს—ისეთები, რომლებზედაც, კატა რომ გადავარდეს, კისერს მოიტეხს. აბა, მოსავალი ხომ მოგეხსენებათ, როგორც მოვა ამნაირ მამულში.

სილავანიც არხეინად გრძნობს დღეს თავს. რომ კითხოს კაცმა, წუწუნით გულს გაგიწყალებს: „დამღუპეს, დამაქციეს, პირში ლუკმა გამომაცალეს"-ო. ნამდვილათ მეზობელი ღარიბი გლეხები ისე ყავს დაჭერილი ხელში, როგორც მებაღეს ახლად მოწყვეტილი ვაშლი.

იყო, მაგალითად, შემთხვევა, როცა სილავანს რაღაცაზე შესწყრა მეზობელ მესხიშვილს. ამ დღიდან მესხიშვილისათვის ყველაფერი აღიკვეთა. კაპატაძემ მის წინააღმდეგ მთელი კუთხე აამოძრავა. აღარ მისცეს მესხიშვილს წყალი, დაუკეტეს საბალახო, ერთი სიტყვით აიკარი ბარგი აქედან და გადასახლდი, სხვა აღარაფერი დარჩენოდა სილავანისაგან განრისხულ გლეხს.

მესხიშვილს ასეთ ცხოვრებას ბაზვანიდან გადავარდნაც ურჩევნია, მაგრამ რას იტყვის ამის შესხებ ადგილობრივი ხელისუფლება? ნუ თუ ისიც დაიხევს უკან ბობოლა კაპატაძის წინაშე? ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ არა.

დამსწრე.

ახალი მოსავალი

(ახალციხის მაზრა)

ახალციხის მაზრაში თითქმის მთელი მაისის განმავლობაში ყოველდღე წვიმდა, რამაც ხელი შეუწყო მოსავალს. ასე რომ, წელს ახალციხის მაზრაში ძალიან კარგი მოსავალია.

ასეთივე კარგია ხილის მოსავალი. ახალციხის ხილი ხომ განთქმულია თავისი გემოვნებით და თვისებებით არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთში და საზღვარგარეთაც. სამაგიეროდ მოსავალი ნაწილობრივ დააზიანა სეტყვამ. განსაკუთრებით დაზარალდა შემდეგი სოფლები: ბუზმარეთი, ვანი, ყაიდარი, დანიეთი, ბეზირხანი, დიდი-ბგარი და ზედა ვარძია. საერთო ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის.

საჭიროა დაზარალებულ სოფლებს დროულათ აღმოეჩინოს დახმარება.

ამ საქმის ინიციატივა და სათანადო დახმარების აღმოჩენა უპირველეს ყოვლისა თემგლეხკომებს ეკუთვნის.

თუ კარგია პურნახულის და ხილეულის მოსავალი, სამაგიეროთ ცუდ მდგომარეობაშია შინაური პირუტყვის ბედი. ჩვენს მაზრაში გაჩენილია საქონლის ჭირი, რომელმაც მრავალი ოთხფეხი მუშა საქონელი იმსხვერპლა. სოფლებიდან ჩამოდიან გლეხები წყალისათვის სამაზრო გლეხკომში და აღმასკომში. ბეითალი უარით ისტუმრებს მათ, როგორც თვითონ ამბობს, შრატი მაზრაში არაა. საჭიროა სასწრაფოდ გამოწერილ იქნეს თბილისიდან შრატი და აგრეთვე გაიგზავნოს ბეითალი მაზრაში საქონლისათვის ჭირის ასაცრელად.

პ. გურგენიძე.

დამნაშავე უნდა დაისაჯოს

(სამტრედია)

სამტრედიის კოოპერატივს აქვს სახარაზო და ფეხსაცმელების სახელოსნო, სადაც მუშაობდა 20-დე კაცი. ბოლო დროს ხმები დადიოდა, რომ ამ სახელოსნოს გამგე ანტ. მამაგეიშვილი ყიდულობს კონტრაბანდ ტყავებს, რომლითაც აწარმოებს ვაჭრობას. ამ ხმამ მიაღწია სარევიზიო კომისიის ყურამდის, რომელმაც ენერგიულათ მოჰკიდა კვლევა-ძიებას ხელი და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ხმები სინამდვილეს შეეფერება.

საკითხავია, ეს ხომ არ არის გუშინდელი საქმე, სახელოსნოს გამგე ამას სჩადიოდა კარგა ხანია. ნუ თუ ეს არ იცოდა გამგეობამ? საეჭვოა. და თუ იცოდა, რა ზომები მიიღო?

ბოლოს სარევიზიო კომისიის მუშაობას ამ მხრივ რა ბედი ეწვია? საჭიროა დამნაშავე პირთა დაუზოგველი დასჯა.

მახვილი.

დახმარებამ ნაყოფი გამოიღო

(ხეთა, ზუგდიდის მაზ.)

ხეთის 9-წლედის სკოლის შენობა ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მასში მეცადინეობა შეუძლებელი შეიქნა, რასაც მიაქციეს ყურადღება ცენტრიდან ჩამოსულ ამხანაგებმა: მიხა ცხაკაიამ და ფილიპე მხარაძემ.

მათ ამ საქმისათვის გაიღეს ორი ათასი მანეთი. ხსენებული ორი ათასი მანეთით კომისია შეუდგა შენობის შეკეთებას სამეურნეო წესით; ყოველ კაპეიკს კომისია მიზანშეწონილად ხარჯავდა და დღეს რემონტი მოთავებულია და სკოლის შენობა სავსებით შეეფერება საშუალო სკოლის მოთხოვნილებას.

ხეთის თემის საბჭოს სხდომის მთელმა შემადგენლობამ დაათვალიერა სკოლის შენობა, რომელმაც აღაფრთოვანა ყველა. ამგვარ დახმარებისათვის საბჭომ დაადგინა გამოეცხადოს ულრმესი მადლობა ამხ. მიხა ცხაკაიას და ფილიპე მახარაძეს.

მუშაობა მოდუნებულია

(წალენჯიხის თემი, ზუგ. მაზრა)

დღეს თემის მდგომარეობა უნუგეშოა, ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში წვიმა ჩამოდის და ნადგურდება, შეკეთებაზე არავინ ფიქრობს. ერთი ჩამორთმეული ოთხთვალიანი სახლი გადაიტანეს და დაყარეს მინდვრად, ყურადღების მიუქცევლობის გამო სახლის ნაწილი დალპა და ნაწილი მცხოვრებლებმა გაიტაცა.

სამაზრო აღმასკომმა სკოლის ასაშენებლად გადასდო 1,500 მან. აგრეთვე ადგილობრივად გასწერეს სკოლის ასეშენებლად 3.000 მანეთი, მაგრამ არავინ ფიქრობს აშენებაზე, ასე რომ სამოსწავლო წლიდან განათლების განყოფილება იძულებული იქნება ბინის უქონლობის გამო წალენჯიხში სკოლა მიკეტეს. გზები და ხიდები მეტის მეტად დაზიანებულია.

ასეთი მდგომარეობისათვის არა ერთხელ მიუქცევია ყურადღება სამაღმასკომს, მაგრამ ადგილობრივი მუშაკები ჯერ-ჯერობით ყურსაც არ იბერტყავენ.

მცოდნე.

წერილებიდან

ნაგვაზაუ (სენაკის მაზ.)

სასაფლაო შეუღობავია. ნაგვაზაუს თემის სასაფლაო შეუღობავია. გარდა ამისა, იქ სჭრიან ხოლმე ასწლოვან ხეებს და თითო ცალობით აცლიან ფიცრებს პატარა ქოხს, რომელიც ეკლესიების დანგრევის შემდეგ დარჩა, საჭიროა, სასაფლაოს მოვლა, განსაკუთრებით ხეების დაცვა.

ენ. ბ.

ცაიში (ზუგდ. მ.)

ღმერთი „გამოეცხადათ". აქაური მცხოვრებ ნიკ. დ—ია და კ. ბ—ძე დადიან ხალხში ავრცელებენ ხმებს, თითქოს მათ ღმერთი გამოეცხადათ. ზოგიერთი გულუბრყვილოები მართლაც ებმებიან მათ ანკესზე და ეს ორი პირი წმინდანებათ მიაჩნიათ. ადგილობრივი ადმინისტრაციაც ხომ ამ გულუბრყვილოთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომ არ ამოსდებს ლაგამს ამ აფერისტებს?

ს. ცაიშელი.

ს. სადმელი (რაჭა)

რატომ შეაჩერეთ? 1925 წელში მდინარე რიცეულაზე დაიწყეს დიდი ელსადგურის შენება გლეხების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ მხარისათვის ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმე მოულოდნელათ შესწყდა. ვერ ვაგვიგია რაშია საქმე? მრავალი მასალა ფუჭდება მოუვლელობის გამო. როდის დავასრულებთ რიცეულას ელსადგურს?

პ. ლობილაძე.

ს. თერჯოლა (შორ. მ.)

ავგული და ფულის მოყვარე ექიმები. გლეხები მეტად უკმაყოფილონი არიან აქაურ საექიმო პუნქტის მუშაობით. ექიმი არუთუნოვი ერთობ უხეშად ეპყრობა ავადმყოფის ჭირისუფალ გლეხებს. ბებია-ქალი კი იმდენად გატაცებულია პირად ანგარიშებით, რომ სანამ გლეხს ფულს არ დაათვლევინებს, არსად ფეხს არ გადადგამს.

სიმართლე.

ხონი

„შუბლზე აიფარეს". სოფ. ანალიბელსეულის გლეხს, მელქაძეს ავად ვაუხდა ორი ხარი. ერთი მაშინვე მოუკვდა და, რომ მეორეც თან არ მიჰყოლოდა, ხარის პატრონმა თემაღმასკომის მოწმობით მიაშურა ხონში ბეითალ ფერშალ ბახტაძეს. ფერშალმა არ ისურვა გლეხის გაყოლა ხარის სანახავათ და მელქაძეს უთხრა: „ეს ქაღალდი შუბლზე აიფარე"-ო. გლეხები ბახტაძის ამგვარ საქციელით აღშფოთებულნი არიან.

კიმოთე.

ს. მეჯვრისხევი

იურიდიული წრე. აქ გლეხებისაგან შესდგა იურიდიული წრე, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კანონების შესწავლას, იურიდიულ საკითხების გარჩევას და რევოლიუციონურ კანონიერობასათვის ხელის შეწყობას. წრეს ხელმძღვანელობს სახალხო მოსამართლე მიხ. სადაგიშვილი.

შრომისუბნელი.

ს. საყვავის ტყე (გურია)

მხოლოდ ერთმანეთს შესჩივიან. დაბა ჩოხატაურიდან ჩვენს სოფელში გაივლის შარა-გზა, რომელიც მოუვლელობისაგან ამხანად უმწეო მდგომარეობაშია. ყველა ერთმანეთს შესჩივის გზის უვარგისობას და „ეჟვნის შებმა" არავის უნდა. არც ჩოხატაურის თემკომი იცხელებს თავს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ გზის შეკეთება მის უშუალო მოვალეობას შეადგენს.

დ. ვ—ლი.

—:—

სოფლის ფოსტა

ერთ მშობელთაგანს. (ქუთაისი) თქვენი შეკითხვა გადავეცით დანიშნულებისამებრ.

ჩხარის აღმასკომს. წერილი გადავეცით „მუშა"-ს რედაქციას.

პ. ჯღენკელს (დილიკაური). თქვენი კორესპონდენცია გადაგზავნილია შორაპნის მაზრის აღმასკომში.

მუშათა ცხოვრება

ზუგდიდის სტამბის მუშებში

(წერილი ზუგდიდიდან)

ზუგდიდის საბჭოთა სტამბა უნუგეშო მდგომარეობაშია. მანქანები მოუვლელობის გამო ფუჭდება. ასოების უქონლობა სტამბაში მომუშავეთ მძიმე ტვირთად აწვება.

საჭიროა რამოდენიმე ფუთი ასოს შეძენა, რითაც სტამბა უზრუნველყოფილი იქნება ეს არც იმდენად ძნელი საქმეა.

აქ მუშაობს ერთი ასოთ-ამწყობი და ერთიც მემანქანე, რომელნიც ღებულობენ, შედარებით სხვა სტამბის მუშებთან ძალზე მცირე ხელფასს თვიურად 30 მანეთს. მით უმეტეს ასეთ მოუწყობელ სტამბაში მუშაობა მეტად ძნელი ხდება. ეს კარგად უნდა იცოდნენ ზუგდიდის მესვეურებმა.

არც მემანქანე და არც ასოთ-ამწყობი არ ითვლებიან კავშირის წევრებად, არ არიან დაზღვეულიც. მათ არა ერთხელ მიმართეს განცხადებით სათანადო ორგანოებს კავშირში მიღებაზე, მაგრამ დღემდე ამ გარემოებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

სტამბის მუშის დაზღვევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ვინაიდან ჰიგიენურად მათ ჯანმრთელობისათვის საზიანო პირობებში უხდებათ მუშაობა.

სტამბის გამგედ დანიშნულია მოქ. ჯალალანია, რომელიც ნაკლებად ზრუნავს სტამბის კეთილ-მოწყობაზე. მეტი ყურადღება ეკუთვნის ზუგდიდის სტამბასა და სტამბის მუშებს.

უცნობი ახკორი.

=

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა დიდი სახალხო სეირნობა. ამ საღამოს გაიხსნა ახლად გაკეთებული საზაფხულო სცენა. აქ დიდი ალაგია შემოღობილი და შესაძლებელია სამი ათასამდე კაცი დაეტიოს. ახალი სცენაც საკმაოდ მოზრდილია და შესაძლებელია ზაფხულის განმავლობაში აწარმოოს აქ დრამწრემ თავისი წარმოდგენა-გამოსვლები.

მაინც გვაქვს ერთი ნაკლი ირგვლივ შემოვლებული ფიცრის კედლები უშნოდ შეღებილია მოთეთრო ფერის საღებავით.

სცენაზე შეხედავ დასტკბები სხვადასხვა ნაწარმოებით და მუსიკა-სიმღერით და ამავე დროს, თუ თვალი ოდნავ მოაშორე სცენას მთელი შნო და შთაბეჭდილებას ეკარგება მნიშვნელობა ამ ულამაზო კედლების შეხედვით.

აუცილებლად საჭიროა ამ კედლის შიგნით დაირგას ხეები და ყვავილები. მაგრამ ეს მომავლის საკითხია, ახლათ უნდა შეიღებოს კედელი მწვანე, ანუ წითელი ბადრის ფერად.

საღამო-სეირნობა აქ მეტად ლამაზად და მოხდენილად იყო მოწყობილ-გამართული. მრავალ ფეროვანმა და შინაარსიანმა საღამოს პროგრამამ დიდძალი მშრომელი საზოგადოება მიიზიდა ბაღში, მიუხედავად იმისა, რომ შიგ შესვლა ფასიანი იყო.

ფასიანი შესვლის და საზოგადოთ ბაღის დაკეტვის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ეს მოვლენა რამდენიმედ უხერხულია.

ნაძალადევს აქვს ეს ერთად-ერთი ბაღი, საცა საღამოობით შეიძლება სუფთა ჰაერზე დასვენება. ამიტომ უნდა ვერიდოთ სავსებით ბაღის დაკეტვას, მით უმეტეს დღეს, როდესაც გვაქვს ამ ბაღში ცალკე ალაგი წარმოდგენებისათვის, საცა დაეტევა სამი ათას კაცზე მეტი.

დიდი საზოგადოება იყო ბაღში, მაგრამ კიდევ მეტი ქუჩაში იდგა და აქვე სეირნობდა. ისეთი ოჯახისთვის, რომელსაც ყავს 6-8 სული და ყველას უნდა ბაღში შესვლა, ორი შაურიანი ბილეთიც კი ძვირია.

რვა საათზე უკვე აღარ იყო სალაროში კლუბის წევრებისათვის ორშაურიანი ბილეთები. ეს გარემოება კი დაუშვებელია.

თუ დარბაზში ასე თუ ისე, უალაგობის გამო ასეთი ამბები ხდება, ბაღში ხომ ალაგი რამდენიც გინდა იმდენია და გასაკვირია თუ რატომ იყო განსაზღვრული კლუბის წევრებისათვის ბილეთების რაოდენობა.

იცის თუ არა გამგეობამ, რომ კლუბის ბევრი წევრი უკან დაბრუნდა? ბევრმა ვეღარ გადიხადა სამი და ოთხი აბაზი და გულნატკენი წავიდა უკან.

ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა და აღარ უნდა განმეორდეს.

ბაღში გაჩარხული იყო ბუფეტი, მაგარ სასმელებით. მაგარი სასმელების მომხრენი გაიძახიან: რაღა დუქან-რესტორანში დალიოს მუშამ ღვინო, მოვიდეს ჩვენთან და აი აქვე დალიოსო! აქ დიდი ქეიფი გაიმართა.

ქონდა ალაგი სხვადასხვა არა სასიამოვნო შემთხვევებსაც, დაკავშირებულს მაგარი სასმელების ხმარებასთან.

რამდენიმე ახალგაზრდა ხულიგნებმაც (ამათთვის სხვა სახელი ჩვენ ვერ მოგვინახავს), კარგა შეზარხოშებულებმა, მოინდომეს ბაღში არღანის და ზურნის შემოყვანა. ეს ვაჟბატონები ვერ დააკმაყოფილა ბაღში უკვე მყოფმა საზანდარმა და სამხედრო მუსიკამ.

ეს გარემოება შედეგია მაგარი სასმელების გაყიდვისა ბაღის ბუფეტში, რაც ყოვლად დაუშვებელია. ხულიგნების წინაღმდეგაც უნდა იქნეს მიღებული ზომები.

ძველი მუშა.

ნაქ. ქიმიკ. კავშირის ურთიერთ დამხმარე სალაროების ბიუროს წევრთა კონფერენცია

კონფერენციაზე ურთიერთ დამხმარე სალაროების რეორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არაქელოვმა. მოხსენებაში მან აღნიშნა სალაროების მოუწყობლობა, მათი ნაკლულოვანებანი, რის გამო საკავშირო ორგანიზაციების წინაშე წამოიჭრა სალაროების რეორგანიზაციის საკითხი. მომხსენებლის აზრით სალაროების თანხები უნდა გაიყოს ორად: დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ფონდებად. საორგანიზაციო ხარჯებს სალაროები დღემდე მეტად დიდ თანხებს ანდომებდენ. არაქელოვმა სთქვა, რომ სალაროების რეორგანიზაცია საქართველოში უნდა ჩატარდეს 3 თვის განმავლობაში. რეორგანიზაციის საკითხი უნდა დაისვას წარმოებებში სალაროს წევრთა საერთო კრებებზე, სადაც არჩეულ უნდა იქნას სალაროს გამგეობა 5—9 წევრამდე.

კონფერენციამ ამხ. არაქელოვის მოხსენება მიიღო სახელმძღვანელოდ და დაადგინა:—მოხდეს სალაროების რეორგანიზაცია. თავის დროზე წარმოებებში მოწვეულ იქნას სალაროს წევრების კრებები რეორგანიზაციის საკითხის გასარჩევად.

ჭ. ჭ.

—

საარტილერიო ქარხანაში

ორჯონიკიძის სახელობის საარტილერიო ქარხანაში მუშაობს 281 მუშა. მათ შორის 7 ქალია. ქარხანა შედგება ორი სართულისაგან. ორივე სართულში მოთავსებულია 14 სხვადასხვა საამქრო. ქარხანაში დაცულია სისუფთავე. ცეხებში მოწყობილია ვენტილიატორები. ქარხანა უზრუნველყოფილია მანქანებით. მხოლოდ ზოგიერთები თხოულობს შეკეთებას. სანიტარული და ტეხნიკური მდგომარეობა ქარხანაში დამაკმაყოფილებელია.

მუშებისათვის მოწყობილია ქარხანაში აფთიაქი და საექიმო განყოფილება, სადაც სისტემატიურად ისინჯება მუშების ჯანმრთელობა. რაც შეეხება კურორტების და დასასვენებელ სახლების საკითხს, იგი ვერ არის დამაკმაყოფილებლად მოგვარებული, რადგანაც იქ ძალიან მცირე პროცენტი მუშებისა იგზავნება.

ქარხკომა მიიღო ზომები და მომავლისათვის გაფართოებული იქნება დასასვენებელი მოედანი.

ქარხნის მუშებისათვის არის მოწყობილი საკუთარი კლუბი. კლუბში დაარსებულია სხვადასხვა წრეები.

არის სამკითხველო, სადაც მოიპოვება მრავალი პოლიტიკური და ლიტერატურული ხასიათის წიგნები.

შრომის დისციპლინა დაცულია. წარმოება თანდათანობით იზრდება. ქარხანაში არ აქვს ალაგი სიმულიაციას. ქარხკომის და ყველა კომისიების ენერგიულმა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია ჩატარებულია.

კოლხელშეკრულება დადებულია. ნედლი მასალა ქარხანაში არის საკმაოდ. შრომის ხელფასი განაწილებულია შემდეგნაირად: შავ მუშებს ეძლევათ საშუალოდ 56 მანეთი. ხელოსნებს 80-დან 100 მანეთამდე და ქარხნის უფროსებს კი 150—210 მანეთი.

შვებულება: მუშებს ფიზიკურად მომუშავეებს წელიწადში 14 დღე, ხელოსნებს კი ერთი თვე.

შვებულება ვერ მიმდინარეობს კარგად, რადგან მუშები ვერ ღებულობენ შვებულების დროს ფულს.

ჯამაგირების დარიგება ხდება დაგვიანებით. ქარხანაში დანიშნულია განსაკუთრებული კომისია ეკონომიის რეჟიმის გასატარებლად და დეფექტების აღმოსაფხვრელად. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

მუშა ვარდენ.

ბინის საკითხი მილიციაში

ბინის მხრივ მილიციის თანამშრომლები, განსაკუთრებით კი უმცროსი მილიციონერები დიდ გაჭირვებას განიცდიან. საგრძნობი ნაწილი მილიციონერებისა უბინაობის გამო კომისარიატებში ათევენ ღამეს. აქედან მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა პირობებში უხდებათ მუშაობა მილიციის თანამშრომლებს. ამავე დროს მილიციის განკარგულებაში მყოფი საბინაო სახლები სავსეა კერძო მდგმურებით. მართალია, მდგმურების უმრავლესობა კავშირის წევრები და საბჭოთა მოსამსახურეებია, მაგრამ მილიციის შენობებში უმჯობესი იქნებოდა მოგვეთავსებია მილიციონერები. ეს საქმისთვისაც სასარგებლო იქნებოდა და მილიციონერებსაც ცხოვრებას გაუადვილებდა.

იმედია, ქალაქის აღმასკომი მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას.

მუშკორი დ. გორდაძე.

წითელ ჯარში

ვის მიეცემა შეღავათები

(1904 წ. დაბადებულთა გაწვევის გამო)

მოქალაქეთათვის, რომელთაც უწევთ გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, წესდება შეღავათები ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, რაიც გამოიხატება იმაში, რომ გასაწვევი მოქალაქე თავისუფლდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების კადრის შემადგენლობაში სამსახურისაგან და სამაგიეროდ ჩაირიცხება ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში, ან გადის სამსახურს ჯარის გარეშე წესით.

ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით წესდება სამი კატეგორიის შეღავათი: 1) **პირველი კატეგორიის შეღავათი** ეძლევა ერთად-ერთ შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ რომ ოჯახში მის გარდა მოიპოვება სამი ან მეტი შრომის უნარმოკლებული, რომლებიც იმყოფებიან გასაწვევის მზრუნველობის ქვეშ; 2) **მეორე კატეგორიის** შეღავათი ეძლევა ერთ-ერთ შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ მის გარდა მოიპოვება ოჯახში ორი შრომის უნარმოკლებული; 3) **მესამე კატეგორიის შეღავათი** ეძლევა შრომის უნარიან ოჯახის წევრს, თუ რომ ოჯახში მის გარდა მოიპოვება მეორე შრომის უნარიანი წევრი, მაგრამ იმ პირობით, თუ აღნიშნული ორი შრომის უნარიანი პირი ინახავს სამს და მეტს შრომის უნარმოკლებულ ოჯახის წევრს.

მოქალაქენი, რომლებთაც დაუმთავრებიათ უმაღლესი სასწავლებლები, ტეხნიკუმები, მეორე საფეხურის სკოლები და მათი შესაბამი სხვა სასწავლებლები, გაწვევის დროს ოჯახურ-ქონებრივი საშეღავათო უფლებით არ სარგებლობენ.

მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ ზემოთ აღნიშნულ პირველი კატეგორიის შეღავათით, თავისუფლდებიან ნამდვილი სამსახურის გავლისაგან წითელი ჯარის რიგებში და გადიან სამსახურს ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში.

ის მოქალაქენი, რომელთაც მიენიჭებათ მეორე და მესამე კატეგორიის შეღავათები, მაშინ განთავისუფლდებიან სამსახურის გავლისაგან საკადრო ნაწილებში, თუ გასაწვევი რაიონი შეავსებს გასაწვევთა საჭირო რაოდენობას.

შეღავათის უფლებას, ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, აწესებენ გამწვევი კომისიები გაწვეულის ოჯახის შემადგენლობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დასაბუთებული ცნობების საფუძველზე. საბუთიან ცნობებად ითვლებიან: სოფლის მოსახლეობისათვის—თემის ან რაიონის აღმასკომის, სოფლის საბჭოების, გლეხთა კომიტეტების მიერ გაცემული მოწმობები, ქალაქის მოსახლეობისათვის—მილიციის ორგანოების ან პროფორგანიზაციების მიერ მიცემული მოწმობები.

ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის საშეღავათო უფლება ერთმევათ იმ პირებს, რომელთა შესახებ დამტკიცდება, რომ ისინი სცდილობდენ თავიდან აეშორებიათ სამხედრო სამსახური სხეულის რამე ნაწილის დაზიანებით, ან რაიმე სხვაგვარი მოტყუების გზით.

სამხკორთა შორის

(მე-4-ე ლეგ. მე-2-ე ათას.)

ათასეულის სამხკორთა წრეს ჰყავს 15 წევრი წითელარმიელებიდან. მეცადინეობა წრეში სწარმოებს კვირაში ერთხელ წინასწარ გამომუშავებულ პროგრამის მიხედვით. წითელარმიელები სწავლობენ წერილების წერას, აგრეთვე თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება სამხკორმა, ეცნობიან აგრეთვე კორესპონდენტის ამოცანებს სოფლად. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა წრე, მაგრამ წითელარმიელნი უკვე აგზავნიან წერილებს „წითელარმიელში". სამხკორთა წრის ჩამოყალიბებამ გამოასწორა კედლის გაზეთის საქმეც, რადგან სამხკორები მუშაობენ კედლის გაზეთში და ცდილობენ გააუმჯობესონ იგი.

ბ.

Б. С. Э. და ჩვენი დაუდევრობა

(წერილი მოსკოვიდან)

ამ დღეებში გამოდის საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის (Большая Советская Энциклопедия) მესამე ტომი. მეოთხე ტომის ნახევარი უკვე აწყობილია სტამბაში და დანარჩენ წიგნებსაც საქმის სიყვარულით და ფიცხლად ამზადებს „ენციკლოპედიის" რედაქცია.

ამას წინეთ, (გაზეთების გადმოცემით), გერმანეთის განათლების სამინისტროში შეიტანეს განსახილველად ახალი ენციკლოპედიური სიტყვარის გამოცემის პროექტი. აღნიშნული სამინისტროს პირით მთავრობამ უარყო ენციკლოპედიის გამოცემა, ერთი დიდი მოტივით: რადგანაც ჩვენ არ ვიცით როგორ წარიმართება **გერმანეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმა ამ უახლოეს წლებში,** შეუძლებელია ამ დიდი საქმის დაწყება, ვინაიდან იგი მოითხოვს პოლიტიკური სიტუაციის სიმკვიდრეს და ურყეობას—ასეთი იყო გერმანეთის სამინისტროს განმარტება „ენციკლოპედიის" გამოცემის უარყოფის გამო.

და სწორეთ ასეთი **დიდი საქმე რუსეთმა დაიწყო,** ვინაიდან მისმა ხელისუფლებამ იცის თავის სახელმწიფოს **სიმკვიდრე და ურყეობა,** რაც, მართლაც, მთავარი პირობაა „საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის" შესაქმნელად. ამ დაწყებული **დიდი საქმის** რეალური ნაყოფის პირველი ნიმუშები უკვე ჩვენს თვალწინაა პირველი სამი ტომის სახით.

Б. С. Э.-ის დიდი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ უკვე საკმაოდ დაიწერა მისი გამოცემის გადაწყვეტისა და პირველი ტომის გამოსვლის დროს, და მე ვფიქრობ, ეს ისედაც ცხადზე-უცხადესი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, მაგრამ საოცარი საკვირველებაც ისაა, რომ დიდი ენციკლოპედიის გამოცემის ეს მნიშვნელობა, ალბათ, სათანადოთ ვერ შეუფასებიათ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატსა და მისი ორგანოების ირგვლივ გაერთიანებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ამის შედეგია ის, რომ საქართველო დღემდე მთლიანად მოწყვეტილია „საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის" გამოცემისა და წარმოების საქმეს.

გამოსულ სამ ტომში, რომლებიც ასო „A" თითქოს თავდება (Атом-ამდე) **არ არის შეტანილი საქართველოს არც ერთი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის გვარი,** რომელიც იწყება ასო „A"-თი. Б. С. Э-ს გარე დარჩენ საქართველოს ისეთი მოღვაწენი, რომლებიც წინეთ ბროკგაუზ-ეფრონის, გრანატის და დიდ ენციკლოპედიაშიც კი შედიოდენ და რომლებსაც საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის" მთავარი რედაქციის თანაშემწისათვის (მსტისლავსკი) ზემოთაღნიშნული გარემოების შესახებ. მან მხო- კლოპედია დიდი სიამოვნებით [illegible] სებდა, მაგრამ ჩვენი კულტურის მესვე[illegible] ორგანიზაციების უნიათო დაუდევრობითა და ინდიფერენტიზმით თუ აიხსნება ალბათ ის გარემოება, რომ აღნიშნულ სამ ტომში (ასო „A"-ში) არ იქნა შეტანილი ისეთი მოღვაწენი, როგორც არიან მაგალითად (სახელდახელო გახსენებით): აბაშიძე ვასო, ანტონოვი, („მზის დაბნელების" ავტორი), არდაზიანი ლაერ., არაგვისპირელი შიო, ალექსი-მესხიშვილი, ლადო და სხვა.

ან კიდევ სხვა სახელებიდან: ამირანი, ალავერდი, ახტალა, ათენი და მრავალი სხვა ისტორიულად ღირსშესანიშნავი ადგილები—იმ დროს, როცა Б. С. Э-ის, როგორც დიდი ენციკლოპედიის, კარი უფრო მცირე-მნიშვნელობის სახელთათვისაც კი ღიაა.

როგორც მოგახსენეთ, უკვე მზადდება მეოთხე ტომი. დაიწყო ასო „Б". რედაქციამ უკვე შეადგინა ამ ასოზე მოსათავსებელ პირთა და საგანთა სახელების სია და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი სამი ტომის გასინჯვის შემდეგ, ასო „Б"-სათვის არ არის წარმოდგენილი ისეთი ფრიად დიდ მნიშვნელოვან მოღვაწეთა სახელები, როგორნიც არიან: **ბაქრაძე დიმიტრი, ბარათაშვილი ნიკო, ბარნოვი ვასილ** და სხვა.

ამ სტრიქონების ავტორი თავის მოვალეობად სთვლიდა მიემართა „ენცი- ლოდ მწუხარებით აღნიშნა, რომ ჩვენი კულტურის მესვეურნი, ჯერ კიდევ დარბაისლურად სდუმან.

ჩვენ ძალიან ვეცადეთ, რომ მესამე ტომში არდაზიანი და არაგვისპირელი მაინც მოგვეთავსებინა, მაგრამ უკვე გვიან იყო, რადგანაც მესამე ტომის ბეჭდვა ამ დღეებში უკვე დამთავრდა. რაც შეეხება სიტყვებს ასო „Б"-ეზე—რედაქციამ მოითხოვა წერილები არა უმეტეს ოთხი დღის ვადის განმავლობაში. ჩვენ სასწრაფოდ წარვადგინეთ ორი პატარა წერილი დიმიტრი ბაქრაძის და ნიკო ბარათაშვილის შესახებ, რადგანაც საამისო მასალები უკვე ხელთ გვქონდა, ხოლო ვ. ბარნოვზე და ბესიკზე ყოვლად შეუძლებელი იყო რისიმე დაწერა მოსკოვში სათანადო მასალების არ ქონების გამო. ასო „Ба"-ს აწყობა უკვე თავდება და საქართველოდან გამოწერილი მასალა ვერ მოესწრება.

ასეთია საქმის ფაქტიური მდგომარეობა. ამ დანაშაულში თანაბარი მონაწილეა, როგორც საქართველოს განათლების კომისარიატი, ისე მთავ. სახელოვნო კომიტეტი, უნივერსიტეტი და განსაკუთრებით მწერალთა კავშირის საბჭო.

მე ვფიქრობ ამ წერილის დასკვნა და მისგან გამომდინარე კონკრეტიული ღონისძიებანი სხვა ახალ განმარტებას არ მოითხოვს.

გ. თავზარაშვილი.

პროფკავშირებში

მბეჭდავთა კავშირში

შრომის დაცვა

ზოგიერთ წარმოებებში, როგორც არის ასოთ ჩამომსხმელი ტრესტი კ. კ. ა-ს ლიტოგრაფიული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები ძალიან ცუდია. შრომის ინსპექციამ გამგეობასთან ერთად მიმართა მთელ რიგ ზომებს შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ უშედეგოთ დარჩა.

განყოფილებებთან ერთად შრომის ინსპექცია იკვლევდა შრომის პირობებს ცალკე წარმოებებში და ღებულობდა ზომებს პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ სამეურნეო ორგანოებთან ვერას გახდენ. რადგანაც ისინი არ აქცევდენ შესაფერ ყურადღებას.

კულტ-მუშაობა

სანამ საზაფხულო მუშაობა დაიწყებოდა კულტმუშაობა სწარმოებდა საზამთრო შენობაში და როდესაც გაიხსნა საზაფხულო კლუბი მუშაობა ამ მიმართულებით იქ არის გადატანილი.

კლუბში მოწყობილია სხვადასხვა სათამაშოები, რომელთაგან უფრო ეტანებიან კლუბის წევრები ნარდს და ბილიარდს თამაშს.

მოწყობილია შემდეგი წრეები: ქართული და რუსული დრამ. წრეები, აგრეთვე სომხური წრეც, ბიბლიოთეკის მეგობართა წრე, სარედაქციო კოლეგია. ამ წრეებში კავშირის 86 წევრია ჩაბმული აქტიურ მუშაობაში. იმართება კინოები, ლექციები, ექსკურსიები, კინო-ლექციები, კითხვა პასუხის საღამოები, პროფსათამაშოები და სხ.

საკუთარი და მოწვეული ძალებით გაიმართა ქართული წრის მიერ 10 საღამო, 10 რუსული, 17 სომხური—სულ 37. ამათთაგან საკუთარი ძალებით 22, მოწვეული ძალებით 15. ამგვარად მასიური სამხატვრო მუშაობას დაეთმო საანგარიშო პერიოდში 173 საღამოს.

1 ივლისამდე ირიცხებოდა კლუბის აქტიური წევრებად 277 კაცი.

კლუბს ყველა წარმოებებთან აქვს მჭიდრო კავშირი. ერთი კვირით ადრე იგზავნება პროგრამები, რათა ადრე გაეცნონ მას მუშები.

პროფკორი კ. ჟ.

მეცნიერება და ტეხნიკა

შაქარი ჰაერიდან

ორი წლის წინათ ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა—**ბალიმ** შრომა გამოაქვეყნა. მოყავდა პრაქტიკული ცდების შედეგები და ამტკიცებდა ჰაერიდან შაქრის გაკეთების შესაძლებლობას. ამ ამბავმა დიდი ხმაურობა გამოიწვია. ბევრს ეგონა ჭარხალის კულტურა და შაქრის ქარხნები ზედმეტი ბარგიათ. მომავალში შაქარს პირდაპირ ჰაერიდან მივიღებთო. გამოჩნდენ ისეთი გულუბრყვილონი, რომლებმაც შაქრის ქარხნების აქციები გაყიდეს. ფასი დაუვარდებათო ფიქრობდენ. ერთ-ერთ ქიმიურ ინსტიტუტის დირექტორმა მოუღო ბოლო ამ ხმაურობას. მან პრესაში გამოაქვეყნა წერილი, სადაც სხვათა შორის ამბობდა—სანამ მზის სხივები მუქთათ არი, ჰაერიდან მიღებული შაქარი საშიშროებას არ წარმოადგენს არსებული ქარხნების თვისო.

მიუხედავათ ამისა ბალის გამოკვლევას აქვს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა. შაქრის ხელოვნურათ დამზადება მას არ გამოუგონია. ეს კარგა ხანია იცოდენ. ბალიმ მხოლოთ პირველათ სცადა ჰაერიდან მიეღო ის, რასაც წინათ სხვა გზით ღებულობდენ.

საკითხი რომ არა სპეციალისტებისათვის გასაგები გახდეს მოვიყვან რამოდენიმე ცნობას ორგანიულ ქიმიიდან. მკითხველს ეცოდინება რა ტკივილს იწვევს ჭიანჭველას ნაკბენი ან ჭინჭარი. ამ ტკივილებს ერთი და იგივე ნივთიერება იწვევს, რომელსაც ჭიანჭველას მჟავს ეძახიან. ჭიანჭველას მჟავი მარტივი შეერთება არის. ის შესდგება ორი ატომი წყალბადიდან, ორი მჟავბადიდან და ერთი ნახშირიდან. როგორც მჟავი, ის თორმეტჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე წმინდა ძმარი. პირველათ ჭიანჭველას მჟავი ჭინჭარიდან და ჭიანჭველას ორგანიზმიდან მიიღეს. შემდეგ კი ხელოვნურად ნახშირმჟავიდან და ტუტედგან. ნახშირი ღაწვის დროს იქცევა ნახშირის და მჟავბადის შეერთებათ—ნახშირმჟავათ. ეს გაზი რომ გახურებულ ტუტეზედ გადვატაროთ, მივიღებთ ჭიანჭველას მჟავის მარილს. აქედან თვით მჟავის მიღება ადვილია.

როდესაც ქიმიური მეცნიერება შეუდგა საკითხის გამოკვლევას, თუ როგორ წარმოშობ ბუნებამ შაქარი, უნებლიეთ ყურადღება ჭიანჭველას მჟავმა მიიქცია. როგორც ვსთქვით ჭიანჭველას მჟავი ხელოვნურათ ნახშირმჟავიდან მზადდება. ჩვენ ვიცით, რომ ჰაერში ცოტაოდენი ნახშირმჟავი ურევია. ფოთლების საშუალებით მცენარე ითვისებს მას და მით საკუთარ საზრდო-მასალას ქმნის. იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ეს გარდაქმნა აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბევრი ფიქრობს, რომ ნახშირმჟავი ჯერ ეგრეთ წოდებულ ჭიანჭველას მჟავის ალდეგიდათ იქცევა. მას რომ ერთი ატომი მჟავბადი დაემატოს, თვით ჭიანჭველას მჟავს მივიღებთ, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს ალდეგიდის მოლეკულები უკავშირდებიან ერთი მეორეს და ე. წ. ხილის შაქრათ იქცევიან. ხელოვნურათ ამ გზით შაქრის მიღებამ სასურველი შედეგები მოიტანა. მაგრამ ამ გზით მიღებული შაქარი განსხვავდება იმისაგან, რომელსაც ჩვენ ხილში ვპოულობთ. საქმე შემდეგშია. „ყურძნის და ხილის შაქარი შესდგებიან (თვითეული მოლეკულა) 6 ნახშირიდან, 6 მჟავბადიდან და 12 წყალბადიდან. მიუხედავათ იმისა ერთი შაქრის ჯიში განსხვავდება მეორესაგან. ეს იმით აიხსნება, რომ მოლეკულის შენებაში ატომებს სხვადასხვა ალაგი უჭირავთ. ამ მოვლენის ადვილათ წარმოსადგენათ, დაუშვათ, რომ [illegible] თითებს ალაგი შეუცვალეთ, მაგალ[illegible] თითმა სალოკი თითის ალაგი დაიჭირ[illegible] [illegible] ხელი ჩვეულებრივ ხელს არ [illegible]ბა. ამრიგათ, შესაძლოა შაქრის მოლეკულაში ატომების სხვადასხვაგვარი დაჯგუფება. ამიტომ განსხვავდება ერთი შაქრის ჯგუფი მეორისაგან. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ხელოვნური შაქარი არეულია. არ გავს მაგალითად ხილის ან ყურძნის შაქარს. სამაგიეროთ ხელოვნურათ მიღებული შაქარი შეიძლება გადაკეთდეს ხილის შაქრათ. მაგრამ ამისთვის დიდი ხანს მუშაობა არის საჭირო.

ის შაქრის ჯგუფები, რომლებსაც ექვსი ატომი ნახშირი უდევთ საფუძვლათ, პირველ საფეხურს წარმოადგენენ. თავის მხრივ თვითეული ამ ჯგუფთაგანი უკავშირდებიან ერთი-მეორეს და ქმნიან შედარებით უფრო რთულ შაქრის ჯიშებს. მაგალითად ჭარხლის შაქარი, რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივათ ვხმარობთ, შესდგება ორი მოლეკულა პირველ საფეხურის შაქრისაგან. ე. ი. მას თორმეტი ატომი ნახშირი უდევს საფუძვლათ. ეს მეორე საფეხურის შაქარს ეკუთვნის. აქაც სხვადასხვა ჯგუფებია. გარდა ჭარხალის და ლერწამის შაქრისა საყურადღებო ჯგუფს წარმოადგენ რძის შაქარი. სახამებელი და ცელულოზი წარმოადგენენ შაქრის უმაღლეს საფეხურებს. დამტკიცებულია, რომ ესენი პირველი საფეხურის შაქრის ერთი-მეორესთან დაკავშირებით არიან წარმომდგარი. მაგრამ ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული რამდენი პირველი საფეხურის მოლეკულა არის საჭირო, მაგალითად, სახამებელის მოლეკულას შესადგენათ. უკანასკნელ წლებში ამის შესახებ ბევრი საინტერესო და დასაბუთებული შრომები გამოქვეყნდა. მაგრამ ჯერ კიდევ ახალი დამამტკიცებელი ცდებია საჭირო

ნათქვამიდან ცხადია, რომ რასაც ამერიკელი მეცნიერი სცდილობს გააკეთოს, ბუნება დიდი ხანია აკეთებს. აკეთებს სწორეთ ჰაერიდან. ე. ი. იმ ნახშირმჟავიდან, რომელიც ჰაერშია გაფანტული. (ჰაერში გაფანტულ ნახშირმჟავის მარაგი ვარაუდით ორ ბილიონ ტონას აღემატება) ამ ნახშირმჟავას ფოთლების და ფესვების საშუალებით მზის სხივების დახმარებით მცენარე აქცევს ისეთ რთულ შეერთებათ, როგორც არის შაქარი, სახამებელი, ცელულოზი. ძვირფასი მოწყობილობა და ათასგვარი „ხლაფორთი" მას არ სჭირდება. ამიტომ ხელოვნური შაქარი ბუნებრივს ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გაუწევს კონკურენციას. ხელოვნურათ შაქრის გაკეთების ცდას აქვს მეცნიერული ხასიათი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნახშირმჟავიდან კარგა ხანია გააკეთეს შაქარი. ამერიკელმა ბალიმ პირველმა სცადა პირდაპირ ჰაერი აეღო ნედლ მასალათ. ორიგინალობა იმის შრომისა გამოიხატება უმთავრესათ იმის შესწავლაში, თუ რა როლს თამაშობენ მზის სხივები (კერძოთ ულტრა იის ფერი) ნახშირ მჟავის შაქრათ გადამუშავების საქმეში.

საერთოთ ქიმიურ მეცნიერების თანამედროვე მიმდინარეობის, ე. წ. ბიოქიმიის მიზანია წაბაძოს ბუნებას. გააკეთოს ის და იმ გზით, რასაც და რა გზითაც აკეთებს ბუნება. შეიძლება ბუნებას გამოვსტყუოთ ის საიდუმლოება, რომლის საშუალებით ის რთულ ორგანიულ ცხოვრებას ქმნის. ეს დიდი მუშაობა ჯერ მხოლოთ დაწყებულია. მას სჭირდება ასობით და ათასობით გამოცდილი მკვლევარები დიდი დრო და ხარჯი. კერძოთ ჰაერიდან შაქრის მიღების საკითხს ერთი პიროვნება ან თუნდაც ერთი და ორი ინსტიტუტი ვერ გადაჭრის. ათასგვარ კითხვებზე ცდებმა უნდა მოგვცეს პასუხი. არა თუ პრაქტიკულათ ჰაერიდან შაქრის წარმოება არ არი შესაძ[illegible] თეორეტიულადაც ხანგრძლივი მუშაობა არის საჭირო საკითხის სავსებით გამოსარკვევათ.

ალ. დევდარიანი.

საოცარი ჯირყვალი

საჭმელთან ერთად, სხვათა შორის, ჩვენს ორგანიზმში ხვდება, მართალია, ძლიერ მცირე რაოდენობით, იოდიც. იოდი მოიპოვება კვერცხში, რძეში, პურში, ღვინოში და თავს იყრის ფარისებურ ჯირყვალში. ეს წყვილი, კაკლის ოდენა ჯირყვალი, რომელიც მდებარეობს ყორყის ორივე მხარეს, შიგნით გაყოფილია მთელ რიგ პატარა საკანებათ, რომელიც სავსეა ყვითელი ლორწოთი. ამ ლორწოიან მასაში მოიპოვება სწორეთ, ცილოვან ნივთიერებებთან შეერთებული სახით, იოდი 0,03%—,/2000 გრამის რაოდენობით, ვინაიდან ფაირხებური ჯირყვალი თებული სახით,იოდი 0,03%—1/2000 გრამის რაგრამ წვენს და ეს რაოდენობა ნაწილდება დაახლოებით 50 ლიტრ სისხლში და ორგანიულ საათში 1/3000·000 გრამ იოდიდან გამოყოფს 1./2000 09.000.000.006% იოდს. გარდა სისხლისა. ფარისებური ჯირყვალი არ არის შეერთებული სხეულის არც ერთ ორგანოსთან; გარდა თავისი მილებისა, მას არა აქვს არავითარ სხვა გამოსავალი თავისი წვენისათვის, როგორიც ეს არის მაგალითად თირკმელში ან ღვიძლში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, ეს იყო სულ რამდენიმე ათეული წლის წინეთ,—ფარისებურ ჯირყვალს ყრუ ნაწლავის, ჭიაყელას მაგვარი დანამატის და კუდუსუნის მსგავსათ, უსარგებლო ორგანოთ თვლიდენ და რადგან იგი ყრუ ნაწლავის მსგავსად ზოგჯერ სივდება, დიდდება, ექიმები ოპერაციის საშუალებით სრულიად ანთავისუფლებდენ ადამიანს ამ „უსარგებლო" ორგანოსაგან. მხოლოდ ამ რამოდენიმე ხნის წინათ გამოარკვია მედიცინამ ამ საოცარი ჯირყვალის საიდუმლოება და მედიცინის ისტორიაში ამით ახალი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა.

თუ ფარისებური ჯირყვალი ავადმყოფური გადიდების გამო დიდის რაოდენობით გზავნის სისხლში წვენს, ადამიანს უჩნდება ბაზედის ავადმყოფობა—გასივებული ჯირყვალი ადამიანს კისერზე ჩიყვის სახით გამოაჩნდება. ავადმყოფი ღელავს, თვალები უდიდდება, ნერვიულობს, მაჯის ცემა უხშირდება, მიღებული საჭმელი ისე ჩქარა იწვის, რომ მას მუდამ სცხავს და ოფლი გამოუდის მაშ[illegible]ც კი, როცა არაფერს აკეთებს. წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა მოდაში შემოვიდა ქირურგია, ჩიყვს ებრძოდენ ქირურგიული საშუალებით—ფარისებურ ჯირყვალს სრულიად ამოჭრიდენ ხოლმე. ოპერაციები წარმატებით მთავრდებოდა და ავადმყოფები სრულიად იკურნებოდენ ჩიყვისგან. მაგრამ მათი სისარული ხანმოკლე იყო. გაჯანსაღების პერიოდს თან სდევდა რეაქცია და წინანდელ არანორმალურ მოვლენების სანაცვლოდ ჩნდებოდენ ახლები, სრულიად მათი საწინააღმდეგონი. კანი, რომელიც წინად ოდნავ სველი იყო, ხმებოდა და მაგრდებოდა, თმა სცვინდებოდა თვალები კარგავდენ თავის წინანდელ გამომეტყველებას, მიღებული საჭმელი არ იწვოდა და ავადმყოფები მუდამ სიცივეს გრძნობდენ, გონება უსუსტებოდა და ავადმყოფები ჩქარა სრულიად ჩერჩეტდებოდენ. ამ ავადმყოფობას აღნიშნავენ თერმინით—„მიქსედემა". მაშინდელი დროის ერთმა ცნობილმა ქირურგმა 10 წლის ბავშს სრულიად ამოაცალა მთელი ჩიყვი და რა მოხდა? 28 წლის ასაკში იგი ქონდრის კაცის ოდენა იყო და სრულ იდიოტს წარმოადგენდა: ოპერაციის შემდეგ იგი იოტის ოდენათაც არ გაზრდილა და არ გააჩნდა არც ფიზიკური და არც გონებრივი შრომის უნარი. ასეთი ხალხი გადაგვარებული ფარისებური ჯირყვალით და სულელური გამომეტყველებით ხშირია ალპებისა და პირინეის მიდამოებში. შამუნის ველი მონ-ბლანის მთასთან, რომელიც განთქმულია თავისი სილამაზით, ცნობილია აგრეთვე თავისი კრეტინებითაც. კრეტინიზმი არის სულიერი და ფიზიკური სიმახინჯე, რომელიც გამოწვეული ფარისებური ჯირყვალის გადაგვარებით. კრეტინიზმის კავშირზე გეოგრაფიულ მდებარეობასთან ბევრს დაობდენ. გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ თუ ავადმყოფები ბავშობისას გადასახლდებოდენ რომელიმე სხვა ადგილას, ავადმყოფობა ქრებოდა და ათასი ოჯახები ამგვარად თავს აღწევდენ დაღუპვას. რაში მდგომარეობს ამ მოვლენების საიდუმლოება? შატენმა გამოიკვლია მდინარე რონის (საფრანგეთი) მიდამოები. იგი აჰყვა მდინარეს ლიონიდან ზევით—ალპებამდე. გამოირკვა, რომ რამდენათაც წინ მიიწევდა იგი, იმდენათ ღარიბი იყო იოდით ჰაერი, წვიმის წყალი და ნიადაგი. ბარათ, სადაც გავრცელებულია ავადმყოფობა, იოდი სრულიად არ ყოფილა შემჩნეული. ისე მაგალითად, ციურიხში პურში, რძეში და კვერცხებში, ე. ი. იმ ნივთიერებებში, რომლებიც ჩვეულებრივ ყველაზე მდიდარია იოდით, იოდი სრულიად არ აღმოჩნდა.

მართალია, ფარისებური ჯირყვალის წვენში გარდა იოდის შენაერთებისა მოიპოვება კიდევ სხვა შემადგენელი ნაწილები, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან შესწავლილი, მაგრამ ეხლა უკვე უდაოთ თვლიან იოდის გავლენას ორგანიზმზე. მისი ზეგავლენით ძლიერდება კუნთების გაღიზიანების უნარი, გულის მუშაობა, იზრდება მადა, უმჯობესდება საჭმლის მონელების პროცესი, ადვილდება გონებრივი მუშაობა. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ იოდი ორგანიზმში ადამიანის ტემპერამენტის მომწესრიგებლის როლს თამაშობს. გამხდარ ქალიშვილს, რომელიც აღელვებული დარბის ოთახებში, სულ უბრალო რამეზე გული უღონდება და თავისი ნერვიულობით მთელი სახლი აფორიაქებული აქვს, ეჭვს გარეშეა, ტანში ძლიერ ცოტა იოდი მოეპოვება. სქელ, მსუქან ფლეგმატიკს, რომელიც თვლემს ბუხართან და თავის სავარძელს მხოლოდ საჭმლის მისალებად სტოვებს, ეჭვს გარეშეა, აქვს სუსტი ფარისებური ჯირყვალი, რომელიც ორგანიზმს ძლიერ ცოტა იოდს აწვდის.



იოდით მკურნალობის შედეგები

მარცხნით—კრეტინი გოგო, გადაგვარებული ფარისებური ჯირყვალით; მარჯვნივ იგივე კრეტინი იოდით მკურნალობის შემდეგ.

აქ მოყვანილი სურათი წარმოადგენს კრეტინ-გოგოს გადაგვარებული ფარისებური ჯირყვალით. არავინ არ დაიჯერებს, რომ ეს საბრალო არსება, რომელიც სიდიდითა და თავისი ქვედა და ზედა-კიდურების სიგრძით ჰგავს ოთხი წლის ბავშვს (წონა 1 ფ. ½ გირვ.)—15 წლის ქალიშვილია. მას არც ლაპარაკი შეუძლია და არც ჭამა დამოუკიდებლად ვერავის ვერ ცნობს და არც ემჩნევა რაიმე სულიერი განცდები. და აი, 15 წლის ასეთი ცხოვრების შემდეგ, მას მისცეს საჭმელად ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც ფარისებური ჯირყვლის იოდის ნივთიერებათ შეიცავდენ. ახალ, კარგ ნიადაგში გადარგულ ნახევრად გამხმარ მცენარის მსგავსად, ეს მახინჯი სწრაფად იწყებს განვითარებას. მას ძვლები გაუმაგრდა, კბილები განუვითარდა, კანი გაუსწორდა, თმა გაეზარდა, თვალებში სიცოცხლე გამოაჩნდა. მიეცა მეტყველების უნარი, გაუჩნდა სურვილები, სცნობს ახლობელ ხალხს, მეხსიერების თითქო პირბადე აეხადა, გაუჩნდა ნათესაური და მშობლებისა და ნათესავებისადმი სიყვარულის გრძნობა. ექვსი წლის შემდეგ ეს მახინჯი ქალიშვილათ გადაიქცა. რა ძალამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? რა სასწაული მოხდა?—არავითარი სასწაული: მოხდა ის, რომ ადამიანმა მიიღო ფარისებური ჯირყვალის რამდენიმე გრამი იოდი... ახლანდელი ქალიშვილი სურათის მარჯვენა მხარეზე მხოლოდ იმით განირჩევა ნადირის მსგავს მახინჯისაგან (სურათის მარცხენა მხარეზე), რომ მის ორგანიზმში მოიპოვება რამდენიმე მილიგრამი იოდი.

ასეთი იოდის უდიდესი როლი. მასზეა დამოკიდებული ადამიანის ტემპერამენტი და ხასიათი და ამასთან ერთად—მთელი მათი ბედი, რადგან ერთ წვეთ იოდს ჩვენს სხეულში უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენს ყველა კეთილგანზრახვებსა და მისწრაფებებს. ერთი მეათასედი გრამი იოდი მეტია ორგანიზმში,—და ჩვენ უფრო მხიარული ვართ, უფრო მეტ ენერგიას ვგრძნობთ, ლოყები ვარდისფერი გვაქვს, თმა აჭრიალია, თვალში სიცოცხლე გვიჩანს. ერთი მეათასედი გრამით იოდი ნაკლებია სხეულში,—და ჩვენი სახლისე, იდეალები, ქრება, გონება ჩლუნგდება, რომ გენიოს ერთი წვეთი იოდი წაართვან, იგი იდიოტათ [illegible]

თავისთავად ცხადია, რომ იოდს შველა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფობა ორგანიზმში მისი ნაკლებობით არის გამოწვეული. ჭკუანაკლებობის სხვადასხვა შემთხვევებში, რომლებსაც სხვა მიზეზები აქვთ (ტვინის არასაკმაო განვითარება, თავის ქალას მცირე მოცულობა, ნერვიული სისტემის აშლილობა),—იოდი იმდენივე სარგებლობას მოიტანს ადამიანს, რამდენსაც მანქანის ზეთი დამტვრეულ მანქანას. მეორე მხრივ, ფარისებური ჯირყვალი, არის რა ადამიანის ნიჭისა და ტემპერამენტის მომწესრიგებელი, ამავე დროს არ არის მათი მიზეზი, გიოტე უიოდოთ არ იქნებოდა გიოტე. მაგრამ ფალსტაფი ვერასოდეს ვერ გახდებოდა გენიოსად 20 ფარისებური ჯირყვალიც რომ ჰქონებოდა.

ფარისებური ჯირყვლის როლის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ილუსტრაციას იმისას, რომ ადამიანის ფსიქიური და ფიზიკური განვითარება მატერიისაგან არის დამოკიდებული.

ექ. შ. კან.

მსოფლიო სისწრაფეთა რეკორდები

სისწრაფე უდიდეს როლს თამაშობს ყველაფერში და ყველგან. ადამიანის გონება უხსოვარი დროიდან მუშაობს მაქსიმალური სისწრაფის მიღწევაზე ადამიანის ხანმოკლე სიცოცხლის უფრო მიზანშეწონილად გამოყენების მიზნით. და სწორეთ ამ მიმართულებით—ხმელეთზე, ჰაერში და წყალში უსწრაფესი მოძრაობის საშუალებების გამოგონებაზეა მიპყრობილი მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის მთელი ყურადღება. მაგრამ სისწრაფე დიდ როლს თამაშობს არა მარტო იმ პირობებში, რომლებიც ჩვენს გარშემო არსებობენ. მთელი სამყარო წარმოადგენს თითქო უზარმაზარ ასპარეზს, რომელზედაც არაჩვეულებრივი სისწრაფით მოძრაობენ ხილული თუ უხილავი ცის სხეულები, რომლებიც განუწყვეტლივ მოძრაობაში იმყოფებიან და სინამდვილეში აწარმოებენ ჩვენთვის მიუწვდომელ სისწრაფეებს. ასე მაგალითად, ჩვენი დედამიწა მზის გარშემო წლიური მოძრაობის დროს წამში აკეთებს 29.000 მეტრს. სხვა პლანეტების მოძრაობის სისწრაფე ასეთია:

მერკური მოძრაობს წამში 47,3 კილომეტრის სისწრაფით, **ვენერა**—34,7 კილომეტრის. **დედამიწა**—29,5 კილომეტრის, **მარსი**—23,9 კილომეტრის, **იუპიტერი**—12,9 კილომეტრის. **სატურნი**—9,6 კილომეტრის **ურანი** 6,7 კილომეტრის და **ნეპტუნი**—5,5 კილომეტრის სისწრაფით წამში. ვარსკვლავთ გუნდებისა და ნისლოვანებათა სისწრაფე 1000 კილომეტრს შეადგენს წამში. განუწყვეტელ მოძრაობაში იმყოფება ატმოსფერის ატომთა სამყარო, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად არის შესწავლილი. აზოტის მოლეკულები იცვლიან ადგილმდებარეობას 453 მეტრის სისწრაფით წამში. წყალბადის მოლეკულები კიდევ მეტის სისწრაფით მოძრაობენ. ისინი წამში აკეთებენ 1.694 მეტრს. ბრუნვითი მოძრაობის დროს ატომები ისეთ დიდ სისწრაფეს ანვითარებენ, რომელთა წარმოდგენა ნათლად მეტად ძნელია. ასე მაგალითად, მეცნიერ **ბორის** გამოანგარიშებით, წყალბადისათვის ეს სისწრაფე ცოტათი აღემატება 1 მილიარდ მობრუნებას 1/1.000·000 წამის განმავლობაში. ყველაზე უსწრაფესად მოძრაობის მხრივ ითვლება სინათლის სხივი, რომელიც წამში გადის 300.000 კილომეტრს. ეს ისეთი დიდი სისწრაფეა, იმდენი წინ არის იგი ჯერ-ჯერობით მიღწეულ სისწრაფეებთან, რომ თითქმის განუზომელი ადგილი რჩება ადამიანის გონების მიღწევისათვის ამ მიმართულებით.

ადამიანის ყველაზე მეტად აინტერესებს ის, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მის პიროვნებასთან. ამიტომ, სისწრაფეთა საკითხშიც მას პირველყოვლისა აინტერესებს კითხვა მოგზაურობის კიდევ უფრო დაჩქარების და დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში მისთვის საჭირო ტვირთების სასწრაფოდ გადაგზავნის შესაძლებლობის განხორციელება. პრიმიტიული პირველყოფილი ადამიანის განკარგულებაში ამ მიზნისთვის მხოლოდ მისი ფეხები იყო. და საეჭვოა, რომ პრეისტორიულ ხანაში ადამიანს ამ მხრივ ეჯობნოს ჩვენი საუკეთესო სპორტსმენებისათვის, რომლებიც განუწყვეტლივ ვარჯიშობენ და გარბიან საუკეთესო გზატკეცილებზე.

ცხენის წევის გამოყენებამ ადამიანს ფართე პერსპექტივები გაუხსნა მოძრაობის დაჩქარების მხრივ. ცხენის შესაფერი მოვლით და აღზრდით შესანიშნავი შედეგები იქნა მიღწეული.

პირველი მატარებლები რასაკვირველია, არ იყვნენ დამაკმაყოფილებელი სისწრაფის მხრივ მაგრამ სარელსო გზის შემოღებამ და ორთქლმავლების თანდათანობით გაუმჯობესებამ ბრწყინვალე პერსპექტივები გადაუშალეს ორთქლით წევას. მეცხრამეტე საუკუნე მატარებლების მიმოსვლის უდიდესი პროგრესის მოწმე იყო. მიღებულ იქნა საათში 100 კილომეტრის სისწრაფე, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო იქნა გადიდებული (100 კილომეტრ—28 წუთისა და 1 წამის განმავლობაში). რაც უმთავრესია, შესაძლებელი შეიქნა, ასეთი სისწრაფის შენარჩუნება ხანგრძლივი დროისათვის. ეს ცდები ახლა უკვე მოძველებულია. და თუ გინდ ბერლინ-ზონსენის ელექტრონის რკინისგზის მაგალითი,—სადაც მატარებლები საათში 208 კილომეტრს გადიან,—ნათლად ამტკიცებს, რომ ტეხნიკას ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა.

რკინის გზით მოძრაობის სწრაფ პროგრესთან პარალელურათ არანაკლების სისწრაფით ვითარდებიან ხმელეთით მოძრაობის სხვა საშუალებები; ასე მაგალითად, მსოფლიოს ჩემპიონმა რობერტ გრასჰემა ველოსიპედით განახორციელა საშუალო სისწრაფე—75 კილომეტრი საათში, მაქსიმალური კი—110 კილომეტრი საათში. ამერიკელმა ვრედ ლიდლოუმ 1924 წ. დამლევს მოტოციკლით გაიარ 204,5 კილომეტრი საათში; ავტომობილის მოძრაობის უკანასკნელი მსოფლიო რეკორდი უდრის 235 კილომეტრს საათში, ე. ი. 55 მეტრს წამში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიმოსვლაში სრული გადატრიალება მოხდა—ადამიანი, რომელიც წინათ ფეხით დადიოდა, ახლა მოტოციკლით და ველოსიპედით მოგზაურობს; დილიჟანსები და ომნიბუსები—რკინის გზებმა შესცვალეს; ცხენი თითქმის ყველგან განდევნა ავტომობილმა.

მაგრამ ადამიანი სცდილობს ისე, როგორც ხმელეთზე, ზღვაშიც და ჰაერშიც მიაღწიოს უდიდეს სისწრაფეებს. უზარმაზარი საოკეანო გემები უფრო და უფრო ადიდებენ თავისი მამოძრავებლების სიმძლავრეს. მათი საშუალო სისწრაფე საათში ახლა უდრის 45 კილომეტრს, სამხედრო გემებისა კი—55 კილომეტრს. ფარმანის ჰიდრო-გლისერმა (აეროპლანი ნავი) 1924 წ. დამლევს საათში 140½ კილომეტრი გაიარა.

ცეპელინების სისწრაფის საზღვრათ უნდა ჩაითვალოს 130 კილომეტრი საათში (ასეთი სისწრაფით გადაფრინდა გერმანიიდან შეერთებულ შტატებში ცეპელინი Z K—3, რომელმაც 80 საათში დაახლოებით 8000 კილომეტრი გაიარა). მაგრამ ყველა ზემოთ მოყვანილი სისწრაფეები არარაობას წარმოადგენს ავიაციის უკანასკნელი მიღწევების წინაშე, რომლის პროგრესი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ნაჩვენებია აქვე მოყვანილ ტაბულაზე. სისწრაფე 448 კილომეტრი საათში ანუ 123 მეტრი წამში მიღებული იქნა 1924 წ. დამლევს ლეიტენანტ ბონნეს მიერ, რომელმაც ყველა წინანდელი რეკორდები დაამარცხა. სპეციალისტები წინასწარმეტყველობენ, რომ საათში 500 კილომეტრი სისწრაფის მიღწევა სულ უახლოესი დროის საქმეა.



საინტერესოა ყველა ამ ცნობების შედარება თანამედროვე საარტილერიო ყუმბარის სისწრაფესთან. რეკორდათ ამ მიმართულებით უნდა ჩაითვალოს სისწრაფე ცნობილ გერმანული „ბერტების", რომლებითაც გერმანელები შორეულ მანძილიდან უშენდენ პარიზს ყუმბარებს. ეს სისწრაფე ლულიდან ყუმბარის გამოსვლის დროს უდრის 1340 მეტრს წამში.

რასაკვირველია, ადამიანის მიერ მიღწეული ბრუნვითი სისწრაფეები, ბევრათ ჩამორჩებიან ატომების ბრუნვის სისწრაფეს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული. დამზადებულია მანქანები, სადაც მიღწეულია ბრუნვის არაჩვეულებრივი სისწრაფე—660.000 მობრუნება წამში. გამომგონებლებს იმედი აქვთ, რომ მიაღწევენ 1.000.000 მობრუნების სისწრაფეს წამში.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ რამდენათაც ადამიანის განკარგულებაში იყო მხოლოდ საკუთარი კუნთები ან მის მიერ დამორჩილებული ცხოველების ძალა,—მისი მოძრაობის სისწრაფენი ძლიერ ნელა იზრდებოდა. ტეხნიკისა და მექანიკის განვითარებამ და მრავალმა სხვა აღმოჩენებმა მეცნიერების ყველა დარგებში მისცეს მას მძლავრი იარაღი, რომლის საშუალებით იგი ამარცხებს სივრცესა და დროს.

მაგრამ ამასთან ერთად არსებობს ერთი არსებითი დაბრკოლება—ჩვენი ორგანიზმის შეუგუებლობა ჩვენივე ხელებით შექმნილი მანქანების ტემპთან, რომელიც დღით-დღე ვითარდება. ამ ტემპის განვითარებასთან ერთად ადამიანმა უნდა ისწავლოს უფრო ჩქარა ფიქრი, ძნელ მომენტებში გადაწყვეტილებათა უფრო სწრაფად მიღება და სხვ. ადამიანის ასეთი გარდაქმნა უფრო ნელა სწარმოებს, ვიდრე ტეხნიკის პროგრესი, რის მაგალითად წარმოადგენს მთელი რიგი კატასტროფები ოდნავ უყურადღებობის ან საჭირო ღონისძიების მიღების 1 წამით დაგვიანების გამო. უსულო მანქანების ტემპის შეუჩერებელ ზრდას და ადამიანის გონების შეგრძნობის ტემპს შორის არსებულ შეუთანხმებლობაშია მთავარი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს საერთოდ სისწრაფეთა უსასრულოდ გადიდებას.

ი. კ.

მიმოსვლის მოწესრიგება

კულტურის და სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების განვითარების აუცილებელ შედეგს წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის ზრდა. დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის ქალაქები პირდაპირ იხრჩობიან ქუჩებში მიმოსვლის არაჩვეულებრივათ გადიდების გამო. ქუჩების არსებული სიგანე არ არის საკმაო ყველა მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების და მგზავრების გასატარებლათ. ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების საკითხი ქალაქების კეთილმოწყობის ერთ-ერთ [illegible]დ გადაიქცა. განსაკუთრებით უმთავრეს ამოიღება ამ მხრივ შეერთებულ მწვავედ მდგარ საავტომობილო მიმოსვლა შტატებში განვითარდა (შეერთებულ შტატებში 18 მილიონი ავ[illegible]მობილია). გამომუშავებულია მრავალი მ[illegible]დები ქუჩების განსატვირთავად ზედმეტ[illegible]ლებისა და ავტომობილებისაგან. ეწყობა [illegible] მისვლა მიწის ქვეშ, ჰაერში და სხვა.

აქ მოყ[illegible]ლ სურათზე ნაჩვენებია პროექტი მოძრაო[illegible] მოწესრიგებისა. რამოდენიმე ქუჩის ჯვარე[illegible]ზე. ვინ არ იცის რამდენ უბედურ შემთხვევებს აქვს ადგილი ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასვლის დროს. ამ უბედურ შემთხვევების თავიდან ასაცილებლათ ერთი ქუჩა მეორესთან შეერთებულია კიბით, რომლითაც გადადიან მგზავრები, ქვეშ კი მოძრაობენ, ავტომობილები, ეტლები და ტრამვაი.



პატარა ფელეტონი

„მომჭირნე“ მენახშირე

ჰყავდა ერთ-ერთ მენახშირეს
სახედარი, ანუ ვირი,
ქუჩა-ქუჩა გასასყიდათ
მას დაჰქონდა ხის ნახშირი.
უვლიდა და პატრონობდა,
არ აკლებდა თივას, ქერსა,
და ის ვირიც მუშაობდა,
არ იტკენდა არაფერსა.
ერთხელ უთხრეს მენახშირეს:
ზარალია რომ გყავს ვირი,
უნდა ასვა და აჭამო,
მოაცილო ტანზე წვირი,
ბაგაც უნდა აუშენო,
კეხის მოცვლაც უნდა ხშირი,
მიტომ არის ძვირი გიზის
გასასყიდათ ეგ ნახშირი.
შენ რომ იგი შეაჩვიო
არ ითხოვდეს ჭამა-სმასა,
სარგებლობას იმდენს ნახავ,
ვერც კი შესძლებ გამოთქმასა.
— ბიჭოს! კარგი რამ მირჩიეს—
გაიფიქრა მენახშირემ,
ამნაირად ამ ჩემ ხარჯებს
სანახევროდ შევამცირებ.
აღარც ქერი დამჭირდება,
რა თქმა უნდა, აღარც თივა
ფული ამ თხელ ჯიბეებში
ერთი ათად ჩამიცვივა.
ნელა-ნელა შეუმცირა
ვირს ქერი და შემდეგ თივა,
რა შეატყო, რომ ცხოველი
წყნარად არის, არას ჩივა,
სულ მოუსპო, აღარ მისცა,
შეუწყვიტა სულაც კვება.
და „მიღწევით“ უგუნურმა
გაიხარა, იგრძნო შვება.
უხაროდა, მაგრამ თანაც
თავის უმადურიც იყო:
ვირს თუ ჭამა არ უნდოდა,
დროით რომ ვერ მიმხვდარიყო.
— რომ მცოდნოდა მე ეგ წინად,
ფიქრობდა ის მენახშირე;
— ახლა ალბად მექნებოდა
ფული დიდი, არა მცირე,
ავაგებდი დიდ სასახლეს,
შევირთავდი ლამაზ ცოლსა,
იშვიათად იპოვიდა
კაცი ვინმეს ჩემთან ტოლსა.
დავსტოვებდი მძიმე ჯაფას
არ ვათრევდი ამ ნახშირსა,
ოქრო-ვერცხლით მოვჭედავდი
ამ იშვიათ ჩემსა ვირსა.
მაგრამ მაინც არა უშავს,
კიდევ კარგი, დროზე მივხვდი,
როცა კარგად გავმდიდრდები,
სამადლობელს გადავიხდი.
ამუშავა მენახშირემ
ერთი კვირა ის დიდყურა.
არც ასვა და არც აჭამა,
ოდნავაც არ დააპურა,—
— ჰაცა ვირო—უძახოდა
ოქრო მყევხარ, ვირი არა,
ტვირთა ბლომად ნახშირით და
ქუჩა ქუჩა დაატარა.
მეშვიდე დღეს მენახშირემ
თავის ვირი მკვდარი ნახა,
თავში ხელი შემოიკრა
და სიმწარით დაიძახა:
ვირო! რაღა მაშინ მოკვდი,
რომ შეეწყვე უჭმელობას!..
არ მეგონა თუ იზამდი
შენ ამნაირ უზრდელობას.
დარჩა ობლად მენახშირე!
არ ჰყავს ეხლა იმას ვირი.
სტირის, დღესაც ვერ მიმხვდარა,
რათ დაატყდა თავზე ჭირი.

—:—

მე არ ვიცი, იქნებ ვინმემ
მენახშირედ იგრძნოს თავი,
იქნებ მისებრ თავის „ჭკუით“
დააყარა საქმეს „ხავი“.
ეს არ ვიცი, მაგრამ ერთი
აქ ნათელი და ცხადია:
— საქმეს მოვლა ჭკუით უნდა
წარმატება თუ გწადია.
მომჭირნე ხარ? მუყაითი?
კეთილი და ძლიერ კარგი.
მაგრამ ვირი თუ მოჰკალი
ეს არაა საქმის სარგი!

ხოზიკა.

ეკონომიურ საბჭოში

ჭრა-კერვის ტრესტის გაუქმება

ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით გაუქმებულ იქნა ს. მ. უ. საბჭოს ჭრა-კერვის ტრესტი.

მეტეხის ხიდის დამთავრებისათვის

ეთხოვა ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს გაიღოს საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს განკარგულებაში დამატებით 46.000 მან. მეტეხის ხიდის სამუშაოთა დასამთავრებლად.

დახმარება დაზარალებულ მეცხვარეებს

იმისათვის, რომ საქართველოს მეცხვარეებმა შესძლონ სტიქიური უბედურებით მიყენებულ ზარალის აღდგენა, საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა საქართველოს მეცხვარეებს აღმოეჩინოთ დახმარება მიზნობრივი სესხის სახით, საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ბანკის მეშვეობით. ამ მიზნით წინადადება მიეცა საზ. „მეცხვარეს“ წარმოადგინოს სახკომსაბჭოში სათანადო ცნობები.

მაუდის ახალი ფაბრიკები

რადგან ს. ს. რ. კ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ მაუდის ფაბრიკის შესახებ დამტკიცებულ პროექტს წინასწარი ხასიათი აქვს და რომ პროექტის ის ნაწილი, რომელიც ფაბრიკის მოწყობილობას შეეხება, მოითხოვს დეტალიზაციას, წინადადება მიეცა საქ. ს. მ. უ. ს. შეუდგეს ფაბრიკის დამხმარე შენობათა პროექტის შემუშავებას.

ქაღალდის ფაბრიკის შესახებ

საკითხი იმის შესახებ, თუ სად უნდა იქნეს აგებული ქაღალდების ფაბრიკა, უნდა გამოკვლეულ იქნეს სათანადო ინსტანციებში.

1926—27 წ. საკავშირო აღწერა

წინადადება მიეცა შინსახკომს და სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს დაუგზავნონ ყველა სამაზრო აღმასკომს ცირკულიარული განკარგულება მომავალი 1926—27 წლისათვის განზრახულ აღწერის ჩატარებასთან დაკავშირებული ღონისძიებათა შესახებ.

სახ. კომისართა საბჭოში

თბილისის სასოფლო სამეურნეო სკოლა

თბილისის დაბალი ტიპის სასოფლო სამეურნეო სკოლა მთელი თავისი აქტივით და პასივით გადაეცა თბილისის აღმასრულებელ კომიტეტს.

პროფტეხნიკური განათლებისათვის

სახკომსაბჭომ დაამტკიცა განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროფტეხნიკური განათლების საკითხებისათვის დანიშნული თანხის განაწილების პრინციპი.

თბილისის აღმასკომის სტატ. განყოფ. სახელმწ. ბიუჯ. ჩარიცხვა

ფინანსთა სახალხო კომისარიატის დასკვნის თანახმად, თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილება შეტანილ იქნა საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს სისტემაში და ჩარიცხული სახელმწიფო ბიუჯეტში 1926—27 წლიდან.

მოძრავი პოლიტსკოლების შესახებ

წინადადება მიეცა ფინანსთა სახალხო კომისარიატს—მოძრავი პოლიტსკოლების 1925—26 საბიუჯეტო წლის ბოლომდე შესანახად საჭირო თანხა (7.080 მან.) გამონახოს და გაიღოს საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის კრედიტების ანგარიშში.

ამხ. ვ. ავაქოვის დანიშვნა

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ავაქოვი დაინიშნა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს წევრად.

სპეციალური ფონდები

სახკომსაბჭომ დაამტკიცა განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების იმ ქვემდებარე დაწესებულებათა სია, რომელთაც უფლება ეძლევათ იქონიონ სპეციალური ფონდები.

წყალში დაღუპვის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია

სახკომსაბჭომ დაამტკიცა წყალში დაღუპვის წინააღმდეგ მებრძოლის ორგანიზაციის დებულება.

ახალი ქარხნები

შამგონის ხე-ტყის ქარხანა

ნოემბრის დამლევს შამგონში (ზუგდიდის მაზრა) იხსნება საქართველოში ყველაზე დიდი ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელსაც აგებს საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი. ქარხანა წლიურად დაამუშავებს ერთ მილიონ კუბიკურ ფუტ დახერხილ ხე-ტყის მასალას. ქარხანასთან მოწყობილ იქნება აგრეთვე ყუთების საკეთებელი განყოფილება.

ქარხანაში იმუშავებს ყოველდღიურად 100 მუშა-ხელი. ქარხნის ყველა განყოფილება მექანიზაციქმნილი იქნება.

მცხეთის ხე-ტყის ქარხანა

სატყეო მრეწველობის ტრესტმა მცხეთაში ააგო დიდი ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელიც მუშაობას დაიწყებს სექტემბრის დამლევს. წლიურად ქარხანა დაამუშავებს 500 კუბიკურ ფუტ ხე-ტყის დახერხილ მასალას. დასაქმებული იქნება 100 მუშა-ხელი. ეს ქარხანა აგებულ იქნა თბილისში, მადათოვის კუნძულზე დაარსებულ ორი ქარხნის ნაცვლად, რომელნიც გაუქმებულ იქნენ მტკვარზე ტივების ჩამოცურების შეწყვეტის გამო.

ბორჯომის საკასრე ქარხანა

1 ოქტომბრის, ბორჯომში მუშაობას დაიწყებს საქართველოს სატყეო მრეწველობის დიდი საკასრე ქარხანა. ქარხნის წლიური ნაყოფიერება იქნება 600 ათასი ცალი კასრი (დანიური ტიპის). ქარხანაში დამზადებული კასრები გაიგზავნება საზღვარგარეთ და აგრეთვე დააკმაყოფილებს შინაურ ბაზრის საჭიროებასაც; ქარხანაში ყოველდღიურად იმუშავებს 200 კაცი. ქარხნის შენობა უკვე დამთავრებულია. ეხლა იდგმება უცხოეთიდან გამოწერილი მანქანები.

მეაბრეშუმეობის სადგურზე

უკვე დამთავრდა მეაბრეშუმეობის კურსები. ამ ჟამად სწარმოებს აბრეშუმის პარკის პეპლების დაგროვება თესლის მისაღებად. აქვე სწარმოებს ქართლიდან და ბორჩალოს მაზრიდან მიღებულ პარკის დაღრჩობა, რის შემდეგ გადაიგზავნება გასახმობად სამტრედიაში.

მეაბრეშუმეობის კურსებზე მეცადინეობდნენ 37 კაცი. გამოცდებზე გამოცხადდა 17, აქედან 9 კაცმა ფრიად დამაკმაყოფილებლად ჩააბარა გამოცდები, 5-მა დამაკმაყოფილებლად და 3 კაცი ჩაიჭრა.

აქვე არის მეფუტკრეობის კურსები, რომელზედაც გრძელდება სავარჯიშო მეცადინეობა. ამ ჟამად მსმენელები იმყოფებიან ნორიოს მამულში. მსმენელები 40 კაცამდეა. ყველა მაზრის აღმასკომების მიერ გამოგზავნილია გლეხების შვილები. აგრეთვე სწავლობენ სადურგლო ხელობასაც. მეცადინეობა მოკლე ხანში დამთავრდება.

ამ ზაფხულზე, როგორც ყოველთვის, საფუტკრე გადატანილია სოფ. ობულაღში, ერევნის მაზრაში, სომხეთში. დატოვებულია მხოლოდ პატარა სკები. ფუტკრები—დედები იგზავნებიან რუსეთში და უცხოეთშიაც. მაგ. ამერიკაში, პოლონეთში და სხვ. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ფუტკარი განირჩევა სხვა ჯიშის ფუტკრებისაგან. ჩვენი ფუტკარი ადვილად ღებულობს ღალას იონჯისა და სხვა ბალახებისაგან თავისი გრძელი ენის საშუალებით. ეს თვისება სხვა ჯიშის ფუტკრებს არა აქვს. ამიტომ მასზე ყველგან დიდი მოთხოვნილებაა.

აგრეთვე დიდი მუშაობაა თუთის ხის სანერგეში. შენდება სხვადასხვა ხარისხის თუთის ნერგები. შემდეგ გადაიგზავნება დასავლეთ საქართველოში და ნაწილი რუსეთშიაც.

მეაბრეშუმეობის სადგურს განზრახვა აქვს გამოსცეს წიგნათ თავის მუშაობის ანგარიში 1917 წლიდან.

ა. ქ.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

გუშინ მიწათმოქმედების კომისარიატის ბინაზე მოსკოვის ექსპერიმენტალურ ინსტიტუტის პროფესორმა ამხ. დრაჩინსკიმ წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე—„საქონლის ჭირი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი“.

მომხსენებელმა თავის შინაარსიან მოხსენებაში აღნიშნა, რომ საქონლის ჭირი საქართველოში ვრცელდება სპარსეთიდან (ადერბეიჯანი) და ოსმალეთიდან.

ამხ. დრაჩინსკის საჭიროდ მიაჩნია ამ საზღვრებზე სადარაჯო-სავეტერინარო პუნქტების დაარსება.

საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმეში უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ავერის საკითხს. [illegible] სისხლის წინასწარ გასინჯვა.

მომხსენებელს რადიკალურ საშუალებათ მიაჩნია აგრეთვე ამიერ-კავკასიის მასშტაბით საქონლის ჭირთან მებრძოლ სპეციალურ ორგანოს დაარსება.

ქუჩების ახალი სახელები

30 ივლისს, შესდგა სხდომა თბილისის აღმასკომთან არსებულ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს თბილისის ქუჩების და მოედნების სახელების დარქმევა და გადარქმევა.

განხილულ იქნა საბურთალოს რაიონის მცხოვრებთა შუამდგომლობა, რომ საბურთალოს დაერქვას მახარაძის რაიონი. კომისიამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

კომისიამ განიხილა აგრეთვე სხვა შუამდგომლობები და დაადგინა: მექოთნეების ქუჩას დაერქვას აბაშის ქუჩა, პრიუტის ქ.—კ. მესხის.

ამას გარდა არის აღრიცხული 60-დე ქუჩა, რომელთაც უნდა დაერქვას ახალი სახელი.

საბინაო მშენებლობა

პირველი საბინაო ამხანაგობა ბათომში

გემოკვების მუშათა კავშირმა ბათომში მოაწყო პირველი საბინაო ამხანაგობა. ამხანაგობაში წევრებად ჩაეწერენ 20 მუშა.

ბათომის ქალაქის აღმასკომმა ამხანაგობას უსასყიდლოთ გადასცა თბილისის ქუჩაზე მდებარე დანგრეული სახლი. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულმა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ამხანაგობას გაუხსნა სესხი 11 ათასი მანეთის რაოდენობით. ეწყობა აგრეთვე მეორე საბინაო ამხანაგობა, რომელსაც აარსებენ მშენებელთა კავშირის წევრები.

მუშათა სახლების აგება ბათომში

ქალაქის განაპირა უბნებში ნავთსინდიკატი შეუდგა მუშათა სახლების აგებას. ამ მიზნით სინდიკატმა უკვე შეისყიდა 150 ათასი ცალი აგური, 50 ათასი ფუთი ცემენტი, დიდძალი სააღმშენებლო ქვა, ხეტყის და სხვა სააღმშენებლო მასალა.

მუშათა სახლი ფოთში

ნავთსადგურების სამმართველომ ფოთში დაიწყო ორსართულიანი სახლის აგება. სახლისათვის, რომელიც ამერიკული ტიპის იქნება, გადადებულია 35 ათასი მანეთი. სახლი შენდება ნავთსადგურის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

რკინისგზელთა სახლი ბათომში

დამთავრდა რკინისგზელთა სახლის აგება და მოწყობა ბათომის საქონლის სადგურთან. ახალ შენობაში ჩასახლებულ იქნა 8 მუშის ოჯახი. მე-2 სახლი შენდება სამგზავრო სადგურთან. სახლის აგება საჩქაროთ მიმდინარეობს და დამთავრებული იქნება მიმდინარე სააღმშენებლო სეზონში. ეს სახლიც 8 ბინას შეიცავს. ორივე შენობის აგება ჯდება 110.000 მანეთი.

ავტომიმოსვლა

ყოველდღიური ავტომიმოსვლა რაჭა-ლეჩხუმში

ივლისის 20-დან სააქციო საავტომობილო საზოგადოებამ „ზაკავტომპრომტორგმა“ თავისი მანქანების საშუალებით დააწესა ყოველდღიური რეგულიარული ავტომიმოსვლა ქუთაისხონის შუა ოსეთის სამხედრო გზატკეცილით. მანამდე ავტომიმოსვლა სწარმოებდა კვირაში—ორჯერ-სამჯერ.

„ზაკავტომპრომტორგ“-მა იკისრა აგრეთვე ფოსტის და ყოველდღიური გამოცემების გადატანა-გადმოტანა ყოველდღიურად.

„ზაკავტომპრომტორგ“-ის ქუთაისის განყოფილებამ მიიღო ორი ახალი ავტობუსი და ერთი მსუბუქი მანქანა—„ფორდის“ სისტემის. ამ დღეებში დაიწყება ამ ახალი მანქანების მიმოსვლა უმთავრესად ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე.

ავტომიმოსვლა ქუთაისის მაზრაში

„ზაკავტომპრომტორგი“-ს მანქანებით ავტომიმოსვლა სწარმოებს აგრეთვე ქუთაისის მაზრაში—ქუთაისს-ხონის, ქუთაისს-წყალტუბოს და ქუთაისს-ბაღდადის მიმართულებით. უკანასკნელ კვირაში ბორანის გაფუჭების გამო ავტომიმოსვლა ქუთაისს-ბაღდადს შორის შეწყდა. ბორანის შეკეთება უკვე დამთავრდება და ამ დღეებში ავტომიმოსვლა განახლდება.

ძვირფასი კულტურები

60 ათასი მანეთი მეთამბაქოებისათვის

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა აჭარისტანში მეთამბაქოების განსავითარებლად გაიღო გრძელვადიანი სესხი 60 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ თანხით მთელს აჭარისტანში დათესილი უნდა იქნეს 300 დესეტინამდე მიწა.

მიმდინარე სეზონში ქედის აჭარაში მოსალოდნელია თამბაქოს კარგად მოსავალი.

წინასწარი ანგარიშით ამ სეზონში მოკრეფილ იქნება დაახლოებით 20 ათასი ფუთი ნედლი თამბაქო.

ჩაი

ჩაის მოსავალი წელს ჩაქვის სახალხო მამულებში დამაკმაყოფილებელია. ვარიანი შედეგები გამოიღო ჩაის ფოთლის პირველმა მოკრეფამ. კიდევ უფრო ნაყოფიერი იყო მეორე მოკრეფა, რომელმაც გადააჭარბა პირველს როგორც მოკრეფილი ჩაის ფოთლის რაოდენობით, ისე ღირსებით. ეხლანდელმა წვიმებმა და ნიადაგების კარგმა გაფხვიერებამ ჩაის პლანტაციებში—იმ ზომით, რომ ხელი შეუწყოს ჩაის მცენარის ყლორტების უხვად ამოხეთქას. ამის გამო მესამე მოკრეფის დროს მოსალოდნელია კიდევ უფრო უხვი მოსავალი პირველ ორ მოკრეფასთან შედარებით.

ჩაქვის სახალხო მამულებში წლის მოსავალი იქნება დაახლოებით 1 მილიონი მანეთიანი. [illegible] მოსავალი წლის საუკეთესო არ ყოფილა. სამაგიეროდ ალუბლის და ქლიავის კარგი მოსავალია.

რკინისგზაზე

მატარებლის გადავარდნა

31 ივლისს, დილის 7 საათზე და 10 წუთზე სადგ. მუგანში (ბაქოს ხაზზე) მატ. № 263 გაგზავნის დროს ისრებზე გადავარდა და ორთქლმავალი წაიქცა.

ხაზი დაზიანდა 10 საჟენის მანძილზე. ყველა ხაზები მატარებლების მოძრაობისთვის დაკეტილია. მემანქანეს ამხ. იჩქოვს მსუბუქად დაუშავდა ფეხი. ადჯიკაბულიდან მუგანში გაიგზავნა დამხმარე მატარებელი. შეუდგნენ მოსავლელი ხაზის დაგებას, რომელიც დამთავრდა საღ. 6 საათზე და აღდგენილ იქნა მატარებლის მოძრაობა.

ორთქლმავლის გადავარდნის მიზეზს იკვლევენ.

მადნეულობა

ერთი თვის წინად დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა სპეციალური ექსპედიცია ქვემო იმერეთის მადნეულობის გამოსაკვლევად. გუშინ თბილისში დაბრუნდა ექსპედიციის ერთი წევრთაგანი—პროფ. თვალჭრელიძე, რომელიც ჩვენს თანამშრომელს ექსპედიციის მუშაობის შესახებ შემდეგი აცნობა:

— ექსპედიცია მოაწყო მოსკოვის გეოლოგიურმა ინსტიტუტმა და საქ. ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ. ამჟამად გეოლოგიური ინსტიტუტი ადგენს გეოლოგიურ ქარტას და ექსპედიციაც ამ მიზნით იქნება გაგზავნილი. სამთო განყოფილებამ ისარგებლა ამ შემთხვევით და მოსკოვის ექსპედიციასთან ერთად დაიწყო მადნეულობის პარალელური შესწავლა.

ექსპედიციამ ოცდათი დღის განმავლობაში გაიარა მდ. ძირულის ხეობა 8—10 ვერსის სიგრძეზე ნაპირებიდან 4 ვერსის რადიუსის დაშორებით. გარდა იმ მადნებისა, რომელიც უკვე ცნობილია და მუშავდება კიდეც (ბარიტი, სპეკი და სხვა) ექსპედიციამ აღმოაჩინა მინდვრის შპატის და მაუდის საწარმოო თიხის საბადო მადნები. ამ რაიონში პირველად აღმოჩენილ იქნა გრაფიტი და სხვა მადნები.

მინდვრის შპატი იხმარება კერამიკულ წარმოებაში. საველე შპატი ამ რაიონში ეხლად მოიპოვება და მისი დამუშავება სავსებით მოსახერხებელია და მიზანშეწონილიც. ფრიად მეტი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისათვის მაუდის საწარმოო თიხას, რომელიც იხმარება მაუდის მრეწველობაში და აგრეთვე ნავთის გასაწმენდათ.

მაუდის საწარმოო თიხის ფენებს ძირულის ხეობაში უჭირავს დიდი არე, რომელიც რკინისგზის ხაზიდან 6 ვერსის მანძილით არის დაშორებული, რასაც ამ მადნის ექსპლოატაციისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

პროფ. თვალჭრელიძე ამჟამად აწარმოებს ცდებს ძირულის თიხის გამოსაცდელად იმ მიზნით, რომ გამოარკვიოს ამ თიხის ღირსება უცხოეთიდან შემოტანილ თიხასთან შედარებით.

მელიორაცია

ბათომის ჭაობების ამოშრობა

ბათომის ქალაქის აღმასკომის, აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და წყალთა მეურნეობის სამმართველოს დადგენილებით მიმდინარე წელს შეუდგებიან მუშაობას არდაგანის ყაზარმების რაიონში ჭაობის ამოსაშრობად. ეს ჭაობები არის ციებ-ცხელების ბუდე ბათომისა და მისი მიდამოების მოსახლეობისათვის. ჭაობების ამოშრობის პროექტის შედგენა მინდობილი ჰქონდა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომელმაც უკვე წარუდგინა პროექტი აღმასკომს. ამ პროექტით ჭაობების ამოსაშრობად ჯერ გაყვანილ უნდა იქნეს არხები და შემდეგ მექანიკურად ჭაობის წყალი გადაქაჩული იქნება ზღვაში. ჭაობების ამოსაშრობი ხარჯთაღრიცხვა 30 ათ. მან. განისაზღვრება. დაშრობილ ადგილებში დასახლებული იქნება ადგილობრივი მცხოვრებლები. პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის აღმასკომმა დაამტკიცა.

ქობულეთის ჭაობების ამოშრობა

აჭარისტანის წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა ნატანებსა და შავ წყალს შუა მდებარე ჭაობების (ქობულეთის მაზრა) კვლევა-ძიებას მათი ამოშრობის მიზნით. ჭაობებით დაკავებული მიდამოების სივრცე 2000 დესეტინას აღემატება.

მუშაობა ჭაობების ამოსაშრობად დაიწყება მიმდინარე ზაფხულში.

რკინისგზის ბათომის კვანძის სამმართველომ დაამთავრა სად. ნატანების რაიონში მდებარე ყველა ჭაობების ამოშრობა.

გაჯანსაღების გზით

(კოოპერაცია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში).

ახალციხე-ახალქალაქის კოოპერაციას უკანასკნელ ხანებში საღი, საზოგადოებრივი და ორგანიზაციული ზრდა ეტყობა.

წარსულ წელთან შედარებით, იგი მოღონიერებულია ფინანსიურადაც.

ამ ორ მაზრაში 479 კერძო დუქანია, კოოპერატიული კი ცხრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქონლის ბრუნვის 55 პროცენტი კოოპერაციის ხელშია. საქონლის ბრუნვა გაიზარდა 43,1 პროც., ხოლო მოგებამ კი დაიკლო, ფასებისა და ხარჯების შემცირების გამო 5,5 პროცენტიდან—3,6 პროცენტამდე.

თუ შარშან ამ ორი მაზრის კოოპერაციაში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 18 პროც., წელს უკვე გაერთიანებულია 26,2 პროცენტი. ამასთანავე გადიდებულია კოოპერაციის საპაიო თანხა 34,6 პროცენტით.

თუ თვალს გადავავლებთ ამ ორი მაზრის კოოპერატივების შეერთებულ ბალანსს, შემდეგ სურათს დავინახავთ: ადვილად გასანაღდებელი ღირებულებანი შეადგენენ 77 პროცენტს, ანუ 316.000 მან., ძნელად გასანაღდებელი ღირებულებანი 42.000 მან., ანუ 10,4 პროც. და გაუნაღდებელი ღირებულებანი 50.000 მან., ანუ 12,3 პროცენტს.

საკუთარი საშუალებანი უდრის 151.000 მან., ანუ 37,1 პროც., ხოლო ნასესხები 256.000 მან., ანუ 62,9 პროცენტს.

ნასესხ საშუალებებს ადვილად გასასაღებელი ღირებულებანი 130 პროცენტით ჭარბობს, სხვა ღირებულებათა დაუხმარებლად. კაპიტალის ბრუნვის სისწრაფე საშუალოდ უდრის 35,15 დღეს.

საგრძნობლად შემცირებულია გაფლანგვები,—თუ 1924—25 წელს აღმოჩენილ იქნა 8.618 მანეთის გაფლანგვა, 1925—26 წლის პირველ ნახევარში გაფლანგვა გამოიხატა 202 მანეთში (მოგების 0,36 პროც.) ამის მიზეზია სავალდებულო რევიზიის შემოღება.

გაიზარდა აგრეთვე წევრთა აქტივობა—საზოგადო კრებებს წევრები ხალისით ესწრებიან და მხურვალე მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში. კოოპერაციის ხელმძღვანელებიც სისტემატიურად აწვდიან წევრებს ცნობებს კოოპერატივების მდგომარეობის შესახებ.

ბრძოლა ჯანმრთელობისათვის

ყოველთვიური გამოკვლევა

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-ეპიდემიური ნაწილის გამოკვლევით, თბილისის ყველა საკვები პროდუქტების დამამზადებელ წარმოებებში და საპარიკმახეროებში სულ მუშაობს 5.000 კაცი. თანახმად აღმასკომის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა, ყველა ისინი უნდა გასინჯულ იქნენ ყოველთვიურად ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის მიზნით.

სანიტარულ-ეპიდემიური ნაწილის მიერ გამომუშავებულია (ცხრილი ავადმყოფობათა და აღნიშნულ წარმოებებში მომუშავე პირები, რომლებიც დაავადებულ იქნებიან რომელიმე ამ ავადმყოფობით, დროებით მოიხსნებიან მუშაობიდან და გადაიგზავნებიან სამკურნალოდ.

ამ საქმის პრაქტიკულად განხორციელებისათვის განზრახულია მუდმივ სავექიმო კომისიის დაარსება—ექიმ-ტერაპევტის, კანისა და ვენერიული სნეულების ექიმის და ქალურ ავადმყოფობის ექიმის შემადგენლობით, რომელიც აწარმოებს ყოველთვიურად აღნიშნულ წარმოების მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის შემოწმებას. ისეთი მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც დაზღვეულნი არიან, დამზღვევ სალაროში იქიმებენ სალაროს ხარჯზე; ვინც დაზღვეული არ არიან იქიმებს კერძოთ, მხოლოდ დაკლებულ ფასებში.

თითოეულ მუშა-მოსამსახურეს მიეცემა წიგნაკი, სადაც აღინიშნება, რომ ამა და ამ თვეს ის გასინჯულია კომისიის მიერ.

აღნიშნულ კომისიის აპარატის შენახვის და სხვა ხარჯების დასაფარავად შემოღებული იქნება გასინჯვისათვის ფასი: საზოგადოებრივ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის 30—50 კაპ. და დანარჩენებისათვის 1 მანეთი.

ეს საკითხი ამ მოკლე ხანში განიხილება აღმასკომის პრეზიდიუმში.

ხსენებულ ზომის ცხოვრებაში გატარება ხელს შეუწყობს იმ პირების გაჯანსაღებას, რომლებიც უშუალოდ ამზადებენ საკვებ პროდუქტებს, ან საპარიკმახეროში მუშაობენ და მოქალაქენიც უზრუნველყოფილი იქნებიან ამ შემთხვევაში რაიმე სენით დაავადებისაგან.

ბელგიის მუშათა დელეგაციის მოლოდინში

საქართველოს პროფსაბჭომ გუშინ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსაგან მიიღო დეპეშა, რომ ამ დღეებში თბილისში მოემგზავრება ბელგიის მუშათა დელეგაცია 14 დელეგატი და 3 მხლებელის შემადგენლობით.

დელეგაციაში შედის 6 სოციალ-დემოკრატი და 8 უპარტიო მუშა-მოსამსახურე.

დელეგაციის თავმჯდომარეა ვერკრეც—ტრამვაის მუშათა კავშირის და პროფმოძრაობის მთლიანობის მომხრე ბრიუსელის ჯგუფის მდივანი.

დელეგაციის წევრებია: ფეიკარი—გერმან, მთლიანობის ჯგუფის დელეგატი, მკერავთან კარტუა—მკერავთა ნაციონალური კომიტეტის წევრი, მეტითონე—ბრიუჟ—ანტვერპენის მეტითონეთა კავშირის თავმჯდომარე—ბოხარც, ტრიულმანს, გერც, ხტას, ტრამვაელი—გიუნე, ბრინჯაოზე მომუშავე პუასსონ—სოციალისტური „ახალგაზრდა გვარდიის“ წევრი; მოსამსახურე—ტრალნბოტ და კომპოზიტორი ოტსტონ—მასხოიბი და მუსიკოსთა კავშირის დელეგატი.

ეს ბელგიის მუშათა პირველი დელეგაციაა, რომელიც ჩამოდის საბჭოთა კავშირში. ის არჩეულია ნაწილობრივ პროფკავშირების, ნაწილობრივ მთლიანობის ჯგუფების მიერ, რომელთა ინიციატივითაც მოხდა მათი გამოგზავრება საბჭოთა კავშირში.

თბილისში დელეგაცია ჩამოვა კავკაზიდან საქართველოს სამხედრო გზით.

აგარაკები

საკურორტო სამმართველოს ცნობით, წაღვერის პანსიონატმა დიდძალი ავადმყოფები მიიზიდა.

თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება.

პირველ აგვისტოდან გაიგზავნება ავადმყოფების ახალი წყება პატარა ცემში.

საქართველოს კურორტებზე გაგზავნილ ავადმყოფების რიცხვი უდრის 540 კაცს.

საგეგმო კომისიაში

პერსპექტიული გეგმები

საქართველოს საგეგმო კომისია ამჟამად მუშაობას აწარმოებს ყველა პერსპექტიული გეგმების გადასამუშავებლად იმ წინადადებებთან შეფარდებით, რომლებიც მიღებული იყო საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების პერსპექტიული გეგმების განხილვის დროს.

გადამუშავებული იქნება როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მრეწველობის ყველა დარგების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმები.

მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ნოემბრამდე.

საკონტროლო ციფრები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო-სააღმშენებლო სექციამ შეიმუშავა მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1926—27 წლისათვის.

საკონტროლო ციფრები განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ადგილობრივი მრეწველობის განვითარების გეგმა

საგეგმო კომისიის სამრეწველო-სააღმშენებლო სექციამ შეიმუშავა ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომელიც განსახილველად გადაეცა ეკონომსაბჭოს.

ყვავილის მოსასპობად

რესპუბლიკის ზოგიერთ კუთხეებში უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ყვავილი.

აღნიშნული სენი განსაკუთრებით იყო საჩხერეში, ამიტომ ჯანსახკომმა ჩაატარა აქ ეპიდემიასთან საბრძოლველი კამპანია.

მიღებული ცნობებით, საჩხერეში ყვავილის ავადმყოფობა საგრძნობლად შემცირდა.

გადაწყვეტილია რესპუბლიკის ზოგიერთ შორეულ კუთხეებში ჩატარებულ იქნეს ყვავილის აცრის კამპანია.

ქრონიკა

ჯანსახკომში

— **დახმარება ებრაელ მოსახლეობას.** საქ. ცაკის დავალებით, საქ. ჯანსახკომმა აღმასკომებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომ გააძლიერონ უფასო სამკურნალო დახმარება და სანიტარულ - ტექნიკური მუშაობა საქართველოს ებრაელ მოსახლეობას შორის, მათი ფიზიკური და კულტურული კეთილდღეობის მიზნით.

— **1.000 მანეთის გადადება.** დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილებამ გადადო 1.000 მან. თელავის საავადმყოფოს შესაკეთებლად.

— **საბავშვო გინეკოლოგიური ინსტიტუტისათვის.** საბავშვო გინეკოლოგიურ ინსტიტუტის მოსაწყობად დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილებამ გადადო 500 მან.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატში

— **გაჭირვებულთა დამხმარე საზოგადოება.** ქალაქ თბილისის გაჭირვებულთა სოციალური დამხმარე საზოგადოების დებულება საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უკვე დაამტკიცა. ამ საზოგადოების მოსაწყობათ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი საჭირო სამზადისს შეუდგა. ახლო ხანებში კომისარიატში გაიმართება ზემოაღნიშნული საზოგადოების დამფუძნებლების პირველი საორგანიზაციო კრება.

— **ასტრონომიულ - ტოპოგრაფიულ მუშაობისათვის ხელის შესაწყობად.** გუშინ 31 ივლ. სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა მიწყოლილობები დაუგზავნა ყველა სამაზრო აღმასკომებს და აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის ცენტრალურ აღმასკომებს—სოფლად საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გეოდეზიურ სამმართველოს ადგილობრივ [illegible] დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ასტრონომიულ - ტოპოგრაფიულ მუშაობის შესრულებაში, რომელსაც კავშირისათვის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

გლეხთა სახლის შეკეთება

გლეხთა სახლის გამგეობა შეუდგა გლეხთა სახლის კაპიტალურ შეკეთებას; შეკეთებისათვის გადადებულია 2.500 მანეთი.

თამბაქოს დამზადება

თამბაქოს დამზადების სეზონიდან დაწყებული დღემდე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში დამზადებულია 534 ათასი ფუთი თამბაქო.

ექიმის გაგზავნა

დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილებამ გაგზავნა ენგურის ხიდზე მომუშავეთათვის სპეციალური ექიმი.

სავაჭრო ბრუნვა

გასული თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მთავარი ბირჟების სავაჭრო ბრუნვა უდრიდა 17.718 [illegible] მანეთს.

მოჭადრაკეთა წრე

საქ. პროფკავშირის კულტგანყოფილებასთან არსებული ათი კაცისაგან შემდგარი მოჭადრაკეთა წრე მიემგზავრება ლენინგრადში და მოსკოვში, მოჭადრაკეთა შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებათ.

შემთხვევები

ბანდიტის მოკვლა

28 ივლისს, ღამით ახალციხის პოლიტბიუროსთანამშრომელმა მაზრის მილიციასთან ერთად შეტაკების დროს მოჰკლეს ცნობილი ბანდიტი-ყაჩაღი **მიბარ რაშიდ-ოღლი,** რომელმაც ათი წლის განმავლობაში მრავალი პირი ამოხოცა. სხვათა შორის მან მოჰკლა საკუთარი შვილი მხოლოდ იმისთვის, რომ შვილი კოჭლი იყო.

— **მოპარული ტანსაცმელის აღმოჩენა.** 30 ივლისს, ვერილის ქ. მცხოვრებ ა. დუნდუას მოჰპარეს ბინიდან სხვადასხვა ტანსაცმელები; იმავე დღეს დუნდუამ ნაწილი მოპარული ტანსაცმელებისა აღმოაჩინა ცენტრალურ ბაზარში, ხელზე მოჰკიდა ი. კაზიშვილთან, რაც უკანასკნელს ჩამოერთვა.

— **ღია კარებიდან.** 30 ივლისს, გონჩარის ქ. მცხოვრებ მიქ. დარჩინიანცს, როცა მას ეძინა ღია ოთახში ქურდმა მოჰპარა 25 მ. ღირებული სხვადასხვა ნივთები.

— **ბინის გაქურდვა.** 30 ივლისს, გოგოლის ქუჩაზე გაქურდეს ი. სტრელკოვის ბინა, წაღებულია 170 მან. სხვადასხვა ნივთები.

თავის მოწამლა

გუშინ, ღამით, იოდით თავი მოიწამლა საბჭოს ქუჩაზე სახლი № 3-ში მცხოვრებმა ნინა ბაბახანოვამ.

მიზეზი გამოურკვეველია.

ბაბახანოვი სიკვდილს გადაარჩინეს.

— **თავის ჩამოხრჩობა.** 30 ივლისს, 10-ე სამილიციო უბნის საპატიმროში თავისივე პერანგით თავი ჩამოიხრჩო, ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის დაპატიმრებულმა, 22 წლის ახალგაზრდამ ა. ლიამიძემ.

— **შეპყრობა.** შეიპყრეს რ. ქობულაშვილი, რომელმაც 28 ივლისს, ნავთლუღის თეატრში დანით დასჭრა ბიჭიაშვილი.

— **ქურდის აღმოჩენა.** მილიციამ შეიპყრო მიხეილ გიდაურის ბინის გამქურდავი, რომელიც აღმოჩნდა ვ. მირინესკო.

აკაკი*)

(მისი მოსამსახურის პირადი მოგონებანი)

მე შევუდექი დიდი მგოსნის მოგონების წერას. ვბედავ ამას ორი მოსაზრებით: ერთი იმით, რომ არ მინდა სამარეში თან ჩავიტანო ყველა ის პირადი ნახული და ნასმენი, რაც კი ვიცი საყვარელი მგოსნის ცხოვრებიდან და, მეორე ის, რომ იქნება ქართველ მკვლევარს გამოადგეს რაიმეთ ჩემი ნაამბობი. შეიძლება ჩემი მოგონებით ვისმე რამე ვაწყენინო, ამაზე წინდაწინ ბოდიშს ვიხდი. აგრეთვე დავამშვიდებ, რომ თვით ჩემ თავსაც არ დავინდობ, რაიმე დანაშაულის გამოაშკარავებაში.

ჯერ კიდე პატარა ვიყავი, როცა აკაკის სახელი შევითვისე, შევიყვარე. იმ ხანათ, 1878 წ., მე ვკითხულობდი გაზეთ „დროებას“. როგორც კი გაზეთს ჩავიგდებდი ხელში, მაშინვე ძებნას დაუწყებდი, იყო რამე თუ არა მოთავსებული აკაკისა. თუ მისი ლექსი, ან „ცხელ-ცხელი ამბები“ იქნებოდა მოთავსებული ეს გაზეთი საუნჯეთ მიმაჩნდა. მე ამ დღიდან აკაკის ნახვა მენატრებოდა, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ ქართული მწერლობა შემაყვარა აკაკის და ალ. მოჩხუბარიძის (ყაზბეგი) ნაწერებმა. ამათგან დავიწყე და აღარ დამრჩენია არც ერთი ქართველი მწერლის ნაწარმოები გადაუკითხავი.

ოთხმოციან წლებში სასტუმრო „ლონდონში“ ვმსახურობდი. ამავე წელს მე თვითონ დავიწყე ლექსების წერა. ხსენებულ წელს „სურამის-ციხე“ უნდა დაედგათ ქართულ თეატრში.

იმდენათ თეატრის ნახვა არ მაინტერესებდა, რამდენადაც აკაკისა. მე გავეშურე თეატრში იმ იმედით, რომ ვნახავდი აკაკის. ქანდარის პირველ რიგში ვიჯექი. ჩემს გვერდში იხსდნენ სემინარიელები, ამათ დამანახვეს პარტერში თავისი გაჩეჩილი თმით აკაკი. წარმოდგენა თავდებოდა, მე მივატოვე და მაღლიდან ძირს ჩამოვირბინე. აკაკი გამოვიდა, მე შორი ახლოს გავყევი და მივაცილე ბინამდის. ეს იყო პირველი ჩემი ნახვა საყვარელი მგოსნის. 1886-7 წლებში თბილისის ხელზე მოსამსახურეთა შორის დაიწყო ჩუმი მოძრაობა, მართალია კავშირები არ იყო და არც პოლიტიკურად იყვნენ მომზადებული, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩუმ კრებებს მაინც ვმართავდით. ჩვენი სურვილი იყო დაგვეარსებია „ურთი-ერთშორის დამხმარე „საზოგადოება“, მიზანი მეტად კარგი იყო... ეს გაეგო აკაკის და დაგვიბარა რამდენიმე კაცი თავისთან. ძმები სოსიკო და ნოშრევანი მერკვილაძეები მართალია ჩვენს პროფესიას არ ეკუთვნოდენ, მაგრამ ისინი მუდამ ტრიალებდენ ჩვენ შორის და მწიგნობრობას ავრცელებდნენ. რადგანაც სოსიკო დაახლოვებული იყო აკაკისთან, წავიმძღვარეთ წინ და მივედით აკაკისთან სასტუმრო „პარიზის“ ნომრებში.

ჩვენი მისვლა ძალიან ესიამოვნა აკაკის. ყველას ხელი ჩამოგვართვა მე მოვინდომე ხელზე კოცნა, მაგრამ მან არ დამანება. აკაკიმ გამოგვკითხა ვინაობა და ჩვენი მოძრაობის მიზეზები. ჩვენ უამბეთ ყოველივე. მეტად მოეწონა სურვილი და შეგვპირდა დახმარებას ამ საქმეში. მოგვცა შესაფერი დარიგება. აგრეთვე აკაკიმ იკისრა წესდების შედგენა... თავისი სიხადავით და ტკბილი ოხუნჯობით მოგვხიბლა, შეგვაყვარა თავი. ეს იყო მეორე შეხვედრა, მაგრამ პირადი გაცნობა საყვარელი მგოსნის. აკაკიმ წესდება შეგვიდგინა: ფართე შინაარსის მეტად ფანტაზიური. ის რომ განხორციელებულიყო, დღეს ვერც ერთ მამა კაცს ვერ ნახავდით ხელზე მოსამსახურეს. წესდება არ დაგვიმტკიცა მთავრობამ, რადგანაც ნება დაურთველ კრებებს ვმართავდით ხელზე მოსამსახურეთათვის, წესდების გასაცნობათ. რამდენიმე კაცი ამის გამო ციხეშიაც ჩაგვყარეს. მთავრობა ეძებდა დამწერს. ჩვენ, რა თქმა უნდა ამას არ ვეტყოდით.

ამის შემდეგ, კარგა ხანს, აკაკი აღარ მინახავს. 1894 წ. სასახლის ქუჩაზე გრიგოლ დიასამიძემ მითხრა: „აკაკი გიბარებს და ნახეო“. ამ დროს აკაკი „გრანდ-ოტელში“ ცხოვრობდა. მეც მივედი მასთან. თავაზიანათ მიმიღო და მთხოვა დამეწერა რამე ხელზე მოსამსახურეთა ცხოვრებიდან. მე უკვე დაწერილი მქონდა ერთი დიდი ლექსი, რომელიც ძლიერ მოიწონა. ამ დროს მე ვმსახურობდი მდიდარ არაფელოვის ოჯახში. მე ამ ოჯახში ცხრა წელიწადი ვიმსახურე და მეძლეოდა თვეში სამი თუმანი. ზაფხულში ბორჯომში წავედით. აქ მივიღე აკაკის მოწერილობა. აკაკი მთხოვდა შემოდგომაზე მასთან გადავსულიყავ, რადგანაც ის აპირობდა სტამბოლში წასვლას, მე მთხოვდა გავყოლოდი თან. მეორეთ სიტყვიერათ დაებარებია ნ. ნიკოლაძის დისათვის, რომ უსათუოდ მენახა. მე პასუხი გავეცი და წერილით ვაცნობე ჩემი სურვილი.

1887 წელში გაზეთ „ივერიაში“ ფელეტონები იწერებოდა ვინმე ე. ვაშაკიძესი (ვგონებ ექიმის). ვაშაკიძე დაახლოებით ამ აზრს ატარებდა: აკაკი, როგორც მგოსანი კარგია, ხოლო როგორც მოქალაქე არაო. ამ სტრიქონებმა მეტათ დამაღონა და ამიტომ უფრო მინდოდა აკაკისთან დაახლოება. ეს სურვილიც ამისრულდა. მიუხედავათ ამისა, რომ არაფელოვთან სამი თუმანი მქონდა ჯამაგირი, აკაკისთან თვეში თუმნათ მივედი. ამ დროს აკაკი ცხოვრობდა ნიკო დიასამიძის ოჯახში. დიასამიძის ოჯახი მრავალ რიცხვიანი იყო. ჩემს სიცოცხლეში ბევრი ქართველის ოჯახი გავიცანი, მაგრამ ისეთი ქართული ოჯახი არ შემხვედრია, როგორც დიასამიძის ოჯახი იყო. ზოგიერ გადაგვარებულებს არ მოგავდა. აქ ყველაფერი ქართული იყო. მიუხედავათ იმისა, რომ დიასამიძის მეუღლე ეროვნებით ქართველი არ ყოფილა. ამ ოჯახში აკაკის ყველა მოწიწებით ევლებოდა თავს. ერთხელ დიასამიძის ოჯახს შორიდან დიდი ხნის უნახავი სტუმრები ეწვიენ. სტუმრებმა სიხარულით ხმა მაღლა დაიწყეს ლაპარაკი. დიასამიძემ სტუმრები დააჩუმა, რადგანაც აკაკი იწვა მახლობელ ოთახში: ერთი სიტყვით, ყველა ცდილობდა აკაკის სიამოვნებას. არა თუ აკაკის რადგან მე აკაკის ვახლდი, მეც პატივის ცემით მეპყრობოდენ. ზამთარში აკაკიმ გამგზავნა თავის სოფელ სხვიტორში. მან მითხრა: „მე მყავს იქ კანდელაკი, მყავანდნენ სხვებიც, მაგრამ გაკეთების მაგივრათ ჩემი ცხოვრება გაანიავესო“. მე მივედი სხვიტორში. გადავეცი წერილი აკაკის დას, ანა როსტომის ასულს, წერილი გადაიკითხა და დამიწყო ცქერა.

—შენ სადაური ხარ?

—რაჭველი გახლავარ, ბატონო!

—რამდენი ხანია ჩემ ძმასთან ხარ?

—სამი თვე, ბატონო.

—რას გაძლევს ჯამაგირს?

—ერთ თუმანს, ბატონო.

—ერთი თუმანი რას გაგიხდება, ბიჩა, ცხოვრებაში? —კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩვენს ოჯახში, მაგრამ მიკვირს ჩემი ძმის საქციელი ჯერ ერთი არ მოუშორებია და მეორეს მიგზავნის.

სხვიტორში აკაკის მაღლა გორაზე ორსართულიანი ქვის სახლი ჰქონდა, რომელიც ციხე-კოშკს წააგავს. აკაკის სახლს ამშვენებდა ეზო-გარემო. აქვე იყო აშენებული კარის ეკლესია. ერთი სიტყვით, ადგილ მდებარეობა მოსაწონი და თვალ წარმტაცი, მაგრამ მზრუნველის ხელი არ ეტყობოდა და ეზო-გარემოც დაპარტახებული იყო.

ამ ციხე-დარბაზში ზედა სართული თავისუფალი იყო. ერთ პატარა ოთახში ელაგა მრავალი წიგნები, არეულ აფორიაქებული. ეს იყო აკაკის წიგნთ-საცავი. სხვა ოთახებში ავეჯი ელაგა. მთელი ოთახები უყურადღებოთ იყო მიტოვებული და ყველაფერს დასდებოდა მტვერი. ქვედა სართულში ერთი დიდი ოთახი ეჭირა აკაკის დას, მეორე ოთახში საჭმელი მზადდებოდა და მესამე დიდი დარბაზი სავსე იყო სხვადა სხვა ბალახეულობით, რომელიც ხმებოდა წამლებისათვის. (აკაკის დას მკურნალობა დედისაგან ჰქონდა შესწავლილი) გარდა იმისა, რომ ეს ქალი ექიმობაში ფულს იღებდა, ოჯახის მთელ შემოსავალსაც ის იყო დაპატრონებული... მიუხედავათ იმისა, რომ ფეხი ტკიოდა და ძლივს დაიარებოდა, არსად არაფერი გამოეპარებოდა. მაგრამ რა, დღეს რომ ათასი მანეთი ჰქონებოდა, ხვალ კაპეიკიც აღარ გააჩნდა, რადგანაც დღე და ღამე ნარდის და კარტის თამაშში იყო გართული. ერთ ოთახში უსახლკარო გლეხი იყო მოთავსებული ცოლშვილით. ესენი იყვნენ ოჯახის მოსამსახურენი. ისე იყვნენ გაზარმაცებული ცოლიცა და ქმარიც, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ახალგაზრდები იყვნენ, ხელის განძრევა ეზარებოდათ. კანდელაკს არ ესიამოვნა ჩემი მოსვლა, რადგანაც იმისი ადგილი მე უნდა დამეჭირა. ჩვენ ერთათ მოგვიხდა ცხოვრება. ასე რომ, ერთსა და იმავე დროს ოთხ ალაგას გვენთო ციცხლი და ერთი ლერი შეშის მარაგი კიარა ჰქონდათ. გლეხი ზარმაცობდა. კანდელაკი არა კადრულობდა და მე მიხდებოდა ტყიდან ნედლი შეშის ზურგით მოზიდვა.

კანდელაკი ახალგაზრდა კაცი იყო, აზნაური და მასთან ლამაზი შეხედულობის. ის გაცნობილი იყო წერეთლებში და, როცა კი ფულს მოიგდებდა ხელში ისიც ნარდისა და კარტის თამაშში იხჩობოდა. ასე რომ აკაკისათვის არაფერი არ კეთდებოდა ამ სახლში. ესენი აკაკიდან ელოდენ ფულს და აკაკი კი ამათგან. მე გამაგზავნა აკაკიმ მიტომ, რომ ცოტა რამე გამეყიდა და ცოტაოდენი ფული გამომეგზავნა თბილისში. აკაკის მთელ ცხოვრებას დაპატრონებოდა მისი დაი და კანდელაკიც, როგორც ახალგაზრდა, ჩაეთრია ადგილობრივ საზოგადოებას. ერთიცა და მეორეც უფრო ზრუნავდნენ კარტ-ნარდის თამაშისათვის, ვიდრე გაჭირვებული მგოსნისათვის.

მე დავაპირე სიმინდის გაყიდვა და ნება არ მომცა აკაკის დამ. აღარ ვიცოდი რა მექნა. წასვლას ვერა ვბედავდი და იქ დარჩენაც ზედმეტი იყო. როგორც იქნა გაჭირვებით გავატარე ზამთარი. გამოვნახე საშუალება. აკაკის შეძლებულ ნაყმევს და მოვართვი ფული, სამაგიეროთ მომავალი წლის ჭირნახულს აღარ გადაიხდიდა. წამოვედი თბილისში. მიუტანე ფული აკაკის. ეს იყო და ეს. დავიწყევლე თავი, რომ ფეხი აღარ გამედგა საჩხერისაკენ. მიუხედავათ ამისა, აკაკი ზაფხულში თვითონ წავიდა და მეც თან წამიყვანა. აკაკი გვერდიდან არ მიშორებდა და ყველას აცნობდა ჩემ თავს, როგორც მის პირად მეგობარს და მუშა მწერალს... ჭიათურაში ეტლი დავიქირავეთ და საჩხერეში ბეჟან წერეთელისას მივედით. ბეჟან წერეთელს დაფუძნებული, დოვლათიანი ოჯახი ჰქონდა თუ სხვებს თავისი ქონება გაეფლანგათ, ამ კაცს ახალი ცხოვრება შეეძინა. ბეჟან წერეთლისას აკაკის მისვლა ძლიერ გაეხარდათ. მწვანით მოსილ დიდ ეზოში გამოეგებნენ, აქვე იყო მეტად თავაზიანი, დიდი მოღვაწე, ივანე მაჩაბელი. მე მას კარგათ ვიცნობდი და მეც თანაგრძნობით მომესალმა. იმ ღამეს ბეჟან წერეთლისას დავრჩით, მეორე დღეს გავედით სხვიტორში.

მთელი ზაფხული მოსვენება არა ჰქონდა აკაკის, არ აძლევდნენ საშუალებას წერისას... სხვადა-სხვა მნახველებიც მოდიოდნენ. სხვათა შორის, კიტა აბაშიძემაც ინახულა. ამავე ზაფხულში გარდაიცვალა კუნტი გიგო წერეთელი. აკაკისა სთხოვეს სიტყვა სთქვიო. აკაკიმ ცივი უარი შეუთვალა ჭირისუფლებს. აკაკი ამბობდა: „რა შემიძლია ვთქვა იმ კაცზე, რომელსაც ბევრი კარგის გაკეთება შეეძლო და ამის ნაცვლად ბევრი ცუდი მიუძღვის ცხოვრებაშიო“.

რადგან არ ეშვებოდნენ, წინადადება მისცა: გაეღოთ რამე საქველმოქმედო მიზნით, ჭირისუფლებმა ასი თუმანი გამოიღეს. აქედან ოცი თუმანი ზეპირ სიტყვაობას გადაეცა. ყველას კარგათ მოეხსენება, თუ როგორი თავ გამოდებით ცდილობდა ზეპირსიტყვაობის შეკრებას აკაკი. ეზოში გამოასვენეს მიცვალებული. სიტყვა სთქვა აკაკიმ და მისი სიტყვა დაბოლოვდა ამ შესაწირზე. ეს დაედვა სარჩულათ, თორემ სიტყვას არ იტყოდა.

გიგო კუნტის ტირილი და გასვენება სწორეთ რომ მეფური გასვენება იყო .ვინ იცის რამდენი ასი თუმანი არ დაიხარჯა. კიდე კარგია, რომ მგოსანმა ასი თუმანი მაინც გაალებინათ საქველმოქმედო მიზნით. როგორც იქნა ზაფხული გავატარეთ. დადგა შემოდგომა, ბავშვები ემზადებოდნენ სკოლებში სწავლისათვის.

ერთ დღეს ვიღაც დედაკაცი მოვიდა პატარა ბავშვით აკაკის სანახავად.მგოსანი შეუძლოთ იყო და დედაკაცს უარი უთხარი. მაშინ მორთო წუწუნი და მემუდარებოდა, მაჩვენეო. ეს გაიგონა აკაკიმ და დამიძახა—მკითხა: ვინ არისო. მე მოვახსენე. მითხრა: „დაუძახე“-ო.—დედაკაცი შევიყვანე.

— ვინ ხარ, დაო, ან რა გაგჭირვებიაო?

— მე სომეხი გახლავართ ქვრივოხერი, ბავში მრჩება უსწავლელი, მივიყვანე კლასში, მარა ყარამან ჩხეიძემ არ მიიღო, უარი მითხრაო.

— ნუ ტირი, დაო, ახლავე წერილს მივწერ ყარამანს და ჩემს თხოვნას არ გატეხავსო— ბავში მიიხმო აკაკიმ და თავზე-ხელი გადაუსვა და ჰკითხა:—ბიჭიკო, გინდა სწავლა? ბავშმა სხარტათ მიუგო:—კი, მინდა, ბატონო,—ძალიან გულით გინდა?—ძალან, ბატონო,—აკაკიმ უკანასკნელი ფული, ორი აბაზი აჩუქა შემდეგი სიტყვებით: აი, გროში, იყიდე დედაენა და ჩემიდან დაიწყე სწავლაო. მე წერილი დამაწერინა და მევე გამგზავნა მასწავლებელ ყარამან ჩხეიძესთან. ჩხეიძემ წერილი წაიკითხა, შეწუხდა, დედაკაცს შენიშვნა მისცა: „რათ შეაწუხე“-ო. აკაკის შემოუთვალა ჩემი პირით: „ვეცდები თქვენი თხოვნა შევასრულოო“. ერთი კვირის შემდეგ სომხის დედაკაცი მოვიდა ხვიტორში, თან მოიტანა ძღვენი, მადლობა გადაუხადა აკაკის. დედაკაცმა მოუტანა კარგი მოზრდილი, ცოცხალი დედალი, ჩურჩხელები და სხვა... აკაკი შეწუხდა და მითხრა მე, მხოლოდ ჩურჩხელები აიღე შენთვის, დანარჩენი უკან წაიღოს, თვითონ მოიხმაროს, წიგნები უყიდოს პატარა ბიჭსაო.

სხვიტორში, როცა თავისუფალი ვიყავი შეუდგებოდით წერას. აკაკის ამ დროს დაწყებული ჰქონდა: „ბაში-აჩუკი“, „ბედია“ და „პატარა კახი“. ესენი აკაკის კარნახით ჩემი დაწერილია.. რაც საქართველოში ვერ მოვასწარით, რუსეთში განვაგრძეთ წერა. უნდა ითქვას, რომ აკაკის წერის პირობები არსად არა ჰქონდა კარგი. ერთად-ერთი სასტუმრო იყო, მაგრამ აქაც ან მნახველები არ ასვენებდენ ან რომელიმე ოჯახში სადილათ ეძახდნენ. რომ არ წასულიყო, არ იქნებოდა, რადგანაც მატერიალური მდგომარეობა ნებას არ აძლევდა სასტუმროში პური ეჭამა.

ღვინობისთვის გასულს თბილისში ჩამოვედით და შეუდექით სამზადისს რუსეთში წასასვლელად. აკაკიმ იყიდა კარგი ფარდაგი, აგრეთვე ორი პატარა ბოჭკებით თეთრი და წითელი ღვინო. მე მაყიდვინა ღომი, ბრონწეული და სხვა. ესენი ყველა საჩუქრად მიჰქონდა ცოლშვილთან. ყველას გამოემშვიდობა და ქრისტეშობისთვის გასულს საქართველოს სამხედრო გზით წავედით. კავკაზში ჩვენ მივედით ალექსი ჭიჭინაძის ოჯახში. ამ ოჯახში დიდი სიყვარულით მიიღეს აკაკი. ჩვენ დავრჩით ერთი დღე და ღამე. გულ-უხვმა მასპინძელმა კარგი პატივი გვცა. მეორე დღეს ავიღეთ სამგზავრო ბილეთები და გაუდექით გზას. მიუხედავად იმისა, რომ მე მესამე კლასის ბილეთი მქონდა, აკაკი არ მიშორებდა და ხშირად პირველი კლასის ვაგონში ვიყავი მასთან. მგზავრებში ყველაზე უფრო დაუახლოვდა ერთი პოლონელი ღენერალი და მასთან საუბრობდა მეტი წილი.

სამკურნალო წყლების სადგურზე რომ მივედით, მე ძირს ჩავედი და ბუფეტში შევედი. ერთი ნაცნობი ვნახე. მისალმების შემდეგ მე უთხარი, აკაკის მივყვები ხარკოვში თქვა. ამ კაცმა ხელად დაურბინა და ყველას გააგებინა, რომ აკაკი იმყოფება პირველი კლასის ვაგონშიო. ბუფეტში ყველა ქართველები იყვნენ და შეიქნა ერთი ჩოჩქოლი და სიხარული. ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა საყვარელი მგოსანი. თვით ბუფეტის პატრონი სამი კაცით შევიდა ვაგონში. ყველა სიყვარულით მიესალმა აკაკის და უსურვა მშვიდობით მგზავრობა. ის იყო ვაგონი უნდა დაძრულიყო. რომ ბუფეტის მსახურმა, კ. მეტრეველმა შემოიტანა ყვავილებით მორთული ხონჩა („ПОДНОС“-ი) სავსე სხვადასხვა სანოვაგეთი და შამპანიური და კახური ღვინოთი. ქართველები გარეთ ჯგუფათ იდგნენ. აკაკიმ ძლივს მოასწრო ფანჯარიდან სალამის მიცემა, რომ მატარებელი დაიძრა. აკაკიმ მოინდომა ფულის გადახდა. მსახური არ ღებულობს და აცხადებს: „მეორე სადგურამდი უნდა გიახლოთ“. ყველას უკვირს ეს ამბავი. განსაკუთრებით განცვიფრებულია პოლონელი ღენერალი. მეორე სადგურში მივედით. აკაკიმ მოისურვა მეტრეველის დასაჩუქრება, მაგრამ ის არ ღებულობს. აკაკიმ გადაკოცნა ბუფეტის მსახური და უთხრა: „გადაეცი ჩემი ღრმესი მადლობა, როგორც ბუფეტის პატრონს, ისე მთელ ქართველობას“-ო.

აკაკიმ მოიწვია ღენერალი და შეუდექით პურის ჭამას. ღენერალმა პირველი ჭიქით ადღეგრძელა მგოსანი, აგრეთვე საქართველო და ქართველი ერი. მახსოვს ღენერლის სიტყვები: „მე ვიცნობ საქართველოს და ქართველ ხალხს.. როგორც ქართველები ასეთი ხალხი ჩემს სიცოცხლეში მე არ შემხვედრია არსად და ასეთი ხალხი იცოცხლებს და არც მოკვდება არასოდესო, პატივცემულო მგოსანო, თქვენ ბედნიერი ხართ, რადგანაც დაგიმსახურებიათ თქვენი ერის სიყვარული“-ო.

ოცდა თერთმეტ დეკემბერს ჩავედით ხარკოვში, სადგურზე შეგვხვდა აკაკის ვაჟი ალექსი და ქართველი სტუდენტები.აკაკის მეუღლე თავისი დით, (ერისთავის მეუღლე) შვილებით. ყველანი ერთად ცხოვრობდენ სუმსკის ქუჩაზე, პროფესორ გირშმანის სახლებში.

აკაკის მისვლა ძლიერ გაეხარდათ. ნამეტნავად ერისთავის ბავშებს. მე რომ გავეცანი იმათ ცხოვრებას, თვალწინ წარმომიდგა ძველი, ფეოდალური ოჯახი, იმდენი ხალხი იყვნენ დაბუდებული იმათ ოჯახში, იკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი; რათი, რა საშუალებითო? იმ დროს აკაკი მეუღლეს და მის დას მამის ქონებიდან თითოეულს ეძლეოდა პენსია ოცდა ხუთი თუმანი თვეში. ალექსი აკაკის ძე ხარკოვის დრამატიული თეატრის გამგე, დირექტორი იყო.

პირველად რომ თეატრში წავედით, თეატრი სავსე იყო მაყურებლებით. ვიღაცამ სცენიდან განაცხადა „დღეს აქ თეატრში ბრძანდება ქართველების პუშკინი, თავადი აკაკი წერეთელი, მამა თეატრის დირექტორისაო და მიუთითა ლოჟაში“ საზოგადოებამ პატივი სცა აკაკის და აკაკიმაც მადლობა მოუხადა.

ხარკოვში მოდიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. გავიგეთ, რომ მწერალი ველიჩკო ჩამოვიდა საქართველოში. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ზეიმი გაუმართა ველიჩკოს. სიტყვა უთხრა ნინო ყიფიანმა. ქართველი ქალის სიტყვამ მოხიბლა ველიჩკო, რომელსაც მე წაუკითხე ეს შეხვედრა აკაკის მან ხელი ჩაიქნია და სთქვა: „ყველა ჩვენა გვხიბლავს, ყველა ჩვენ გვატყუებს—ეს კაცი საქართველოთ არ ჩამოსულა ჩვენშიო“. რამდენიმე ხნის შემდეგ ველიჩკო ჩამოვიდა ხარკოვში, აკაკი ინახულა. ალექსი აკაკის ძმე სადილათ მოიწვია. აქებდა საქართველოს და ქართველებს და აძაგებდა სომხებს... ველიჩკო რომ წავიდა, აკაკიმ კიდევ სთქვა: „მე ხომ ვსთქვი, არ არის კაი კაცი ველიჩკო. მაგას უნდა ჩვენდა სომხები გადაგვკიდოს ერთმანეთსაო“ გადაკიდებისა რა მოგახსენოთ... ველიჩკო რომ მთავრობის აგენტი იყო და ეროვნებათა შორის შუღლის ჩამომგდები,—ეს კი დამტკიცდა მისი მოქმედებით.

ერთხელ ჩვეულებრივ წერას შეუდექით. აკაკიმ მითხრა: კაცო, შენ ჩემს ნაწერებს წუნობ, ყველას აფურთხებ და რაღა გულით გაწერინოვო. მე გამიკვირდა, გაოცებული ყურება დაუწყე და მოვახსენე: ბატონო, მე როგორ შემიძლია თქვენი ნაწერების დაწუნება ან დაფურთხება, რათ შეგკადრებთ თქვა.მოვიდა და მაჩვენა ის ადგილი, სადაც სიტყვების ბოლოში, რომლებიც „ბ“ უნდა დასრულებულიყო მე სულ „ფ“ და „ფ“-ს ვწერდი. ამ შენიშვნის მერე აღარ მომსვლია შეცდომა.

აკაკის კარნახით მე ვწერდი კიტა აბაშიძის საპასუხო წერილს: „ალულუ“. ამ დროს შემოვიდა აკაკის მეუღლე მაგიდიდან წამართვა ნახევრათ დაწერილი ქაღალდი, დახია და გადაყარა. ფრანგულათ რაღაცა სთქვა და გავიდა მეორე ოთახში. მე ავღელდი, ჯავრი მომივიდა და აკაკი კი თავისებურათ იღიმებოდა. მომკიდა ხელი, სარკის წინ მიმიყვანა და მითხრა: „ჩაიხედე სარკეში—ჩაიხედე, რასა გევხართ. ჩემო, რაჭველო, შენშიაც მოვსტყუვდი—მე არ მომდის ჯავრი და შენ რა გაჯავრებსო“.

მე ვკითხე აკაკის, ფრანგულათ რა თქვა მეთქი. მიპასუხა: „ჩემთან წამოდი ოთახში და გამუსაიფებიო“.

მე უნებლიეთ წამოვისროლე ასეთი ფრაზა: „ესეც მეორე ქეთევანი“ მეთქი. აკაკიმ გადიხარხარა და მკითხა: ვინ ქეთევანი. სამშობლოს გმირი ქალი, სვიმონს რომ ეუბნება: „მე ქალი ვარ და სიყვარული მინდაო“. აკაკიმ ამაზე ბევრი იცინა. მე მითხრა: „ახლა შევისვენოთ და ხვალ განვაგრძოთ წერაო“. მეორე დღეს დავწერეთ ცნობილი კიტას საპასუხო წერილი,—რომელიც „კვალში“ იყო მოთავსებული.

სამ იანვარს ხარკოვის ქართველებმა ვახშამი გაუმართეს აკაკის. სანამ სუფრაზე დასხდებოდენ, სტუდენტებმა აკაკი შუაში ჩაისვეს, გარშემო შემოუსხდნენ და სხვადასხვა შეკითხვებით აღარ ასვენებდენ. ყველას პასუხს აძლევდა თავისებური ოხუნჯობით. ყველას უხაროდა აკაკისთან საუბარი. სხვათა შორის, აკაკიმა სთქვა: „თავად მეშჩერსკიმ თავის გაზეთში საქართველოს შესახებ ყალბი ინფორმაცია მოათავსაო. მე მივედი მასთან და მოგვიხდა ცხარე კამათიო“. სტუდენტმა ჭიჭინაძემ შენიშნა: „ძალიან გადარჩენილხარო“.—მე კი გადურჩი, მარა შენ რომ ყოფილიყავ ველარ გადურჩებოდიო—უპასუხა აკაკიმ. ამ პასუხზე ბევრი იცინეს ახალგაზრდებმა.

„ვახშამზე სამი ქართველი მანდილოსანი იყო. მრავალი სიტყვები წარმოითქვა. ერთმა მანდილოსანმა, ჯაფარიძისამ, მშვენიერი სიტყვა უთხრა აკაკის. ამ მხიარულებით და ზეიმით მეც გავთამამდი და სიტყვა და ლექსი უთხარი მასპინძელ ქართველობას. აკაკიმ მომაძახა: „შენ ყველას გვაჯობეო“.

აკაკიმ დაიპატიჟა რამდენიმე ახალგაზრდობა. მზარეულ ქალს შეუკვეთა ღომი და საცივის დამზადება, მაგრამ აკაკი მოულოდნელათ, ავათ გახდა, ხველებასთან სისხლიც ამოუვიდა გულიდან. ამან ყველა შეგვაშინა და დაგვაღონა. მოვიწვიეთ ექიმები. ექიმებმა გასინჯეს მგოსანი. აუკრძალეს მნახველები და ლაპარაკი. აკაკის ავათმყოფობამ საერთო მწუხარება ჩამოაგდო ოჯახში. ჩემს მწუხარებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. მე უვლიდი თავ-დადებით დღე და ღამე, რადგან არავის არ ვენდობოდი. აკაკიც მე არ მიშორებდა ერთი წუთით. ორი კვირა მძიმე ავად იყო, მერე მოიკეთა, მაგრამ ფეხზე მაინც ვერ დადგა. როცა კარგათ შეიქნა, შეუდექით წერას.

გიორგი წერეთელი ჩამოვიდა ხარკოვში და ინახულა აკაკი, მაგრამ სამწუხარო ამბავიც მოგვიტანა: გაბრიელ ეპისკოპოზი გარდაიცვალაო.

აკაკის მეუღლეს ჩვეულებათ ჰქონდა სამ ფინჯან ჩაის რომ დალევდა, სამიც დამაქრული ცივი წყლის მაგიერათ ჰქონდა. ერთხელ ჩვეულებრივათ თეატრში წავიდენ. ჩვენ, მოსამსახურეები, სახლში დავრჩით. მე ძილი ვარჩიე მოსამსახურეებთან ლაპარაკს, მით უფრო, რომ თეატრიდან მოსვლა უნდა გამეგო, რომ აკაკისათვის ტანთ და ფეხთ გამეხადნა. თეატრიდან რომ დაბრუნდენ, პირველთ იმ ოთახში შევიდნენ, სადაც ცივი ჩაი ეგულებოდათ. აკაკის მეუღლემ ფინჯანი აიღო ხელში და იმ წამსვე დადგა მაგიდაზე. ჩაის რაღაც შენგზნა თავზე. (საზოგადოთ გაცივებულმა ჩაიმ იცის თავზე წინწკლების მოდება). ქალმა დაიყვირა: „ჩაი მოწამლულიაო—აკაკი ეკითხება:—„ვინ მოსწამლავდაო“. ის უპასუხებს: „შენი ბიჭიო“.

აკაკის ძლიერ ეწყინა ასეთი პასუხი. შეიქნა ჟინჟღალი და ხმა-მაღლა ლაპარაკი, რუსულიდან ფრანგულზე გადავიდენ, მე კარიდორის, კარებთან ვიდექი და ყოველივე მეყურებოდა. დავრწმუნდი, რომ იერიში ჩემზე იყო მოტანილი. აკაკი ეფიცებოდა ჩემს პატიოსნებაზე, რომ მე საიმედო კაცი ვიყავი. გაანჩხლებულს და ეჭვიანს ქალს ვერაფერი არწმუნებდა. მეორე დღეს მოსამსახურე ქალს ჩაი გადაეღვარა... აკაკის მეუღლეს სდომებოდა ჩაის ლაბორატორიაში გაეგზავნა. ჩაის გადაქცევამ უფრო გაართულა საქმე და ქალი მეორე დღესაც არ ისვენებდა.

მე ველარ ავიტანე ასეთი დამცირება და ბრალდება და გიჟივით ქუჩაში გავარდი. მთელი დღე სამკითხველოში ვიყავი. აკაკი მეტათ შეწუხებულიყო ჩემს გამო. საძებრათ გამოეგზავნა მსახურები. მე მოვერიდე მეტ ბრალდებას, თორემ საქართველოში წამოვიდოდი.

საღამო ჟამს მოვედი სახლში. აკაკიმ მომცა შესაფერი დარიგება და მანუგეშა მითი, რომ: „მალე წავალთ აქედანაო“.

მარტის პირველ რიცხვებში მე გავხდი ძლიერ ავად. შემეშინდა იქ სიკვდილისა დ ვთხოვე აკაკის გამოვეგზავნე კავკავამდი, რადგანაც იქ მეგულებოდა მახლობელი ნათესავი. შემეშინდა მისთვის, რომ საბრალო დედა ჩემს თორმეტ შვილში ორიღა ვყავდით ცოცხალი. აკაკიმ ჩემი თხოვნა არ შეასრულა, მიტომ, რომ მძიმე ავად ვიყავი და ჩემი მგზავრობა არ შეიძლებოდა. მარტის ბოლო რიცხვებში ქუთაისური ებრაელები მოდიოდენ და, რადგანაც უკეთ შევიქენი ამათ ჩააბარა ჩემი თავი და გამომგზავნა საქართველოში.

მადლიანმა ებრაელებმა ისე მომიარეს, რომ გზაში არაფერი გაჭირვება მიგრძნია, ნოვოროსიისკიდან დეპეშით აცნობეს აკაკის ჩემი უკეთ ყოფნა. ქუთაისში ბიძაშვილებთან ვიწექი, სადაც დედაც ჩამოვიდა. აკაკის წერილი მივწერე და ვთხოვდი, რომ უფრო საიმედო ოთახში მოთავსებულიყო, რადგანაც მის საწოლ ოთახს დასაკეტი კარი არა ჰქონდა. ყველა ამის შემდეგ აკაკიც მალე დაბრუნდა სამშობლოში.

მე ჩემი წამოსვლით დიდ დანაშაულს ვგრძნობ. იქვე რომ მომკვდარიყავ სჯობდა, თავი კი არ უნდა დამენებებია აკაკისათვის. მაგრამ ჩვენში ვიტყვით ხოლმე: „სული ტკბილიაო“ და ჩემზედაც გამართლდა ეს თქმულება. უნდა მოგახსენოთ, რომ სტამბოლში წასვლის მაგიერათ, ორივემ უსიამოვნება ვიგემეთ ხარკოვში.

მე და აკაკი ხშირათ ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის ბედზე... წარსულში ქართველებს ქებით იხსენიებდა, აწმყოთი არ იყო კმაყოფილი და მომავალს იმედით შეჰყურებდა. მოწიწებით იხსენიებდა დიმიტრი ყიფიანს ქებას ასხამდა მოხუცის გამბედაობას და თავის დადებას... იტყოდა — ხოლმე: ყოველ ათ წელიწადში თითო ასეთი მსხვერპლი უნდა შეიწიროს სამშობლოს და ხალხის საკეთილდღეოთაო“ აგრეთვე ქებით ამკობდა ახალ თაობას ეგრედ წოდებულ „მესამე დასს“.

ერთხელ გავბედე და მოვახსენე: ბატონო, თქვენ სოციალისტი არა ბრძანდებით და სოციალისტები კი მოგწონს მეთქი—მიპასუხა: „ჩემო რაჭველო, ჯერ შენ არ იცი ამ ჩვენი დროის ამოცანები—მე მომწონს მაგათი გულწრფელი მოღვაწეობა, გამბედაობა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა... ეგენი ნიკოლოზის მთავრობას ძირს უთხრიან და, თუ ოდესმე დაემხო მეფის ტახტი, მაშინ იმედს ვისახავ ჩვენი ქვეყნის ხსნისა და აყვავებისაო“.

აკაკი აგრეთვე ქებით იხსენიებდა გოგებაშვილს და ილია ჭავჭავაძეს. იტყოდა: „ესენი ბურჯნი არიან ჩვენი ქვეყნისაო“.

1902 წელს, მე ჩავარდი ოჯახურ გაჭირვებაში, მით უფრო, რომ ერთის მხრით „ხაზეინები“ აღარა მღებულობდენ სამსახურში (უფრო კი სასტუმროებში) და მეორეს მხრით, მთავრობა მდევნიდა, როგორც მოსამსახურეებში „ბუნტოვჩიკს“. ამ გაჭირვების დროს მგოსანმა დახმარების ხელი გამომიწოდა. ის დამეხმარა როგორც სულიერათ, ისე მატერიალურად. მიუხედავათ იმისა, რომ თვითონაც ხელმოკლეობას განიცდიდა. ორი წლის უსაქმოთ ხეტიალის დროს ხშირათ ვიყავი მგოსანთან.

ცხრაასი წლის „ივერია“-ში, „ახალმოსულის“ საპასუხო წერილის გამო აკაკიმ მისაყვედურა: შენ თავხედური პასუხი გაეცი ილია ჭავჭავაძესაო.—მე მოვახსენე: — ბატონო, ილია ჭავჭავაძე და მისი გაზეთი უდიერათ მოეპყრა მშრომელ ხალხს: ჩემს გამო მოხდა მთელი ალიაქოთი და ხალხისა და ჩემი დამცირება ველარ ავიტანეთქო.—კი, მარა ყველას ხელ წამოსაკრავი არ არის ილია ჭავჭავაძე. ის ჩვენს ცხოვრებაში სულ სხვა კაციაო“.

ცხრაას ოთხში ჩემი პატარა პოემა წიგნაკი „გამწარებული მოხუცი“ მიუტანე აკაკის. მე იქვე ვიყავი, რომ გადაიკითხა. შევატყვე, რომ მოეწონა. მე მაინც მითხრა:

— „ჩვენ უნდა ვეცადოთ გზა და ხიდი გავხსნათ წოდებათა შორის„—შენი წიგნაკი კი მძულვარებას გამოიწვევსო. მე მოვახსენე:—ჩვენ გვინდა სარკეში ჩავახედოთ თავად-აზნაურები და დავანახოთ თავისი წარსული მოქმედებანი, რომ მომავალში აღარ გაბედონ და მოიწანიონ მეთქი. აკაკიმ გაიღიმა და სთქვა:—„ვაი თავად-აზნაურების ბრალიო“.

გამოვემშვიდობე საყვარელ მგოსანს და იმავე საღამოს რუსეთში გარდავიხვეწე, რადგანაც დაჭერა მომელოდა. ამის შემდეგ მგოსანი აღარ მინახავს, რადგან უცხო მხარეში ვიყავი, მხოლოთ გარდაცვალების გამო დეპეშა მივიღე რაჭიდან: „სხვებთან შენც არჩეული ხარ სამაზრო კრებისაგან დელეგატათ აკაკის დასაფლავებაზედაო“. მე ჩამოვედი ბაქოდან და უკანასკნელათ ვეამბორე საყვარელ მგოსანს.

უნდა მოგახსენოთ, რომ აკაკი კეთილი ადამიანი და ნამდვილი მოქალაქე იყო. არ ვიცი ამის შემდეგ ე. ვაშაკიძე, რატომ სწერდა 1887 წელს „ივერია“-ში: აკაკის მოქალაქეობაზე.

ვასილ კირვალიძე.

1926 წ.

---

*) ვბეჭდავთ ვ. კირვალიძის მოგონებებს აკაკი წერეთლის შესახებ, როგორც საყურადღებო მასალას მგოსნის ცხოვრების და პიროვნების დასახასიათებლად.

ბიბლიოგრაფია

Революция 1905 г. в Закавказьи. Хроника событий, документы и материалы

1905 წლის რევოლუციას საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილი უჭირავს. მასში მთავარ ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ პროლეტარიატი და წვრილი ბურჟუაზია—სოფლის გლეხობისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის სახით. სწორედ აქ ისახება თავისებური შენება 1905 წლის რევოლუციისა. მეორეს მხრით ეს რევოლუცია გადაიქცა პრელიუდიად უფრო დიდი სოციალისტური რევოლუციისათვის 1905 წლის რევოლუციაში მშრომელმა მასებმა გენერალური რეპეტიცია მოახდინეს, რომ უფრო დარაზმულად და მომზადებულად გამოსულიყვნენ ოქტომბრის დიდ რევოლუციონურ მოძრაობაში. მესამე მხრივ ამავე რევოლუციამ უდიდესი მნიშვნელობა იქონია აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციონურად გამოღვიძების საქმეზე. 1905 წლის შემდეგ და მისი დიდი გავლენის ქვეშ მოხდა მთელი რიგი რევოლუციონური მოძრაობათა აზიის კონტინენტზე, რაც გარკვეულ ნაციონალურ რევოლუციონურის ფორმებში ჩამოყალიბდა და რასაც ამ ჟამად დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სოციალისტური მოძრაობისათვის.

თუ ჩვენი ხალხის ისტორიული ვითარების საზომით განვიხილავთ 1905 წლის რევოლუციას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რევოლუციონურს მოძრაობაში ერთი მეორეს შეეულლა ორი სოციალური კლასის ინტერესები: ახლად აღმოცენებულ მუშათა კლასისა და უმიწაწყლო-გალატაკებულ გლეხობისა. უკანასკნელმა თავის რევოლუციონური ენერგია ჯერ კიდევ ბატონ-ყმურ ურთიერთობის პირობებში გამოამჟღავნა. მთელ რიგ რევოლუციონურ გამოსვლებით ბატონ-ყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ. რაც შეეხება საქართველოს მუშათა კლასს, რომელიც როგორც კლასი მე-19 საუკ. მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ს. დემოკრატიის მეთაურობით უკვე მე-20-ე საუკ. პირველ წლებიდანვე მოექცა სათავეში რევოლუციონურ მოძრაობას. აი, ამ ორ ძირითად ნაკადულიდან წარმოსდგა 1905 წლის რევოლუცია ჩვენში, რომელზედაც უდიდესი გავლენა იქონია რუსეთის მოძრაობამ და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვან რგოლსაც იგი წარმოადგენდა.

სამწუხაროდ ჩვენი რევოლუციის შესწავლის საქმე ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. რუსეთში უამრავი შრომები გამოვიდა რევოლუციის შესახებ. დაიბეჭდა დიდძალი დოკუმენტები და საარქივო მასალები: სხვადასხვა კომისიებისა და მრავალი პირების შეთანხმებულმა მუშაობამ თითქმის გააშუქა რევოლუციის მიმდინარეობა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენში რევოლუციის შესწავლის საქმე სავსებით მივიწყებული იყოს და მის გარშემო შრომას არ ჰქონდეს ადგილი. აქ აღსანიშნავია პირველ ყოვლისა ამხ. ფ. მახარაძის სიგრძელი ნარკვევი (1905 წლის რევოლუცია ამიერ-კავკასიაში). გარდა ამისა უნდა მოვიხსენიოთ ჟურნალ „რევოლუციის მატიანე“-ში გამოქვეყნებული დოკუმენტები და წერილები. სხვადასხვა ავტორთა მოგონებები და წიგნაკები (თ. ჟღენტის, ბ. ბიბინეიშვილის, თ. კალანდაძის, ს. თალაკვაძისა და სხვა). აუცილებლად დიდათ უწყობს ხელს 1905 წლის რევოლუციის შესწავლის საქმეს ჩვენში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის ისეთი დიდი მოძრაობის გასაცნობად და შესასწავლად, როგორიც არის 1905 წლის მოძრაობა. უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტები და მხარეები არ არის სათანადოდ გაშუქებული; არ არის სათანადოდ და დეტალურად გამოკვლეული კერძოდ საქართველოსა და საერთოთ ამიერ-კავკასიის ეკონომიური მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში. ამ დიდი დეფექტების ამოვსება შესაძლებელი არის მხოლოდ კოლექტიური მუშაობის საშუალებით.

საქ. ისპარტის მიერ გამოცემული დოკუმენტები მხოლოდ ნაწილობრივ უწყობს ხელს საკითხის შესწავლას. აქ უმთავრესად გამოქვეყნებული არის საქართველოს რევოლუციონური მუზეუმის მასალების მიხედვით, მოვლენათა ქრონიკული აღნუსხვა, რამდენადაც ეს გამომჟღავნებული იყო ადგილობრივ ხელისუფლების ბრძანებებში, ოფიციალურ და არა ოფიციალურ და რევოლუციონურ პრესაში, ჟანდარმთა და სამხედრო შტაბის საარქივო მასალებში. ვფიქრობთ ამ მასალების გამოცემა საკმაო დახმარებას გაუწევს, როგორც ამ ეპოქის მკვლევარს, ისე მკითხველ საზოგადოებასაც. ის რაც გაფანტული არის სხვადასხვა საარქივო მასალებში, აქ ერთად არის თავმოყრილი და ამით ზედმეტი ენერგიის დახარჯვა არ დასჭირდება ძიებისათვის მკითხველს და მკვლევარს.

გამოცემის მხრით ორი შენიშვნა გვინდა მივცეთ შემდგენელთ: 1) როგორც აღვნიშნეთ წიგნი უმთავრესად ეხება მოვლენათა ფაქტების მშრალ ქრონიკას, ამოღებულს სხვადასხვა საარქივო მასალებიდან. აქ მკითხველის წინაშე კინომატოგრაფიის ლენტივით იცვლება ფაქტები და მოვლენები სრულიად განუმარტავად და აუხსნელად. ასეთ შემთხვევაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა 1905 წლის მოკლე ისტორიული მიმოხილვის წამძღვარება დოკუმენტების წინ, რაც მკითხველს გაუადვილებდა ფაქტების გაგების საქმეს და რაც თავის მხრით ერთგვარი ჯამი, დასკვნა იქნებოდა წიგნში მოყვანილ ცნობებისა. სამწუხაროდ წიგნში ეს არ არის მოთავსებული. 2) რატომ დამატების სახით არის გამოქვეყნებული 147 გვერდ. მოთავსებული ცნობები და არა ცალკე განყოფილების სახით. ეს უფრო გამოცემის ტეხნიკურ მხარეს შეეხება. ჩვენ ვფიქრობთ, ისპარტი დიდ სამსახურს გაუწევს ქართველ მკითხველს, თუ ცალკე წიგნად გამოსცემს 1905 წლის სხვა ისტორიულ დოკუმენტებსაც. ჩვენ ვგულისხმობთ: ეკონომიური ხასიათის წერილებს, სხვადასხვა პარტიების მასალებს პრესის მიმოხილვებს, მეფის ნაცვლის მოხსენებებს, ჟანდარმერიისა და სამხედრო შტაბის მასალებს, სხვადასხვა მოგონებებს.

ასეთი თართო შინაარსის დოკუმენტების გამოქვეყნებას დიდი მნიშვნელობა ექნება.

ზემოდ დასახელებული შრომა ტეხნიკურის მხრით დამაკმაყოფილებლად არის გამოცემული. მასალები დალაგებული არის თვეების მიხედვით, რაც შესაძლებლობას იძლევა მოვლენათა თანათანა განვითარების წარმოდგენის. რასაკვირველია, ასეთი შრომის შედგენა ერთობ დიდი ენერგია ხარჯს მოითხოვს და სწორედ მადლობის ღირსი არის ისპარტი რომ იგი გამოაქვეყნა. საჭიროა წიგნი ქართულ ენაზეც გამოიცეს.

მო.—ლი.

წიგნის მატიანე

წიგნის მატიანე № 1 1917—1925 წ. წ. ქართული ნაწილი. გვ. 508.

საქართველოს წიგნის პალატამ ერთი საუკეთესო შრომა შეგვძინა. ამ შრომის სათაურის ზემოდ არის ამოწერილი. „წიგნის მატიანეს“ მიზნად აქვს დასახული 1917—25 წლებში ქართულ ენაზე გამოცემულ ბეჭდვით ნაწარმოების რეგისტრაცია. ეს უდიდეს კულტურულ საქმედ უნდა ჩაითვალოს. ქართული წიგნის და საერთოთ გამოცემათა გამრავლება მაჩვენებელი არის კულტურული ზრდისა და წარმატების. ბიბლიოგრაფიული კრებულის გამოცემას, რომელშიაც აღნიშნული იქნება განსაზღვრული პერიოდში ბეჭდვითი ნაწარმოების სრული სურათი, აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ მხრივ. ევროპის ქვეყნებში ასეთი ბიბლიოგრაფიულ კრებულების გამოცემა და საერთოთ ბეჭდვითი სიტყვის რეგისტრაცია კულტურული მუშაობის ერთ-ერთ აუცილებელ და სავალდებულო დარგს წარმოადგენს. ასევე არის რუსეთშიაც. ხოლო ჩვენში ამ საქმეს ამ ბოლო ხანებში მიექცა ყურადღება საქართველოს წიგნის პალატას დაარსებით.

მაგრამ საკმარისი არ არის მარტო პალატის დაარსება, აუცილებელი არის, რომ ყოველგვარი ბეჭდვითი ნაწარმოები წარდგენილი იქნეს წიგნის პალატაში დ ხდებოდეს მათი სისტემატიური რეგისტრაცია. ამ მხრივ ჩვენში პირობები ვერ არის სასურველი.

ვუკ. ბერიძე წინასიტყვაობაში გადმოგვცემს: „სამწუხაროთ უნდა ვაღიაროთ, რომ მდგომარეობა ვერ არის მაინც და მაინც სასურველი. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის პალატა უკვე არსებობს, დეკრეტიც სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ დიდი ხანია გამოცემულია, მის განსამარტებლად და დამატებად არა ერთი დადგენილება და ინსტრუქციაა შემუშავებული,—არ იქნა და ვერ მოხერხდა, რომ თბილისის სტამბებმა მაინც მოგვაწოდონ სისტემატიურად ბეჭდვითი ნაწარმოებთა სავალდებულო ცალები“.

უფრო უარესი მდგომარეობაა პროვინციებში.

რით უნდა ავხსნათ ასეთი უყურადღებობა? რასაკვირველია, ჩვენი უკულტურობით. აღნიშნულ დაწესებულებებსა და მათ მეთაურებს არ ესმით თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის საქმისთვის წიგნის რეგისტრაციასა და ბიბლიოგრაფიას. ისინი კმაყოფილდებიან მით, რომ წიგნი გამოდის ბაზარზე, ხოლო სრულიად არ არიან დაინტერესებულნი მოხდეს მათი რეგისტრაცია და სათანადო განაწილება საზოგადო ბიბლიოთეკებსა და სამეურნეო დაწესებულებებში. ვფიქრობთ, „წიგნის მატიანეს“ გამოცემის ფაქტით დაინახავენ სათანადო ორგანოები და ავტორებიც, თუ როგორი დიდი საქმე არის წიგნის რეგისტრაცია და სისტემატიურად მიაწვდიან წიგნს პალატას თავიანთ გამოცემათა ეკზემპლიარებს.

წიგნის მატიანეს პირველ ნაწილში მოთავსებული არის სია ყველა იმ ნაწარმოებთა, რომელიც გამოიცა 1917—1925 წლების განმავლობაში ქართულ ენაზე და რომელთა შესახებ ცნობების მოკრეფა შესძლო წიგნის პალატამ. ყოველი წელი ცალ-ცალკე არის აღნიშნული და დაყოფილი არის სხვადასხვა განყოფილებებად, რაც უადვილებს დაინტერესებულ პირს წიგნის მოძებნას. წიგნის ბოლოზე მოთავსებული არის ან-ბანზე დაწყობილი ავტორთა საძიებელი და სისტემატიური საძიებელი გაწყობილი ბრიუსელს საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის ათ წილად სისტემის მიხედვით.

საინტერესო არის ქართული წიგნის პროდუქციის შედარება ომის წინა დროის, მენშევიკების ბატონობისა, და ჩვენი დროის მიხედვით. 1910 წელში გამოცემული ყოფილა სხვადასხვა შინაარსის წიგნები—109 სახელწოდების; 1920 წელს 266; 1925 კი—650. სამართლიანად სწერს მაკს. ბერძნიშვილი: ქართული წიგნის დინამიკა ყველას არწმუნებს, რომ ჩვენი კულტურა შეუფერხებლივ მიეშურება წარმატებისა და აღორძინების გზით. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში კი ქართული წიგნისა და კულტურის საქმე უაღრესად განვითარდა შედარებით წინა ათეულ წლებთან. მაგრამ ის, რაც დღემდე გაკეთდა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმისა, რაც უნდა გაკეთდეს მომავალში წიგნის ფრონტზე.

წიგნის პალატას კი თავის მხრივ დიდი მოვალეობა აწევს კისერზე. მან ბოლომდე უნდა მიიყვანოს დაწყებული საქმე და ქართველ ხალხს უნდა მიუძღვნას სრული ბიბლიოგრაფიული კრებული საქართველოში გამოცემულ ყველა წიგნებისა და ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა. ასეთი ბიბლიოგრაფიული კრებული დიდ დახმარებას გაგვიწევს.

მაგრამ ერთი რამ უნდა დაიმახსოვროს ქართული წიგნის პალატამ: არ შეიძლება და მიუღებელი არის აკადემიური შრომა ამდენი კორექტორული შეცდომებით გამოდიოდეს. ექვსი გვერდი კორექტორული შეცდომა აკადემიურად გამოცემულ შრომაში ყოვლად მიუტევებელი დანაშაულია. წიგნის პალატამ მაგალითი უნდა უჩვენოს სხვა გამომცემლებს წიგნის გამოცემის საქმეში, აქ კი წინააღმდეგს ვხედავთ. ეს დაუშვებელია.

საჭიროა წიგნს დართული ჰქონდეს შინაარსის სარჩევი. სხვა მხრივ წიგნი სუფთაა გამოცემული.

მოსული.

მშრომელი ქალი

„მშრომელი ქალი“, ს. კ. პ. ც. კ. არსებული ქალთა განყოფილების ყოველთვიური საპოლიტიკო-სალიტერატურო ჟურნალი, № 1, ივლისი, 1926 წ.

ჟურნალ „მშრომელი ქალი“-ს პირველ ნომერს ეტყობა გამოცდილი ხელი. მასალები კარგადაა შერჩეული. მუშა და გლეხი ქალები მრავალ საგულისხმო წერილებს იპოვიან მასში. წერილები ძლიერ მოკლეა, დაწერილია მდაბიო, მკითხველთათვის გასაგები ენით. ეს უნდა ჩაითვალოს ჟურნალის ერთ-ერთ ღირსებად.

ჟურნალში არის სხვათა შორის ლიტერატურული განყოფილება და სახუმარო სტრიქონები. პირველ განყოფილებაში არის სამი მოთხრობა: „ახალი სიო“, ს. ე—ს, „ურჩი შვილი“, ს. ჩხენკელისა და „რა მისცა ვებრუას პირველმა მაისმა?“, ნინოსი.

პირველი მოთხრობა დამაკმაყოფილებელია შინაარსის მხრივ, მაგრამ ის ასეთ ჟურნალისათვის უხეშელი ენითაა დაწერილი.

შვენიერია ს. ჩხენკელის მოთხრობა, „ურჩი შვილი“. ავტორს აქვს ნიჭი და უნარი წერის, აქვს ინტუიცია ჩვენი ყოფის წვრიმალების დანახვის. ყურადღებას იპყრობს მესამე მოთხრობაც, მაგრამ თემა უკვე დაგვიანებულია. ავტორს ეტყობა ნიჭი.

სუსტია იუმორისტული სტრიქონები, საჭიროა მისი გაფართოება, რითაც უფრო დაინტერესდებიან ჩვენი მკითხველი ქალები. ჩვენის აზრით ძლიერ ცოტაა კორესპონდენციები ადგილებიდან. რედაქციამ უნდა შესძლოს კორესპონდენტთა ქსელის გაფართოება. საჭიროა რაც შეიძლება მეტი წერილები ორგანიზაციების ცხოვრებიდან. ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. ჟურნალში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს იურიდიული განყოფილება, რომელიც რჩევა-დარიგებას მისცემს ჩვენს მშრომელ ქალებს, თუ რის უფლებებს ანიჭებს მას საბჭოთა ხელისუფლება.

ჟურნალში ერთი მეტად თვალსაჩინო განყოფილებაა,—ეს არის ბავშთა და დედათა დაცვის განყოფილება. მომავალში საჭიროა უფრო გაფართოვდეს ის.

ჟურნალს აქვს მშვენივრად შესრულებული ყდა, რომელიც ეკუთვნის მხატვ. დ. ქუთათელაძეს. კორექტურა იშვიათი სიწმინდითაა დაცული. ჟურნალი ლამაზად და სუფთად არის გამოცემული, დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე და ღირს 15 კაპ., რაც არც ისე დიდი ფასია ასეთ გამოცემისათვის.

გაიდე.—

სახ ლხო მამულები

აფხაზეთის სახალხო მამულების ტრესტი

აფხაზეთის სახლხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად ეწყობა აფხაზეთის სახალხო მამულების ტრესტი. ტრესტის აპარატი გააერთიანებს 5 სახალხო მამულს და 17 იჯარით გაცემულ ერთეულს. სულ ტრესტში თავმოყრილი იქნება 1.320 დესეტინა მიწა. აქედან სახნავ-სათესი მიწის სივრცე შეადგენს 365 დესეტინას, ხილის ბაღები—232 დესეტინა, ვენახები—17 დესეტინა, ბოსტნები—12,5 დესეტინა, სათიბები—88 დესეტინა, მანდარინის ბაღები—3.5 დესეტინა, თამბაქოს პლანტაციები—5 დესეტინა და სხვა სასარგებლო მამულები—600 დესეტინა. ამჟამად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აწარმოებს მუშაობას სახალხო მამულების ტრესტისთვის გადასაცემად.

ცემენტის წარმოება

ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს ლაბორატორიაში ქიმიკოს ბარნაბიშვილის მიერ გამოკვლეულ იქნა კავთის-ხევიდან ჩამოტანილი ცემენტის დამამზადებელი ნედლი მასალის ნიმუშები.

ანალიზით გამოირკვა, რომ კავთისხევის თიხა შეიცავს 0,70% მაგნიუმის ჟანგს, მაშინ როდესაც არ უნდა აღემატებოდეს 2,80%-ს გოგირდის ანგიდრიდს შეიცავს 0,6 $^{1}/_{10}$ პროცენტს. ყოველივე ეს მეტად დიდ ღირსებას აძლევს ჩამოტანილ ნედლ მასალას.

ამგვარად, კავთის-ხევში მოიპოვება საუკეთესო ნედლი მასალა პორტლანდ (პირველი ხარისხის) ცემენტის დასამზადებლად.

სასამართლო

სიმონ დუმბაძის საქმე უზენაეს სასამართლოში

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ბრალდებულ სიმონ დუმბაძეს მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დუმბაძეს ბრალდებოდა 347 მანეთის მითვისება და გაფლანგვა დუშეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეთ ყოფნის დროს.

ბრალდებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

საქმე გაირჩევა 3 აგვისტოს.

გ. ჭილაძის საქმე

მეოთხე სხდომაზე დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები.

მოწმე ასათიანს წარმოუდგენლად მიაჩნია ბრალდებულის ასეთი საქციელი და დასძინა ის გარემოება, რომ თითქოს ბრალდებული ჭილაძე იყოს ზნედაცემული ადამიანი—სინამდვილეს არ შეეფერება.

ახასიათებს რა ბრალდებულის ცოლის და უფროსი ქალიშვილის ვალიას ცხოვრების ზოგიერთ მხარეებს, იძლევა სრულ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ სძულდა ვერა ჭილაძისას მისი ქმარი და როგორი ცუდი განწყობილება არსებობდა ცოლ-ქმარს შორის.

მოწმე ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა ხრიკების წყალობით ყოველივე ეს განზრახ შეთხზულია.

მოწმე გაბუნია იძლევა ასათიანის მსგავს ჩვენებას.

მოწმეს კარგად ახსოვს ის გარემოება, როდესაც ბრალდებულის ცოლმა ვერამ უთხრა მას: „მართალია, გამომძიებელს უჩვენე, რომ ბრალდებულმა ჭილაძემ გარყვნა თავისი 8 წლის ქალიშვილი, მაგრამ ასეთი ჩვენება გამომძიებელს სხვისი კარნახით მივეციო“.

იურიდიული დახმარება

ბინის გადაცვლის შესახებ

კითხვა

მე მიჭირავს ერთი ოთახი ბათუმის შესახვევში № 4 ვაოთ ექვსი სული მაცხოვრებელი. მე მინდა გავუცვალო იგივე მოსამსახურეს რომელსაც უჭირავს ორი ოთახი ისინი არიან ორნი. სახლის პატრონი კი უარს მეუბნება.

გთხოვთ მიპასუხოთ, შემიძლიან თუ არა სახლის პატრონის ნებადაურთველად გავცვალო ბინა.

მ. პეტრიაშვილი—ჯაჯახიშვილი.

პასუხი

ბინების გაცვლა სახლის პატრონთან შეუთანხმებლად არ დაიშვება.

რომელ ჩვენთაგანთან უნდა დარჩეს ბავში

კითხვა

მე დავქორწინდი 1922 წელს. განვქორწინდი ქალის საქციელ ზნე-ჩვეულებისათვის 1925 წელს. ჩვენი განქორწინება მოხდა სასამართლოს წესით, სადაც მას დაუმტკიცდა ჩემ მიერ წაყენებული ბრალდება, რის შემდეგ სასამართლომ კანონიერად სცნო ჩვენი განქორწინება.

გავიდა დრო და ახლა ქალი თხოულობს შვილს, (ჩვენი ქალიშვილი მესამე წელშია) რაზედაც მე უარს ვეუბნები, ვინაიდან ჩემი ყოფილი ცოლი არის სხვადასხვა სენით შეპყრობილი მეშინია, რომ შვილს ისე ველარ მოუაროს, როგორც წესი და რიგია.

გთხოვთ მომცეთ პასუხი შემიძლია თუ არა არ მივსცე ბავში განქორწინებულ ქალს (დედას).

იონა ჟღენტი.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 121, როდესაც მშობლები (ცოლქმარი) არ ცხოვრობენ ერთად (ფაქტიურად, თუ განქორწინებით), მაშინ მათ თანხმობაზეა დამოკიდებული თუ რომელ მათთაგან (ამ შემთხვევაში თქვენთაგან) უნდა იცხოვრონ მცირე წლოვანმა ბავშვებმა. თუ კი ამის შესახებ მათ შორის (ამ შემთხვევაში თქვენშორის) შეთანხმება არ მოხდა, მაშინ სადავო საკითხს სწყვეტს სახალხო სასამართლო მშობლების მატერიალურ და ზნეობრივ მდგომარეობასთან შეფარდებით.

პირად თქვენ გირჩევთ, მიმართოთ სახალხო სასამართლოს სათანადო განცხადებით თქვენი ბინადრობის მიხედვით.

ეკუთვნის თუ არა შრომის ხელფასი და გასასვლელი ჯილდო?

კითხვა

დასავ. საქ. ოლქის სასამართლოს მიერ დანიშნულ ვიყავი დ. ბანძაში სახალხო გამომძიებლის თანამდებობაზე და ჯამაგირს ვიღებდი სენაკის სამაზრო აღმასკომიდან. ა.-წ. 9 ივლისს გაუფრთხილებლად, სენაკის სამაზრო აღმასკომი ძატყობინებს, რომ ბანძის საგამომძიებლო უბანი ა.-წ. 15 ივნისიდან—მათი დადგენილებით ადგილობრივ ბიუჯეტიდან მოხსნილია, ხოლო სახკომსაბჭოს მიერ სრულიად გაუქმებულია.

გადავაბარე რა საგამომძიებლო უბანი სხვა გამომძიებელს, გამოვცხადდი სენაკის სამაზრო აღმასკომში 15 ივნისიდან—16 ივლისამდე მუშაობისათვის კუთვნილი ჯამაგირის მისაღებათ, მაგრამ ასეთზე უარი ვამომიცხადეს ვინაიდან მათ მათ ბიუჯეტზე აღარ ვირიცხებოდი. გთხოვთ მიპასუხოთ ვისგან უნდა დავკმაყოფილდე ამ ერთი თვის ჯამაგირის მიღებით, ან თუ მერგება გაუფრთხილებლობისათვის ფული და რამდენი?

დანიელ ფოფხაძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის შენიშვნა მესამისა, შტატის შემცირებაში მოსაყოლელი მუშა-მოსამსახურე ადმინისტრაციის მიერ უნდა იქნეს გაფრთხილებული წინდაწინ ორი კვირით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია მისცეს დათხოვნილს გასასვლელი დახმარება მისი თვიური ხელფასის ნახევარი რაოდენობით (იხ. იქვე მუხ. 88).

ფაქტიურად (გაფრთხილებამდე ე. ი. 15 ივლისამდე) ნამუშევრის ჯილდოც უნდა მოგეცეთ თქვენ იმ დაწესებულებიდან, რომელთანაც თქვენ მუშაობდით დაქირავებით. თქვენთვის უნდა გამოეცხადებიათ შტატის გაუქმების დღიდან ამის შესახებ და ანგარიშიც დროზე გაესწორებიათ. თუ კი ფქვენ აღმასკომმა ნებსით, თუ უნებლიეთ გამუშავათ ერთი თვე, იგი ვალდებულია ამის ხელფასიც მოგცეთ სრულად. აღმასკომს არ შეუძლია თავისი მართლება ფულის უქონლობით, ბიუჯეტში თქვენი ხელფასის შეუტანლობით. თქვენ აქ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვით. მიუძღვის დანაშაული თვით აღმასკომს და იგი ვალდებულია კიდეც წყაროც გამონახოს თქვენი ხელფასით დასაკმაყოფილებლად აღნიშნულ დროის განმავლობაში.

წიგნ. განყოფილება

დადგენილება

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში. 1926 წ. ივლისის 14

წიგნებსა და ბროშიურებზე საგასავალო ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ა. წ. ივლისის 13-ს დადგენილებისა № 35/90—ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს, რომ გასასყიდათ გამოშვებული წიგნისა და ბროშიურის თვითეული ცალის კანზე აუცილებლად უნდა იყოს დაბეჭდილი საგასავალო საცალო ფასი.

შენიშვნა: 1925 წლამდე გამოშვებულ გამოცემაზე, რომლის კანზეც ფასი დაბეჭდილი არ არის, იგი აღნიშნულ უნდა იქნეს სათანადო ქვითარის დასმით, ან ფასის დაწესებით.

2. დაწესებულ იქნეს ყველა გამომცემლობათა და წიგნებით მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის წიგნებისა და ბროშიურების გაცემის დროს, წიგნით მოვაჭრე საოლქო ორგანიზაციებისათვის ნაციონალურ სახელმწიფო გამომცემლობისათვის, „ა.-კ. წიგნისათვის“ („ზაკკნიგა“) სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობისათვის, სოც. საბ. რესპ. კავშირის ბეჭდვითი სიტყ. საკონტრ. აგენტოსათვის და „ბაკინსკი რაბოჩი“-სათვის მონაკლების შემდეგი, სავალდებულო ნორმები ყველა იმ გამოცემათა კანზე აღნიშნულ საგასავალო ფასის მიმართ (ამა დადგენილების მუხ. 1) რაც გამოშვებულ იქნა 1925 წლის იანვრის 1-დან.

ა) საგლეხო ლიტერატურის ფასის მიმართ 40 პროც.

ბ) I და II საფეხურის სკოლების და აგრეთვე პოლიტ-განათლების სკოლების, კურსების და წრეების სახელმძღვანელოების ფასის მიმართ 32 პროც.

გ) ყველა სხვა გამოცემათა ფასის მიმართ 36 პროც.

3) წიგნებისა და ბროშიურების სხვა ყველა წიგნით მოვაჭრე იმ ორგანიზაციებისათვის გაცემის დროს, რომელნიც ამა დადგენილების მე-2 მუხლში არ არიან აღნიშნულნი, ზემოთ ნაჩვენები მონაკლების ნორმები სათანადოთ შემცირებულ უნდა იქნეს 5 პროც.

4. წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციების მყიდველთა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადარიცხვა შეიძლება მოხდენილ იქნეს მხოლოდ ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის დადგენილებით.

5. წიგნების და ბროშიურების ბიბლიოთეკებისათვის, ქოხ-სამკითხველოებისათვის, პარტიული სკოლებისათვის, პროფესიონალურ, კულტურულ-განმანათლებელ და სხვა ორგანიზაციებისათვის და აგრეთვე კოლექტიურ მომხმარებელთათვის გაცემის დროს მონაკლები დაწესებულ უნდა იქნეს წიგნის კანზე აღნიშნულ ფასის მიმართ 10 პროც. რაოდენობით.

6. წიგნებისა და ბროშიურების იმ ცენტრალურ ორგანიზაციებისათვის გაცემის დროს (რომელთა სიაც დამატებით იქნება გამოქვეყნებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მიერ), რომლებიც წიგნებს იძენენ არა გასასყიდათ, მონაკლები განსაზღვრულ უნდა იქნეს მხარეთა შეთანხმებით, მაგრამ ეს მონაკლები არ უნდა აღემატებოდეს იმ ნორმებს, რაც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-2 მუხლში.

7. გამოცემის მთელი ტირაჟის არა ნაკლებ 50 პროცენტისა ერთი პირისათვის დაუბრუნებლად მიყიდვის დროს—მონაკლების რაოდენობა და კრედიტის პირობები განსაზღვრულ უნდა იქნეს მხარეთა შეთანხმებით.

8. ამა დადგენილებით გათვალისწინებული ყველა მონაკლები დაწესებულია ფრანკო-ადგილსამყოფელი გამყიდველის გამგეობისა, ფრახტი მყიდველის ხარჯზე.

9. დღევანდლამდე პრაქტიკაში შემოღებული მონაკლები ინდივიდუალურ მომხმარებელთათვის, ამა დადგენილების გამოცემით,—გაუქმებულად ჩაითვალოს.

10. წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებს ეძლევათ უფლება ერთი გამოცემის მეორეზე გადაცვლისა წაღებული წიგნების საერთო ჯამის 10 პროც. ფარგალში რაოდენობით. გადაცვლა შეიძლება მოახდინონ ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებმა 5 თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენ ორგანიზაციებმა 4 თვის განმავლობაში დღიდან ზედნადების გამოწერისა.

შენიშვნა: ერთი გამოცემის მეორეზე გადაცვლის დროს ფრახტი გასტუმრებულ უნდა იქნეს მყიდველის ხარჯზე.

11. გადაცვლა იმ გამოცემათა, რომელიც გამოშვებულ იქნება განსაკუთრებული მიმდინარე პოლიტ-კამპანიის ან საკალენდარო დღის ჩასატარებლად—აკრძალულია.

12. ყველა გამომცემლობა ვალდებულია თავის გამოცემათა კანზე საგასავალო ფასის გვერდით აღნიშნოს: საგლეხო ლიტერატურა ლიტერ „კ“, სახელმძღვანელოები ლიტერ „უ“, ყველა სხვა გამოცემა ლიტერ „რ“. გამომცემლობათა მიერ გამოშვებულ კატალოგში ყველა გამოცემანი შეჯამებულ უნდა იქნეს სამ გრაფაში შემდეგი სახელწოდებით: „საგლეხო ლიტერატურა“, „სახელმძღვანელოები“ და „სხვა და სხვა“ ან სათანადო ლიტერებით.

13. 1925 წლამდე გამოშვებულ წიგნებისა და ბროშიურების ნისიათ გაცემის ვადა დაწესებულ იქნეს შემდეგში:

ა) ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის გაცემის დროს—6 თვე.

ბ) წიგნით მოვაჭრე სხვა ორგანიზაციებისათვის—4 თვე.

შენიშვნა: ნისიათ გაცემის დროს განაღდების პროცენტი ჩარიცხულ უნდა იქნეს მყიდველის ხარჯზე.

14. ამა დადგენილებით დაწესებული მონაკლების ნორმები და ნისიათ გაცემის ვადები, რაც სავალდებულოა წიგნებისა და ბროშიურების ყიდვა-გაყიდვის დროს, არ ვრცელდება საკომისიო გარიგებებზე.

15. ამა დადგენილებით დაწესებული მონაკლების ნორმები და ნისიათ გაცემის ვადები ვრცელდება წინად დადებულ ხელშეკრულებათა მიხედვით ლიტერატურის შემდგომ გაცემაზედ.

16. ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკაში, რომელნიც შედიან საქართველოს ს. ს. ს. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინავაჭრობის განყოფილებას ევალება ფხიზლად ადევნონ თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

17. ამა დადგენილების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

18. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ახმეტელი.
საქმეთა მართველი აბესაძე.

პარტიული კალენდარი

— სამშაბათს, 3 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის ბინაზე შესდგება საქართველოს კომპარტიის ქალაქის რაიონის ყველა უჯრედების, მდივნების და აგიტპროპორგანიზატორების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში 3 და 4 აგვისტოს მუშაობის საათებში.

1) საბჩუკ, 2) კალანიცკი, 3) გორიძკო, 4) პოლოხოვი, 5) კალაძე, 6) დუბინსკაია ფარია, 7) ლომაძე, 8) დონაძე, 9) ჩიჩუა, 10) მირზაბეკიანი, 11) მაქსიმოვი, 12) მარგოლინი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. იაკობ ნესტორის ძე შარაშიძეს სასწრაფოდ გამოცხადდეს სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში.

— ა. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს პოლიტსკოლის ყოფ. ხელმძღვანელებს, რათა 10 აგვისტოს გამოცხადდენ რაიკომის საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე ნადარეიშვილი

— ს. კ. პ. (ბ) ცკას აგიტპროპის კოლეგიის სხდომა ნაცვლად ორშაბათისა შესდგება სამშაბათს, 3 აგვისტოს, საღამოს სრულ ექვს საათზე ცკას აგიტპროპის შენობაში. კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. ცკას აგიტპროპის მდივანი —ს. მინდაძე.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები: მათე, გრიშა, შვილის შვილი ზურაბი, რაისო, ვარდო და ნატაშა ღლონტები, რძალი ლიზა ბერიძის ასული, სიძე დავით, შვილის შვილი თეიმურაზ კუტუბიძეები, შვილის შვილები: მიშა, ვერა, ელენე ჯოჯიშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს პირველთა უძვირფასესი დედის, ხოლო მეორეთა საყვარელი ბებიას

მარინეს

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას

გასაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: ქმარი კოსტა, შვილები ლუბა, აკაკი, ნათელა; სიძეები—სიმონი და ეპიფანე; დები—მაშიკო, პასიკო; დეიდები—თავიანთი მეუღლეებითურთ—გოლაძეები, გარდაცვალებულის მშობლები სიმონი თეოფინე და მათიკო, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, რომ გარდაიცვალა

ფედოსი ლუკას ასული სალარეიშვილი

თავისი შვილით. დასაფლავება მოხდება დღეს, 1 აგვისტოს, დღის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარ სახლიდან, იურევის ქ. № 36.

3111

ღრმად მწუხარებაში მყოფი ელპიტა იოსების ასული შვილებით: ნიკოლოზ (კოლია), გულნარა და გიორგი, და ლევან თევდორესძე ხოშტარიები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი, პირველის მეუღლე მეორეთა მამისა და უკანასკნელის ძმის.

სოლომონ თევდორეს ძე ხოშტარიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი ხუთშაბათს, ა. წ. 5 აგვისტოს, 12 საათზე. ფოთის ნახუტურუს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე

3102

ღრმად დაწუხრებულნი ქმარი ვლადიმერ გლახასძე ქორქია, შვილები: ანტონი, სონია, ნადია და გიორგი (ხუტური) აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ, რომ დღეს ა.წ. 1 აგვისტოს დილით 10 საათზე, წმინდანინოს სასაფლაოზე გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარის პირველის მეუღლის, მეორეთათვის საყვარელი დედის

ეფრონინე ნიკოლოზის ასული ქორქიას

3095

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ზოლე
ნ. 1613 0—1

უკანასკნელი დღე
„ძველი კანონი“
ჟენი პორტენის მონაწილეობით.
ანონსი: ხვალ ორშაბათიდან საუკეთესო სურათი „ქალი მთის მწვერვალებიდან“ ბარბალე ლამარის მონაწილეობით.

უკანასკნელი დღე შესანიშნავი სურათი
„რობინ გუდ“
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.
ანონსი: ხვალ ნორმა ტოლმეჯი პრემიერაში „ჟეინაბი და რამლიკა“.

კონრად ვეიდტ და ლიანა გაიდ სურათში
„ლედი გამილტონ“
ანონსი: ხვალ „მეხთა მფლობელი“

საბ. და სავაჭრო მუშა-მოსამსახურეთა
კლუბი
ჟორესის ქ. № 3 (ყოფილი წრე)
სამშაბათს, 3 აგვისტოს
დიდი საღამო
მიძღვნილი ქართველ კომპოზიტორებისადმი—ზ. ფალიაშვილის და მეღვინეთუხუცესის ნაწარმოებიდან.
პროგრამაში შევა: 1) ზ. ფალიაშვილის ოპერები: 1. „აბესალომ და ეთერი“ 2. „დაისი“ და 3. ახალი ოპერა „ამირანი“ მუსიკა მეღვინეთ-უხუცესისა. შესრულებულ იქნება აგრეთვე როიალზე ადგილები „ამირანიდან“ ავტორის მიერ.
ნ. 1630 დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ყველასათვის ხელმისაწვდომი!
მხატვრული გადიდებული სურათები!
საუკეთესო საჩუქარი
დღეობისთვის, უქმეებზე და სხვა საზეიმო შემთხვევებში
საუკეთესო მოგონება
დაახლოებულ პირებზე და ახლო ნათესავებზე. საბჭოთა კავშირში უდიდესი ატელიე სურათების გასადიდებლათ
დ. ი. ბისტროვი
ლენინგრადი, 25 ოქტომბრის გამზ. № 81, ტელ. 497—18 ამზადებს ფოტოგრაფიულ სურათის მიღების შემდეგ პორტრეტებს მშვენიერ ჩარჩოში, სიდიდე 10×12 ვერშ. 10 მანეთად ასეთივე აკვარელით—15 მან., 12×15 ვერშ. — 15 მან. ასეთივე აკვარელით—20 მან. გიდაგზავნა ფასდადებით.
შესრულების ვადა 15 დღე.
სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს—შეღავათი 10 პროცენტი.
ამოსაჭრელი სამახსოვროთ
საჭიროა ყველა ქალაქებში ენერგიული აგენტები პორტრეტების რიცხვის გასადიდებლათ ხელსაყრელ პირობებში.
პრეისკურანტი პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოდ.
ნ. 1484 4—2

ხვალ ორშაბათიდან
საზაფხულო
აპოლოში
(არტოს ბაღი)
ბარბალე ლამარ სურათში
„ქალი მთის მწვერვალებიდან“
კინოს ბილეთებით შეიძლება ბაღში შესვლა
ნ. 1627

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კორანთის ქ., № 20
50—3

მოწაფეთა საყურადღებოდ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

თბ. აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება

ამით აცხადებს, რომ თბილისის შრომის სკოლებში, პროფ. სკოლებში და საბავშო ბაღებში შესასვლელი თხოვნების მიღება იწარმოებს 15-დან 30 აგვისტომდე. მიმღები კომისიები იმუშავებენ 1-დან 5 სექტემბრამდე. დაგვიანებული თხოვნები არ განიხილება. თხოვნები მიიღება იმ სკოლაში და ბაღებში, რომელშიც მთხოვნელს შესვლა სურს.

თხოვნებთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქნეს საბუთები: წლოვანების, სოციალური მდგომარეობისა და განათლების შესახებ.

განათლების განყოფილების გამგის მოადგილე კ. ბერიძე.
2—1 ნ. 1609

ა. წ. 8 აგვისტოს მოწვეულია სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული ამხ-ბა

„მდელოსი“-ს წევრთა წლიური კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება ამხ ბის წარსული საქმიანობის შესახებ.
2. ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.
3. მიმდინარე საკითხები.

წევრებისათვის კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

კრების ადგილი: ლენინის ქ. № 29 „მდელოსი“-ს მთავარი კანტორა
ნ. 1626 გამგეობა

თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ამით აცხადებს, რომ ჯანმრთ. განყოფილების 1-ლ საბავშო სახლს

ესაჭიროება **ძიძები**

პირობები შემდეგია: თვიური ხელფასი—30 მან. სასმელ-საჭმელი—სპეც. ტანისამოსი და საერთო საცხოვრებელი ბინა. პირობების დაწვრილებით გასაგებათ უნდა მიმართონ 1-ლ საბავშო სახლს—ორთაჭალაში კომუნალური ქ. № 133.

ნ. 1628 თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება

გაზ. „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა წინადადებას აძლევს ქუთაისის გამგე გოგელიას, ზუგდიდის კონტრაგენტ რუდის და სამტრედიის კონტრაგენტ მ. წულაიას გამოცხადდენ მთავარ კანტორაში აგვისტოს 5-მდე ანგარიშების შესადარებლად და გასასწორებლად.

0—1 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

საჯარო ვაჭრობა

თბილისის აღმასკომის კეთილ-მომწყობი განყოფილება ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 10-ს დღის 1-ლ საათზე მესამეჯერ დანიშნულია საიჯარო ვაჭრობა (კახეთის ქუჩაზე მე-6 რაიონში) „გოგილოს“ აბანოს გაფართოვების შესახებ ჯამით 32.000 მან.

აგრეთვე სუმბათოვის ყოფილ აბანოს № 7 (ტაგიზადეს ქუჩაზე ყოფ. სარქისოვის ქ. მე-5 რაიონი) გაფართოვების შესახებ, ჯამით 8.669 მან.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ქვითარი, რომ მის მიერ შეტანილია თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის სალაროში საწინდარი განცხადებულ თანხებიდან 10% რაოდენობით. პაკეტების გახსნის შემდეგ მოხდება ზეპირი შეჯიბრებაც.

საჭირო ცნობებისა და კონდიციების მიღება შეიძლება თბ. აღმასკომის კეთილ-მომწყობ. განყოფილების კანცელარიაში. (ოთახი № 33).

კეთილ მომწყობ. განყოფილების
ნ. 1629 გამგე, მთ. ინჟინერი ქურდიანი

საჯარო ვაჭრობა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო მანქანების, საწარმოო იარაღების და მასალების გამოფენა აცხადებს, რომ ა-წ. 7 აგვისტოს, დილის 10 საათზე, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება გამოფენის დამთავრების შემდეგ დარჩენილი პავილიონები და ელექტრო-განათების და წყალსადენის განყოფილებანი.

საჯარო ვაჭრობის პირობების შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება გამოფენის კომიტეტის კანცელიარიაში (მუზეუმის ქ. № 2) სამუშაო დღეებში დღის 9-დან 2 საათამდე, ხოლო გასასყიდი ქონების დათვალიერება შეიძლება გამოფენის ადგილას (დოლის მინდორი) დილის 9-დან საღამოს 5 საათამდე ყოველდღიურათ.

გამოფენის კომიტეტი. ნ. 1633

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 16 აგვისტოს, 1926 წ. დილის 10 საათზე, ქ. ქუთაისში, ჭავჭავაძის ქუჩის მე-10 შესახვევში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება ლუარსაბ საბასძე შალამბერიძის ხის სახლი № 11 აგებული საქვევე ნაკვეთ მიწაზე, ზომით 60 კვად. საჟენი, შეფასებული 150 მანეთი, აბესალომ ჩაკვეტაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. ყველა იმ პირმა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სახლის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და 10 პროც. საწინდარი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში.

ნ. 1632

ს.მ.უ.ს. „გრუზგოსტორგ“-ი

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს ა. წ. 4 აგვისტოს დღის 12 საათზე, მეორე ნავთის საწყობის ეზოში კახეთის ქ., ნავთლუღის ქ. კუთხეში

დანიშნულია

ღია საჯარო ვაჭრობა

შემდეგი არა ლიკვიდურ ქონების და მასალების გასასყიდათ: ობოზის ნაწილები, ავშარები, ახალი ნალები, რკინის ბოჯკები, რკინის და თუნუქის ნამტვრევები, კარების და ფანჯრების ჩარჩოები, რკინის აივანის ნაწილები და სხვ.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ იხახულონ გასასყიდი ქონება საჯარო ვაჭრობის დღეს დილის 7 საათზე.

ნ. 1625

ქ. თბილისის მე-3 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 4 აგვისტოს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 9 ციციანოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის უძრავ ქონებას: ორ სართულიან სახლს შეფასებულს 3.500 მანეთად, სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. სიღნაღის სახალხო სასამართლოსაგან 19 მაისს 1921 წ. თარიღით, № 641—644 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნულ 311 მუხ. სამოქ. კოდ.

3103

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 1926 წლ. 6 აგვისტოს სახელმწიფო სააქციონერო საზოგადოება „ზაკტექსტილი“-ს პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად პირველი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ქონება, აწერილი: 1. ნიკოლოზ ბაგრამოვის ვალში—ხალიჩა, ჭურჭლეულობის კარადა. მაგიდები, საკერავი მანქანა, ნიკელის სამოვარი და სხვ., რომელიც შეფასებულია 111 მანეთად და რომელთა გაყიდვა დაიწყება ბაგრამოვის ბინაზე, კლარა ცეტკინის ქ. № 24- დღის 11 საათზე; 2. არტაშეს ხაჩატუროვის ვალში—კამოდი მარმარილოს დაფით და სასადილო მაგიდა, შეფასებული 70 მანეთად. გაყიდვა დანიშნულია დღის 12 საათზე ხაჩატუროვის ბინაზე პრეობრაჟენსკის ქ. სახლი № 13-ში.

3091

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლო აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა.-წ. 7 აგვისტოს, დღის 11 საათზე, გიორგი ძამოევის ბინაზე (კოჩუბეის ქ. სახ. № 4) პირველი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ძამოევის შემდეგი ქონება, რომელიც შეფასებულია 120 მანეთად: ტანსაცმლის კარადა, კამოდი, საკერავი მანქანა, ბუფეტი, ხალიჩა, ეტაჟერკა, დასაკიდი ლამფა და სხვ.

3093

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ძლეკის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონიაშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 6—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განცხად. ელისაბედის ქუჩა, № 3.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
საზაფხულოდ გაემგზავრა ქალ. ბორჯომში 13—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.

დაიკარგა ა. ლ. კ. კ. დროებით საკავშირო მანდატი № 1432 კოტე ვასილისძე ლომაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1631

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი № 4968 ვლასი სვანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1632

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული შრომის საწარმოვო ნადი კომუნადან № 74 გარლამ გვახარიას სახელზე, ჩ. გ. 3106

დაიკარგა ტრამვაის წიგნაკი გაცემული მილიციის სამმართველოს მიერ № 226 მილიციონერ იოსებ ზაქარიასძე კვეთბოელის სახელზე, ჩ. გ. 3107

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1879, მუშკოოპის წიგნაკი № 10960 გიორგი ადამიძეს სახელზე, ჩ. გ. 3109

დაიკარგა დამზღვევ სალაროს საანგარიშო წიგნაკი № 172 გიორგი ბაინდუროვის სახელზე, ჩ. გ. 3108

დაიკარგა სახლის წიგნი ყიფიანის ქუჩა № 48 ალექსანდრე ხოჯაევის სახელზე, ჩ. გ. 3110

დაიკარგა პირადობის მოწმობა პართენ ქირიას სახელზე, ჩ. გ. 3100

დაიკარგა ზუგდიდის „ეპო“ საწევრო წიგნაკი № 4569 კიკო შარიას სახელზე, ჩ. გ. 3001

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 6307 ილიკო გლახუნიძე რამიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3104

20 ივლისს, საღამოს 8 საათზედ ბინიდან წავიდა მოქალაქე ავქსენტი ხვიმონისძე ნინუა და შემდეგ არ დაბრუნებულა. მნახველს ვთხოვ გვაცნობოთ ქ. სამტრედიაში, მოქ. ერასტო ხაჯარიას სასადილოში, ნიშნები: საშუალოზედ მაღალი. შავგრემანი, ხუჭუჭი თმიანი, თაფლფერი თვალები, ტანზედ აცვია გახუნებული ინდიგოს კოსტიუმი.

3105

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კამოს ქუჩა. 6